საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

22 - 28 მაისი, 2019

№18 (489)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

geworld@inbox.ru

4 «ადამიანის გაუკუღმართებული ცნობიერების ნორმად წარმოჩენა არ არის გამოხატვის თავისუფლება!»

## რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი 3



ყველა პლებისციტი ევრობიუროკრატებმა და ევროკავშირის პოლიტიკურმა ელიტამ გააუქმეს და გადადეს, რადგან ხალხი უკვე 14 წლის წინათ იყო წინააღმდეგი ევროკავშირის ჩარჩოებში ინტეგრაციის გაღრმავებისა

## ილუზიებს აყოლილები 5



აღიარებს თუ არა ვაშინგტონი პოსტსაბჭოთა სივრცეს რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად?

## ნაცისტური ჯიჰადი




14

ჰიმლერს სჯეროდა მუფტის უდიდესი გავლენის, ამიტომაც იყო, რომ 1943 წლის დასაწყისში მიავლინა ბოსნიაში მუსლიმი მოხალისეებისგან ეს-ეს-ის დანაყოფის შექმნაში დასახმარებლად

## ჯიბის ჟურნალისტები



„ეს ორი „მსხვილი“ და სრულიად ქვეყანაზე მაუწყებელი ტელევიზია ისე სამარცხვინოდ იქცევა, რომ ნამუსიანმა და ნორმალურმა ჟურნალისტებმა ლამის ჩვენი პროფესია დავმალოთ და რაიმე სხვა საქმიანობას მივყოთ ხელი“ 2



## პოროშენკოს თავზე ცა მოიქუფრა: რატომ გაიწვია ტრამპმა ელჩი უკრაინიდან 10





ზურაბ კვარაცხელია: 8

## საზოგადოებაში თანდათანობით მწიფდება აზრი, რომ უკვე დროა, მოხდეს თვისობრივად ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ფორმირება

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ სამართალდამცავებს არ აქვთ უფლება, მოქალაქეებს ჯიბეების ამოტრიალება მოსთხოვონ ან თვითონ ამოუტრიალონ, ჟურნალისტებს ვინ მისცა ამის უფლება?! თუკი ჟურნალისტები ასეთი საქციელის გამო პოლიციას მკაცრად აკრიტიკებენ, თვითონ რატომ იქცევიან ასე? რჩება ერთადერთი პასუხი: ისინი ხომ ჯიბის ჟურნალისტები არიან, დიახ, ჯიბის ჟურნალისტები, ყველანაირი გაგებით.**

# ჯიბის ჟურნალისტები

**ამ სტატიის სათაურად გატანილი ტერმინი რასაც ნიშნავს, ყველას კარგად გვახსოვს. ის საქართველოში ჯერ კიდევ 1990-იანი წლების ბოლოდან დამკვიდრდა და ასე რომელიმე ბიზნეს ან პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ქვეშ მყოფ მედიასაშუალებაში მომუშავე ადამიანებს მოიხსენიებდნენ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა სახელისუფლო, ანუ მთავრობის მიერ დაფინანსებული მედიაორგანიზაციების თანამშრომლებს.**



ანუნა ახალაია




ნინო ჟიჟილაშვილი

კარგად მახსოვს, მაგალითად, იმჟამინდელი სახელმწიფო ტელევიზიის „პირველი არხის“ ჟურნალისტებს პრესკონფერენციებსა და ბრიფინგებზე გამოჩენაც კი ერიდებოდათ, რადგან მათთვის „ჯიბის ჟურნალისტის“ წოდება ისეთი მიღებული ამბავი იყო, რომ არაერთხელ პირდაპირ პრესკონფერენციის მიმდინარეობის დროსაც კი უწოდებიათ მათთვის ასე. რაც მთავარია, ამას სწორედ ის პოლიტიკური ძალა, ის პოლიტიკური ლიდერები აკეთებდნენ, რომლებმაც შემდგომ თვითონ გაიჩინეს, „ჯიბის“ კი არა, შეიძლება ითქვას, „ტრუსიკის“ ჟურნალისტებიც და მათ ისე ექცეოდნენ, როგორც მონებს. უფრო რომ დავაზუსტოთ, ამ პოლიტიკურ ძალასა და მის ლიდერებს დღესაც ჰყავთ ასეთი ჟურნალისტები და ეს ყველაზე უკეთ გამოაჩინა სწორედ 2019 წლის 19 მაისის შუალედურმა არჩევნებმა, განსაკუთრებით — ზუგდიდში. რომ არ დამავიწყდეს, ახლავე ვიტყვი — სათაურში ტერმინი „ჯიბის ჟურნალისტები“ ბრჭყალების გარეშე სპეციალურად დავწერე. საქმე ის არის, რომ ზუგდიდში მიმდინარე არჩევნებისას ქართველმა მედიამუშაკებმა ეს სტატუსი უკვე არა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით, არამედ პირდაპირი გაგებითაც განიმტკიცეს და ვგონებ, საბოლოოდ დაიმკვიდრეს კიდეც, თუ რატომ — მოგვიანებით ავხსნი.

აქვე აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ გარკვეულ ბიზნეს-პოლიტიკურ ჯგუფებს დღესაც აქვთ თავის პირდაპირ გავლენაში მყოფი მედიასაშუალებები და მათაც შეიძლება გარკვეულწილად ვუწოდოთ „ჯიბის მედია“, მაგრამ ეს მხოლოდ გარკვეულწილად და ბრჭყალებში, რადგან ეს ტელევიზიები და მედიაორგანიზაციები მედიისა და ჟურნალისტების სახეს მინიმალურად მაინც ინარჩუნებენ, გარკვეულ სტანდარტებს იცავენ და ყველაფერს არ კადრულობენ.

**აი „რუსთავი 2“-ისა და „ტვ-პირველის“ ჟურნალისტები უკვე ასტრალში არიან გასულნი და „ჯიბის ჟურნალისტების“ სტატუსი მათთვის უკვე ყველაზე რბილი სტატუსია. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ასეთი შუბლისძარღვგაწყვეტილი მედიაორგანიზაციები სხვაც ბევრი აქვთ დაარსებულ-დაფუძნებული „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტ არასამთავრობოებსა თუ უშუალოდ „ნაცების“ ბიზნესმენ-ლიდერებს, მაგრამ „მცირე გაბარიტის“ ინტერნეტმაუწყებლებზე რაღა უნდა ვთქვათ, როდესაც აგერ ეს ორი „მსხვილი“ და სრულიად ქვეყანაზე მაუწყებელი ტელევიზია ისე სამარცხვინოდ იქცევა, რომ ნამუსიანმა და ნორმალურმა ჟურნალისტებმა ლამის ჩვენი პროფესია დავმალოთ და რაიმე სხვა საქმიანობას მივყოთ ხელი.** წელან ვთქვი — უკვე პირდაპირი მნიშვნელობითაც და ბრჭყალების გარეშეც ჯიბის ჟურნალსტები გახდნენ-მეთქი და ბარემ განგიმარტავთ — ზუგდიდში მიმდინარე საარჩევნო პროცესის დროს „რუსთავი 2“-ისა და „ტვ პირველის“ ჟურნალისტები მართლაც პირდაპირ ჯიბეში უვარდებოდნენ ადამიანებს.

**„მანახე, აბა, რა გაქვთ ჯიბეში? „რა გიდევთ ჯიბეში, გვანახეთ!“ — აი, ეს მკაცრი და მომთხოვნი ფრაზები ყველაზე ხშირად ისმოდა „რუსთავი 2“-ისა და „ტვ-პირველის“ ზუგდიდური რეპორტაჟებიდან. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ მოთხოვნებს ეს „ჟურნალისტიკის ახალი სტანდარტით“ მოქმედი მიკროფონიანი თავდამსხმელები საარჩევნო უბნებიდან კარგა მოშორებით მდგარ მოქალაქეებსაც კი უყენებდნენ.**

როგორც წესი, ამ ორ აშკარად ნაცების ჯიბის ტელევიზიას არასოდეს ვუყურებ, მაგრამ, როდესაც შემთხვევით, გვერდით ოთახიდან ტელევიზორიდან ეს ფრაზა მომესმა — „ჯიბეში რა გაქვს, მანახე!“, მეგონა, ვიღაც კრიმინალს აკავებდა პოლიცია და გავედი, რათა ეკრანზე შემეხედა, რა ხდებოდა. ვიღაც ლაწირაკი გოგოშკა მიკროფონით ხელში მიდგომოდა ზუგდიდის რომელიღაც ქუჩაზე „მობირჟავე“ ასე 25-ოდე წლის ბიჭებს და უკიოდა: მანახეთ, რა გაქვთ ჯიბეშიო! თვალებიდან არ ამომდის იმ ბიჭების გაოცებული სახე. ჯიბეების ამოტრიალება და ჩხრეკა შეიძლება პოლიციის ოპერატიულმა მუშაკმა მოგთხოვოს, მაგრამ ეს მწივანა ლაწირაკი გოგო ვინ იყო და რა უნდოდა მათგან, ბიჭებს ვერაფრით გაეგოთ. ბოლოს ყოველივე, რა თქმა უნდა, იმით დამთავრდა, რომ ბიჭები ნელ-ნელა გონს მოვიდნენ და ეს მიკროფონიანი თავდამსხმელი (ასეთებს არ შეიძლება ჟურნალისტი ეწოდოს), როგორც იქნა, მოიშორეს იქიდან. „ტვ-პირველის“ სტუდიაში მჯდომმა წამყვანმა და ჯიბის ამოტრიალების მომთხოვნმა ჟურნალისტმა კი ფაქტი ასე შეაფასა: აი, ხომ ხედავს მაყურებელი, არ გვაძლევენ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას და ხელს გვიშლიან პროფესიულ საქმიანობაშიო.

არ ვიცი, ვინ უთხრა და სად ამოიკითხეს ამ თავხედებმა, რომ თურმე ჟურნალისტის პროფსიული საქმიანობა ქუჩაში ადამიანებთან მივარდნა და მათთვის ჯიბეების გაჩხრეკაა, თუმცა, როცა ცნობილი თავხედი, უვიცი და უზრდელი **ნინო ჟიჟილაშვილი** ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანია, ზედმეტია კითხვის დასმა — ვინ ასწავლა ამ პატარა გოგონებს, რა არის ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა?

ფაქტია: მათი მასწავლებლებიც და შემდეგ სელექციონერებიც სწორედ „ტვ-პირველის“ „დედები“ არიან. ნინო ჟიჟილაშვილი ასწავლის მათ, რომ „ჟურნალისტიკის რაობა“ მოქალაქეების ჯიბეების ჩრეკაა და შემდეგ მათ აკვირდება **ინგა გრიგოლია**, და ვინც ყველაზე თავხედი, უტიფარი და თანაც ყველაზე უწიგნური აღმოჩნდება, ის ყველაზე სასურველი კანდიდატურაა „ტვ-პირველისთვის“.

შეამჩნევდით, რომ „რუსთავი 2“-ზე უფრო ხშირად „ტვ-პირველს“ ვახსენებ. ამის მიზეზი მარტივია — **საზოგადოდ და, განსაკუთრებით კი, ზუგდიდური არჩევნების გაშუქებისას, „ტვ-პირველმა“ „გადაუჯოკრა“ „რუსთავი 2“-ს თავხედობაში, ტყუილებსა და, რაც მთავარია, მოქალაქეებზე ჯიქურ თავდასხმებში.**

**თუ არ ჩავთვლით იმ ინციდენტს, როდესაც „რუსთავი 2“-ის პროკურორ-დირექტორმა საწყალ ხანშიშესულ ქალბატონს ცელოფანის პარკი გამოღლიჯა ხელიდან — გინდა თუ არა, აქ აქტივისტების სიები გაქვსო, სხვა მსგავსი თავდასხმა „რუსთავი 2“-ის ჟურნალსტებს არ ჩაუდენიათ.** გვარამიას მიერ გამოტაცებულ ცელოფანის პარკში კი მოხუცი ქალბატონის ძველი ფეხსაცმელი აღმოჩნდა, რომელიც პატრონს, სავარაუდოდ, ხელოსანთან მიჰქონდა... ამან, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ შეუტოკა სინდისი არც გვარამიას და არც მის მიმბაძველებს. პირიქით — სწორედ ამის მერე შეუდგა „ჟურნალისტური საქმიანობის შესრულებას“ „ტვ-პირველის“ სპეციალური თავდამსხმელი (ჟურნალსტს ვერ დავარქმევ) **ანუნა ახალაია**, რომელიც ამას წინათ ინგა გრიგოლიამ „ქართული ჟურნალსტიკის ამომავალ ვარსკვლავად“ გამოაცხადა.

ამ უთავხედესმა გოგოშკამ ისიც არ იკმარა, რომ მოქალაქეებს მივარდნოდა და მათთვის ეკივლა: ჯიბეში რა გიდევსო? არა, პირდაპირ ეცემოდა ჯიბეზე და ართმევდა ყველაფერს, რაც მათ ჯიბეში ედოთ — ფურცლები, ბლოკნოტი, საწერკალამი, საღეჭი რეზინი, სიგარეტის კოლოფი თუ სხვა რამ.

და შემდეგ, **როდესაც გამწარებული მოქალაქე მოსდევდა, — დამიბრუნე ჩემი ნივთებიო, თავდამსხმელი ისეთი ირონიული ღიმილით გახტებოდა გვერდზე და ათვალიერებდა ნაყაჩაღარ ნივთებს, რომ ამის მხილველი ნებისმეირი ფსიქიატრი მას აუცილებლად მოათავსებდა სამკურნალო დაწესებულებაში.**

ეს ერთგვარი ფსიქოპათიური ღიმილი სახეზე და ავადმყოფურად აელვარებული თვალები ნამდვილად საერთო დამახასიათებელი შტრიხია დღევანდელი ქართველი ჟურნალისტების და შეიძლება შემცოდებოდა კიდეც ისინი, მართლაც ამაზრზენი საყურებელი რომ არ იყოს, როგორ უდიერად ექცევა პატარა გოგო ბაბუის ტოლ კაცს, როგორ აწვალებს მას და არ უბრუნებს ჯიბიდან ამოღლეტილ პირად ნივთებს.

სხვათა შორის, ეს საქციელი სისხლის სამართლის კოდექსში განიხილება, როგორც „სხვისი ნივთის არამართლზომიერი დაუფლება“ და ისჯება კიდეც გარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთით. **ამიტომ არ მესმის, რატომ არ მოახდინა ამ ყოგველივეზე რეაგირება პოლიციამ, როდესაც „ჟურნალსტებად“ წოდებული თავდამსხმელები და, ფაქტობრივად, მძარცველები ჯიბეში უყოფდნენ ხელს მოქალაქეებს და პირად ნივთებს ართმევდნენ.**

სათქმელია ისიც, რომ ქართულ მედიაში იშვიათი არ არის, როდესაც ჟურნალისტები ადამიანის უფლებათა დარღვევად განიხილავენ პოლიციისგან მოქალაქეების ჩხრეკის ფაქტებს. თუ ვინმე „არასამთავრობოელი“ განაცხადებს: პოლიციამ ქუჩაში გამაჩერა და ჯიბეების ამოტრიალება მომთხოვაო, მერე მთელი კვირა „თოქ-შოუებს“ გნიასი გააქვთ, როგორ არღვევს პოლიცია ადამიანის უფლებებს.

მაინტერსებს, **თუ სამართალდამცველებს არ აქვთ უფლება, მოქალაქეებს ჯიბეების ამოტრიალება მოსთხოვონ ან თვითონ ამოუტრიალონ, მაშინ ვინ მისცა ჟურნალისტებს ამის უფლება? თუკი ჟურნალისტები ასეთი საქციელის გამო პოლიციას მკაცრად აკრიტიკებენ, თვითონ რატომ იქცევიან ასე?**

რჩება ერთადერთი პასუხი: ისინი ხომ ჯიბის ჟურნალისტები არიან, დიახ, ჯიბის ჟურნალისტები, ყველანაირი გაგებით!

**«რუსთავი 2»-სა და «ტვ-პირველის» ჟურნალისტები უკვე ასტრალში არიან გასულნი და «ჯიბის ჟურნალისტების» სტატუსი მათთვის უკვე ყველაზე რბილი სტატუსია. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ასეთი შუბლისძარღვგაწყვეტილი მედიაორგანიზაციები სხვაც ბევრი აქვთ დაარსებულ-დაფუძნებული «ნაციონალური მოძრაობის» სატელიტ არასამთავრობოებს თუ უშუალოდ ნაცების ბიზნესმენ ლიდერებს. «მცირე გაბარიტის» ინტერნეტმაუწყებლებზე რაღა უნდა ვთქვათ, როდესაც აგერ ეს ორი «მსხვილი» და სრულიად ქვეყანაზე მაუწყებელი ტელევიზია ისე სამარცხვინოდ იქცევა, რომ ნამუსიანმა და ნორმალურმა ჟურნალისტებმა ლამის ჩვენი პროფესია დავმალოთ და რაიმე სხვა საქმიანობას მივყოთ ხელი**

**ევროპარლამენტის არჩევნებში არის რეალური საფრთხე იმისა, რომ გაერთიანებულმა მემარჯვენეებმა და მათმა მოკავშირეებმა მოიპოვონ იმდენი ადგილი, რამდენიც შესაძლებლობას მისცემს მათ, დაბლოკონ ევროგაერთიანების მთავარი საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: თუ მემარჯვენეები ჩამოაყალიბებენ სერიოზულ კოალიციას (ამის შანსი ყოველწლიურად მატულობს), სიდიდით მესამეს მაინც, მაშინ ამჟამინდელი პირობითად ერთიანი ევროკავშირი ისე გარდაიქმნება, რომ ვერავინ ველარ იცნობს...**

პროცესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი



**23-26 მაისს ევროკავშირში გაიმართება ევროპარლამენტის არჩევნები. იქიდან გამომდინარე, რომ ბრექსიტი 31 ოქტომბრამდე გადაიდო, კენჭისყრა ჩატარდება 28-ვე ქვეყანაში.**

* „ბრიტანელები მხარს უჭერენ ბრექსიტს, დროა, მათ მივბაძოთ“.

* „ევროკავშირი ყველა პატრიოტის მტერია, მტერია ევროპული ფასეულობების, ტრადიციებისა და კულტურის. ასეთი ევროკავშირი არ უნდა არსებობდეს“.

* „ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძვით. ევროპა გაივსო უცხოტომელებით. ამას უნდა შეეწინააღმდეგონ თავისუფალი ხალხები!“

* „ძირს არავის მიერ არჩეული მაღალჩინოსნების დიქტატურა, რომლებიც ხელს უწყობენ მიგრაციას!“

ეს ლოზუნგები გაისმა 25 აპრილს პრაღაში ევროპელი მემარჯვენეების მიტინგზე, რომელსაც ესწრებოდნენ საფრანგეთის ნაციონალური გაერთიანების (ყოფილი „ნაციონალური ფრონტი“) ლიდერი **მარინ ლე პენი**, ჰოლანდიის თავისუფლების პარტიის თავმჯდომარე **გერდტ ვილდერსი**, აგრეთვე, ბრიტანეთის, ავსტრიის, ბულგარეთის ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლები.

ამ ფონზე ფრანგული „ყვითელი ჟილეტები“ შედარებით ადგილობრივი მოვლენაა, მიუხედავად მასობრიობისა და მოთხოვნების სიმკაცრისა, რომლებიც პროვოცირებულია საწვავის გაძვირებით და მიმართულია **მაკრონისა** და მისი მთავრობის კაბინეტის წინააღმდეგ. იმის შესახებ, რომ მემარჯვენეები უკვე რეალურად ემუქრებიან ერთიან ევროპას, წერს ევროპის ბედნიერების რუპორი „რადიო თავისუფლება“ სტატიაში „ამჟამინდელი სახით ევროკავშირი არ უნდა იყოს“. მასში საკმაოდ გამჭვირვალე მინიშნებებია კრემლის ხელზე, რაც უკვე დიდი ხანია, კარგ ტონად ითვლება, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მტკიცებულება.

საქმის არსი კი მარტივია: **ევროპარლამენტის არჩევნებში არის რეალური საფრთხე იმისა, რომ გაერთიანებულმა მემარჯვენეებმა და მათმა მოკავშირეებმა მოიპოვონ იმდენი ადგილი, რამდენიც შესაძლებლობას მისცემს მათ, დაბლოკონ ევროგაერთიანების მთავარი საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: თუ მემარჯვენეები ჩამოაყალიბებენ სერიოზულ კოალიციას (ამის შანსი ყოველწლიურად მატულობს), სიდიდით მესამეს მაინც, მაშინ ამჟამინდელი, პირობითად, ერთიანი ევროკავშირი ისე გარდაიქმნება, რომ ვერავინ ველარ იცნობს...**

2005 წლის 1 ივნისს ნიდერლანდებში გაიმართა რეფერენდუმი ევროკავშირის კონსტიტუციაზე და, თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ შედეგს: რეფერენდუმში მონაწილეთა 61,1%-მა ხმა წინააღმდეგ მისცა. ნიდერლანდების რეფერენდუმს 2 დღით უსწრებდა რეფერენდუმი საფრანგეთში, სადაც ევროკავშირის კონსტიტუცია მაინც გაიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგი იყო 55%. მართალია, ესპანეთმა (77%) და ლუქსემბურგმა (57%) მხარი დაუჭირეს ევროკავშირის კონსტიტუციის დამტკიცებას, მაგრამ სულ ეს იყო, **ყველა დანარჩენი პლებისციტი ევრობიუროკრატებმა და ევროკავშირის პოლიტიკურმა ელიტამ გააუქმეს და გადადეს, რადგან ხალხი უკვე 14 წლის წინათ იყო წინააღმდეგი ევროკავშირის ჩარჩოებში ინტეგრაციის გაღრმავებისა, მას შემდეგ არ ჩატარებულა არანაირი რეფერენდუმი, არ შემუშავებულა კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, სხვათა შორის, უნდა განსაზღვრულიყო პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა მინისტრის, თავდაცვის მინისტრისა და ა.შ. სრულფასოვანი უფლება-მოვალეობები, გადაწყვეტილებები კი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, კონსტიტუციური უმრავლესობის პრინციპით უნდა მიღებულიყო და არა კონსენსუსით.**

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპის მოქალაქეებმა თავიანთი ხმებით შეძლეს ევროკავშირის, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფოს, პერსპექტივის ლიკვიდაცია. არადა, სწორედ ასეთი სახელმწიფოს შესაქმნელად დაიწყო ყველაფერი. სხვა სიტყვებით: არ არის ის, რაც ჩაფიქრებული იყო, არის მხოლოდ იმიტაცია, ფანტომი, ფეიკი, რაც გინდათ, ის, ოღონდ არა საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი სუბიექტი.

მათ დასამშვიდებლად, ვისაც აქვს პრეტენზია სახელმწიფოებრიობაზე, არის ჰიმნი და დროშა, მაგრამ არ არის კონსტიტუცია, არც სახელისუფლო ორგანოები და არც არმია, ამასთანავე, თვითონ ევროპარლამენტს, რომელიც პრეტენზიას აცხადებს, გავლენა ჰქონდეს არა მხოლოდ ევროპაზე, არამედ მსოფლიოზე, უფლებები შეკვეცილი აქვს ნაციონალური საკანონმდებლო ორგანოების მიმართ.

ეს მხოლოდ გარეგანი კონტურია, რომლის შიგნით ყოველთვის იყო მცდელობები, ბრიუსელის სტრუქტურები გადაექციათ ცენტრალურ ორგანოებად, რომელთა გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნებოდა ყველასთვის. აი ეს სტრუქტურები და ინსტიტუტები: **ევროპარლამენტი, ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროკომისია, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვ.**



**ევროკავშირისთვის რეალური სუვერენული გლობალური მოთამაშის სტატუსის მინიჭების ყველა მცდელობა, რაც არაერთხელ მოგვისმენია სხვადასხვა ევრობიუროკრატისგან, უნდა შევაფასოთ ფალსსტარტად, რომელსაც რეალიზაციის იოტისოდენი პოტენციალიც არ აქვს**

ეს ზედნაშენი, როგორც ყველა ერთად, ისე ცალ-ცალკე, ცხოვრობს ბიუროკრატიის კლასიკური კანონებით, თუმცა მთავარი პრობლემა არის ის, რომ, ბუნებრივი მისწრაფების მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს სასურველის მიღწევა: ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ ის არახელსაყრელია ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის, საბოტაჟის მსხვერპლი ხდება, როგორც ნაციონალური ინტერესებისთვის შეუსაბამო.

კერძოდ, მიუხედავად ევროპარლამენტის რეზოლუციისა, რომელიც მოითხოვდა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის დახურვას, არ შესრულდა. ერთადერთი ორგანო, სადაც სუფევს ერთსულოვნება, ეს არის ევროპის საბჭო — უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, რომელშიც შედიან სახელმწიფოების მეთაურები. ერთსულოვნება გამოიხატება მხოლოდ რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების დაწესების პოლიტიკაში.

ის, რაც ხდება **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში**, ყველამ იცის: ეს ორგანო, რომელიც მოწოდებულია, რეგულარულად დასაჯოს რუსეთი, გადაიქცა გაკოტრებულთა თავყრილობად, რომელიც მზად არის, გაურიგდეს რუსეთის წარმომადგენლობას, ოღონდ არ დაიშალოს. ამასთანავე, ყველა ამ სტრუქტურამ, ერთად და ცალ-ცალკე, შეუწყო ხელი უპრეცედენტო საიმიგრაციო კრიზისს, რომლის ახსნა შეუძლებელია. **საერთოდ კი, ეს ყველაფერი, მისი უაზრობის გამო, დასასრულს უახლოვდება, რადგან მრავალშრიან ზედნაშენს არ აქვს მთავარი — ცენტრალური ორგანო, რომელიც განიხილავს ქვედა რგოლების ყველა გადაწყვეტილებას, რეზოლუციასა და რეკომენდაციას მათთვის სავალდებულო სტატუსის მისანიჭებლად. ორგანო, როგორიც იქნებოდა, მაგალითად, პრეზიდენტის თანამდებობა ან ევროკავშირის პრემიერმინისტრი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო იმ კონსტიტუციით, რომელიც 2005 წელს არ მიიღეს.**

ისე, გულწრფელად თუ ვიტყვით, ევროპისთვის საჭიროა არა პრეზიდენტი ან პრემიერი, არამედ ნამდვილი იმპერატორი, რადგან თვით ევროკავშირი არის ხალხებისა და ტერიტორიების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება, რაც იმპერიის კლასიკური განსაზღვრებაა. ანუ, ევროპის იმპერატორი — ეს იქნება ევროპული გაერთიანების პოლიტიკის ყველაზე ბუნებრივი გაგრძელება.

თუმცა, სწორედ ამაში იმალება ევროკავშირის მთავარი წინააღმდეგობა, რომელმაც კავშირისკენ ნახევარსაუკუნოვანი მისწრაფება უპერსპექტივო ბანალურ გაუგებრობად გადააქცია.

ამასთანავე, ამორფული სტატუს კვოს შენარჩუნება უკვე იწვევს ცენტრიდანულ ტენდენციებს, პროტესტის გაძლიერებას, მემარჯვენე ნაციონალისტებისა და ევროსკეპტიკოსების კონსოლიდაციას ბრიუსელის სტრუქტურების პოლიტიკის სრული გადახედვის ტენდენციით.

სრულფასოვანი ცენტრალური (არსით — იმპერიული) ორგანოების შექმნისკენ მოძრაობის შემთხვევაში, მყისვე წარმოიქმნება კიდევ უფრო მეტი ცენტრიდანული ტენდენცია, ვინაიდან ყველასთვის გასაგებია, რომელი ეროვნების იქნება იმპერატორი, როგორი გეგმებიც უნდა დააწყოს იმავე **ემანუელ მაკრონმა.**

ამიტომ ევროკავშირისთვის რეალური სუვერენული გლობალური მოთამაშის სტატუსის მინიჭების ყველა მცდელობა, რაც არაერთხელ მოგვისმენია სხვადასხვა ევრობიუროკრატისგან, უნდა შევაფასოთ ფალსსტარტად, რომელსაც რეალიზაციის იოტისოდენი პოტენციალიც არ აქვს:

**„გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ევროკავშირისთვის დადგა დრო, გახდეს სუვერენული, დამოუკიდებელი გლობალური მოთამაშე საერთაშორისო ურთიერთობებში“ (ჟან-კლოდ იუნკერი. 12.09.2018 წ.).**

რეზიუმე.

1. არსებული სახით ევროპა ნელა, მაგრამ განუხრელად (არჩევნებიდან არჩევნებამდე) გამემარჯვენდება და კიდევ უფრო მოიმატებს ცენტრიდანული ტენდენციები, მაშინ ბრიტანეთს სხვებიც მიბაძავენ;

2. თუკი შეეცდებიან ევროკავშირის გარდაქმნას სრულფასოვან იმპერიად, ეს გაუგებრობა უფრო სწრაფად დაიშლება.

**P.S. რთული შესამჩნევი არ არის, რომ ანალიზში არ არის გავლენა (მართვა) ოკეანის გაღმიდან. ეს მხოლოდ ხაზს უსვამს ევროკავშირის დაშლის პერსპექტივას ბუნებრივი, და, ღმერთმა ქნას, ევოლუციური გზით.**

**ყველა პლებისციტი ევრობიუროკრატებმა და ევროკავშირის პოლიტიკურმა ელიტამ გააუქმეს და გადადეს, რადგან ხალხი უკვე 14 წლის წინათ იყო წინააღმდეგი ევროკავშირის ჩარჩოებში ინტეგრაციის გაღრმავებისა, მას შემდეგ არ ჩატარებულა არანაირი რეფერენდუმი, არ შემუშავებულა კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, სხვათა შორის, უნდა განსაზღვრულიყო პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა მინისტრის, თავდაცვის მინისტრისა და ა.შ. უფლება-მოვალეობები, გადაწყვეტილებები კი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, კონსტიტუციური უმრავლესობის პრინციპით უნდა მიღებულიყო და არა კონსენსუსით**

ვებგვერდ iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ ვიცი, როგორ და რა ლოგიკით შეიძლება, ძალადობა ვუწოდოთ ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დღის აღნიშვნას ქვეყანაში, სადაც თითქმის ყოველი მეორე ოჯახი ინგრევა და განქორწინებების რაოდენობა კატასტროფულად მაღალია?! ან როგორ შეიძლება, ამას წინ აღვუდგეთ და დავუპირისპირდეთ მაშინ, როცა, თუკი რამე განიცდის დღეს შევიწროებას ყველა მხრიდან, პირველ რიგში, ეს სწორედ ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტია?! ვინ დაიჩაგრა იმით, რომ ხალხმა იზეიმა?!“**



### თემურ ჩალაბაშვილი:

# ადამიანის გაუკუღმართებული ცნობიერების ნორმად წარმოჩენა არ არის გამოხატვის თავისუფლება!

**მას შემდეგ, რაც 17 მაისს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე უარი თქვა და პატრიარქის ინიციატივით დაფუძნებულ ოჯახის სიწმინდის დღის ზეიმს პრაქტიკულად ბოიკოტი გამოუცხადა, „ხელოვანთა“ ერთმა ნაწილმა, ინტელიგენციად წოდებულმა ქვეყნის „საამაყო არტ ელიტამ“ ნიღაბი ჩამოიხსნა.**

## «უნდა თქვან, რომ ქართველი საზოგადოება არ იღებს მამათმავლობას, არ ეგუება და არც არასდროს შეეგუება მას, რა პროპაგანდაც უნდა მიდიოდეს»

„ლატენტური ლიბერალები“ (რომლებსაც ერთ დღეს პატრიარქის გვერდით შეუძლია დადგეს საშობაო წირვალოცვაზე და დაჩოქილმა ილოცოს, ხოლო მეორე დღეს რომელიმე თოქ-შოუში დუჟი ანთხიოს და ეკლესიას ბნელი უწოდოს) საბოლოოდ გაშიშვლდნენ. თუმცა ამ საბოლოოდ გაშიშვლებული და დათვლილ-გამომზეურებული ფსევდოინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ისიც არ იკმარა, რომ კოლექტიური გოგი გვახარიების საამებლად საპატრიარქოს შეთავაზებას ცივი უარი სტკიცა და მოგვიანებით მედიაში ეკლესიისა თუ სამღვდელოების მისამართით მწვავე კრიტიკაც არ დაიშურა (ამტკიცებდნენ, რომ პატრიარქი ძალიან უყვართ და მის გვერდით ყოველთვის ამაყად დადგებიან, ოღონდ არა 17 მაისს). მოკლედ, ამ პოპულისტურმა და პროპაგანდისტულმა დემარშმა, რომლითაც მედროვე „ინტელიგენციის“ ერთმა ჯგუფმა „ლიბერალურ“ ტირანიას კოჭი გაუგორა, წყალგამყოფი გაავლო: ზოგმა — პირდაპირ და ზოგმაც — ირიბად, მაგრამ მაინც ყველასთვის ცხადად და გასაგებად, რომ მამათმავლობის პროპაგანდას უერთდება...

**რატომ დაიკავა რეალურად ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა 17 მაისს ასე ღიად ეკლესიის საწინააღმდეგო პოზიცია და რა ზეწოლა შეიძლება მომავალში განხორციელდეს იმ ადამიანებზე, რომლებმაც საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კონცერტში მიიღეს მონაწილეობა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი თემურ ჩალაბაშვილი.**

**— ბატონო თემურ, არტისტების ერთი ნაწილი 17 მაისს ეკლესიას ღიად გაემიჯნა და განაცხადა, რომ ამ დღეს ოჯახის სიწმინდის დღის აღნიშვნა ძალადობის პროვოცირებაა. თქვენ, როგორც ინტელიგენციის წარმომადგენელი, როგორ აფასებთ ამ ყველაფერს, რას ნიშნავდა რეალურად ეს განცხადებები და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს?**

— სიმართლე გითხრათ, ამ პროცესებს, გარკვეული მიზეზების გამო, თვალი სათანადოდ ვერ ვადევნე და არ ვიცი, რეალურად რა ხდებოდა, მაგრამ, რაც ვნახე და მოვისმინე, სამარცხვინო იყო: უამრავი შეშფოთებული ადამიანი და დიდაქტიკური გამომეტყველება, რიტორიკა კი ერთი — არა ძალადობას! ისეთი სახეებით ისხდნენ, გეგონებოდა, რაღაც უბედურება დატრიალდა. **არ ვიცი, როგორ და რა ლოგიკით შეიძლება, ძალადობა ვუწოდოთ ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დღის აღნიშვნას ქვეყანაში, სადაც თითქმის ყოველი მეორე ოჯახი ინგრევა და განქორწინების რაოდენობა კატასტროფულად მაღალია?! ან როგორ შეიძლება, ამას წინ აღვუდგეთ და დავუპირისპირდეთ მაშინ, როცა, თუკი რამე განიცდის დღეს შევიწროებას ყველა მხრიდან, პირველ რიგში, სწორედ ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტია?! ვინ დაიჩაგრა იმით, რომ ხალხმა იზეიმა?!**

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ვიღაცებმა ითაკილეს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კონცერტში მონაწილეობა, გასაგებია, რომ არის ძალიან დიდი წნეხი, ზეწოლა და მუქარა, რომლებსაც ყველა ვერ უძლებს და ვერც მოსთხოვ, მაგრამ ერთია, როცა ძალა არ შეგწევს და პრინციპებს ვერ იცავ; და მეორე, როცა ამ უძლურებასთან ერთად გაჩუმებასაც ვერ ახერხებ. ყოველთვის მიკვირდა იმ ადამიანების, რომლებიც უღირსად იქცევიან და ეს თვითონაც კარგად იციან, მაგრამ ჩუმად კი არ სჩადიან ამ უღირსობას, არამედ ყველაზე მეტს ხმაურობენ. ხომ შეიძლება, ჩუმად მაინც იყო და არ წარმოაჩინო შენი უნამუსობა?! მით უმეტეს, რომ არავინ გკიცხავს და დიდად არც არავის აინტერესებს, სად დადგები, თუმცა მათი პოზიციიდან ეს ყველაფერი გასაგებიცაა, უნდათ, რომ თავიანთ საქციელს საჯაროდ, ყველას თვალში რაღაც გამართლება მოუძებნონ, თანაც მავანს თავი მოაწონონ, იქნებ გრანტებს ან ჰონორარს გამორჩნენ. ეს არის სიამაყე და ამპარტავნება, რომელსაც ამ ხალხმა ვერ გადააბიჯა, მაგრამ ესეც არ გამოსდით. რატომ? იმიტომ, რომ შეუძლებელია ორი ბატონის მსახურება. **ვერ შეძლებთ, ბატონებო, ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც...**

**— უარი საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კონცერტში მონაწილეობაზე ახსნეს იმით, რომ ეს ღონისძიება შეიძლებოდა ყოფილიყო დაპირისპირების მაპროვოცირებელი. თქვენ თუ დაინახეთ მსგავსი საფრთხე?**

— დაპირისპირების საფრთხე არსებობდა და ისევ არსებობს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს დაპირისპირება ხალხიდან არ მოდის. ეს დაპირისპირება ჩნდება მაშინ, როცა გარკვეული ძალა თუ ძალები ხელოვნურად ქმნიან დაძაბულობას და ცდილობენ, საზოგადოებას მიაღებინონ ის, რაც მის მრავალსაუკუნოვან კულტურას, ტრადიციებსა და ფასეულობებს პირდაპირ ეწინააღმდეგება. ხალხს, ფაქტობრივად, ეუბნებიან, რომ უნდა უარყოს საკუთარი ადათი, წესი და, რაც მნიშვნელოვანია, ქრისტიანული სწავლება, რომელიც ყველაფერს ძალიან ცხადად გვეუბნება ამ კონკრეტული მოვლენის შესახებ. ახლა რა გამოდის: **თვალი დავხუჭოთ და არაფერი ვთქვათ ჩვენი სარწმუნოების იმ ნაწილზე, რომელიც ცხადად გვეუბნება, რომ მამათმავლობა უმძიმესი ცოდვაა?!** უნდა ჩავთვალოთ, რომ ნორმალურია, როცა მამაკაცი თავს ქალად მიიჩნევს და თხოვდება? ღმერთმა და ბუნებამ ასე დააწესა?

**— მათი „არგუმენტი“ ასეთია: ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა და არა ძალადობის, ღმერთს ყველა ადამიანი უყვარს.**

— ძალადობას, ჩაგვრასა და შევიწროებას, რა თქმა უნდა, ყველა ვემიჯნებით, მაგრამ აქ ამაზე არ არის საუბარი, საუბარია ადამიანის კონკრეტულ მდგომარეობაზე, რომელიც არის არაბუნებრივი და, როდესაც ლაპარაკია შემწყნარებლობაზე, **პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება, შემწყნარებლობა ცოდვისადმი.**

რაც შეეხება იმას, რომ თურმე ქართული კულტურა არის ძალადობრივი და ჩვენი საზოგადოება მისგან უნდა გათავისუფლდეს, იმ ხალხს, რომელიც ასე ფიქრობს და დღე და ღამე ამ მავნე პროპაგანდას ეწევა, მინდა, შევახსენო ერთი რამ: საქართველოში იყვნენ დამსახურებული ადამიანები, მათ შორის, კულტურის სფეროში, რომლებიც უმცირესობას განეკუთვნებოდნენ და არ მალავდნენ ამას, მაგრამ ერმა მათ სათანადო პატივი მიაგო. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათი მისამართით ვინმეს ცუდი რამ ეთქვა ან განეზრახა და გაეკეთებინა, პირიქით, მათ ყოველთვის ღირსეული და გამორჩეული ადგილი ეკავათ ერის კულტურულ ცხოვრებაში. ახლა ვიღაც იტყვის, რომ დღეს უმცირესობებს არ აქვთ გამოხატვის თავისუფლებაო, მაგრამ ჩვენ ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ — **გამოხატვის თავისუფლება არ არის ადამიანის გაუკუღმართებული ცნობიერების ნორმად წარმოჩენა და ახალგაზრდების აღზრდა იმ შეგნებით, რომ ამაში ცუდი არაფერია. ცუდი კი არა, ეს არის უბედურება და იმისთვის, რომ ამ უბედურებამ თავდაყირა არ დააყენოს მომავალი თაობების ცნობიერება, საჭიროა, ყველაფერს თავის სახელი დაერქვას.**

## «არ მესმის, როგორ შეიძლება, ვინმემ უარი გათქმევინოს საკუთარ პრინციპებზე, თუ რაღაც ისეთი არ არსებობს შენზე, რაც თავისთავად გაგაჩუმებს და ენას ჩაგაგდებინებს. საერთოდ, პროლეტარს დასაკარგი მხოლოდ ბორკილი აქვს და ამიტომ ყველაფერზეა წამსვლელი. ეს ჩემი ნათქვამი არ არის. ის ხალხი კი, რომელიც თითქოს ინტელიგენციას წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში ფულითაა ნაყიდი, კუდით ჰყავთ დაჭერილი, ამიტომ უჭირთ სიმართლის მხარეს დადგომა»

სხვათა შორის, ამ დღეებში კეთდებოდა განცხადებები, რომ ეკლესიამ უმცირესობებს 17 მაისი წაართვა. წართმევით შეიძლება წაგართვან ის, რაც ოდესღაც გქონდა და შენი იყო, მაგრამ საქართველოში როდის ზეიმობდნენ მამათმავლობას და როდის იყო, ეს ადამიანები აღლუმებს აწყობდნენ? წაართვეს კი არა, უნდა თქვან, რომ ქართველი საზოგადოება არ იღებს მამათმავლობას, არ ეგუება და არც არასდროს შეეგუება, რა პროპაგანდაც უნდა მიდიოდეს...

**— დავუბრუნდეთ ინტელიგენციას, რომელმაც საპატრიარქოს ბოიკოტი გამოუცხადა. როგორ ფიქრობთ, მათი ეს ნაბიჯი მართლა ზემოქმედების შედეგი იყო თუ რეალურად აქვთ ასეთი პოზიცია?**

— ძნელია, შორიდან ერთმნიშვნელოვნად შეაფასო ადამიანის მოქმედება და საქციელი, მაგრამ ერთი რამ ვიცი: თუ მართლა ღირსეული ადამიანი ხარ და საკუთარ თავს პატივს სცემ, ზეწოლა არ არის იმის გამართლება, რომ უღირსი ნაბიჯი გადადგა. და კიდევ: საინტერესოა, ვის რით აშინებენ. მე, მაგალითად, ვერავინ ვერაფრით დამემუქრება და დამაშინებს, იმიტომ, რომ არაფერია ჩემს ცხოვრებაში ისეთი, რითაც შეიძლება გამაჩუმონ.

**— გინდათ, თქვათ, რომ ვინც გააჩუმეს და დააშინეს, შეიძლება რამით გამოჭერილი ჰყავთ?**

— ყოველ შემთხვევაში, ეს შეკითხვა ჩნდება. როგორ შეიძლება, გაგაჩუმონ, თუ რამეში გასვრილი არ ხარ და, როგორც იტყვიან, ქუდი არ გეწვის, თუ ქრთამი არ აგიღია და ვინმე ფულს არ გიხდის იმისთვის, რომ მისი ხელის ბიჭუნა ან გოგონა იყო?! ახლა არ მინდა, ისე გამომივიდეს, რომ ვინმეს ვამცირებ და შეურაცხყოფას ვაყენებ, ყველამ თვითონ იცის თავისი საქმე, მაგრამ მართლა **არ მესმის, როგორ შეიძლება, ვინმემ უარი გათქმევინოს საკუთარ პრინციპებზე, თუ რაღაც ისეთი არ არსებობს შენზე, რაც თავისთავად გაჩუმებს და ენას ჩაგაგდებინებს?! საერთოდ, პროლეტარს დასაკარგი მხოლოდ ბორკილი აქვს და ამიტომ ყველაფერზეა წამსვლელი. ეს ჩემი ნათქვამი არ არის. ის ხალხი კიდევ, რომელიც თითქოს ინტელიგენციას წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში ფულითაა ნაყიდი, კუდით ჰყავთ დაჭერილი, ამიტომ უჭირთ მათ სიმართლის მხარეს დადგომა.**

რაც შეეხება იმ „არგუმენტს“, რომ ჩვენ მარიონეტული სახელმწიფო ვართ და, რასაც გარედან გვიბრძანებენ, უნდა შევასრულოთ, ისტორიულად საქართველო არაერთხელ ყოფილა დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ და მათ შორის იმპერიებსაც არაერთხელ დაუპყრიათ, მაგრამ, როდესაც ქვეყანას სათავეში ეროვნული ძალები ჰყავდა, ისინი ყოველთვის ახერხებდნენ ტრადიციული კულტურის დაცვას. დღეს ასეთ ძალებს ვერ ვხედავ და ყველაზე დიდი საფრთხეც ეს მგონია, თორემ **ის, რომ სადღაც ვიღაც მამათმავლობის პროპაგანდას შეუერთდა, მართალი გითხრათ, სულ არ მიმაჩნია მნიშვნელოვნად. ასეთი მედროვეები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, უბრალოდ, ხალხმა არ უნდა დაუშვას მათი ბოგინი ხელისუფლების სათავეში.** სამწუხაროდ, დღეს ეს შეცდომა დაშვებულია და შედეგსაც ვიმკით. რაც დრო გადის, მრჩება შთაბეჭდილება, რომ უიმედო მდგომარეობაში ვართ...

## როდესაც ქვეყანას სათავეში ეროვნული ძალები ჰყავდა, ისინი ყოველთვის ახერხებდნენ ტრადიციული კულტურის დაცვას. დღეს ასეთ ძალებს ვერ ვხედავ და ყველაზე დიდი საფრთხეც ეს მგონია

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**მას შემდეგ, რაც სპეცპროკურორ რობერტ მიულერის გამოძიებამ არ დაადასტურა ტრამპის საარჩევნო შტაბის დანაშაულებრივი კავშირი რუსეთის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციას მოსკოვთან ურთიერთობაში „ხელები გაეხსნა“ და მნიშვნელოვანწილად გაზარდა შანსი „დიდი გარიგებისა“, რომლის ფარგლებში ვაშინგტონმა შეიძლება აღიაროს პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად. თუმცა ეს ჯერჯეროზით ვარაუდია, ხოლო აშშ-თურქეთის ურთიერთობის გაუარესება — ფაქტი, რომელმაც საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება, წესით, უნდა დააფიქროს იმაზე, როგორი საგარეო პოლიტიკა შეიძლება დასჭირდეს ქვეყანას ახლო მომავალში.**

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ილუზიების აყოლილები

## აღიარებს თუ არა ვაშინგტონი პოსტსაბჭოთა სივრცეს რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად?

**აშშ-ის ურთიერთობა რეგიონის ორ ძლიერ სახელმწიფოსთან — თურქეთსა და ირანთან — უარესდება. თუ პირველ შემთხვევაში საქმე დიპლომატიურ და ეკონომიკურ დაპირისპირებასთან გვაქვს, მეორეში იარაღის ჟღარუნი ისმის. რას უქადის ეს საქართველოს და ვართ კი მზად მოულოდნელი ცვლილებებისთვის?**

16 მაისს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გააუქმა სავაჭრო პრეფერენციები, რომლებითაც თურქეთი 1975 წლიდან სარგებლობდა, რაც ამ ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. თურქეთის პრობლემები, ინფლაცია იქნება თუ ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება, დაუყონებლივ აისახება საქართველოზეც, ამაში ბოლო წლებში არაერთგზის, თუნდაც ლარის კურსის შემხედვარე, დავრწმუნდით. „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, **ტრამპის ადმინისტრაციის ნაბიჯების შედეგად, თურქეთის მშპ გასული წლის ბოლო კვარტალში 2,5%-ით შემცირდა და პირველად ბოლო ათწლეულში რეცესია დაფიქსირდა. უმუშევრობამ ბოლო 10 წელიწადში რეკორდულ 14,7%-ს მიაღწია (ახალგაზრდებს შორის 27%-ს). 2017 წლის ბოლოდან დღემდე თურქული ლირა 30%-ით გაუფასურდა.**

თეთრი სახლის ბოლო ნაბიჯს ექსპერტების უმრავლესობა თურქეთის მიერ რუსული საზენიტო კომპლექს „ს-400“-ების შეძენას უკავშირებს. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ის ნატოს თავდაცვით სისტემებთან შეუთავსებელია. თურქები, თავის მხრივ, მიუთითებენ, რომ 2015 წელს აშშ-მა მათი ქვეყნის ტერიტორიიდან „პეტრიოტის“ კომპლექსები გაიყვანა, რომელიც თურქეთში სირიის ომის საწყის პერიოდში განთავსდა. ამასთანავე, ვაშინგტონმა ანკარას „პეტრიოტები“ არ მიჰყიდა. ამის შემდეგ თურქული მხარე შეეცადა, ჩინური „ფდ-2000“ შეეძინა, ხოლო შემდეგ მოსკოვს მიმართა. პირველ შემთხვევაში ამერიკელების რეაქცია შედარებით ზომიერი იყო, მეორეში კი — ძალიან მკვეთრი. მათ აშკარად არ ხიბლავს ის, რომ სამხრეთ თურქეთში განლაგებული „ს-400“-ები, რომელთა რადარები 600 კილომეტრის რადიუსში მუშაობს, ახლო აღმოსავლეთის საჰაერო სივრცეს გააკონტროლებს.

თუმცა ეს რუსულ-თურქული გარიგება, ალბათ, უფრო საბაბია, ვიდრე მიზეზი. აშშ-თურქეთის ურთიერთობის გაფუჭება გაცილებით ადრე დაიწყო და განსაკუთრებით 2016 წლის სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ გართულდა. **ტრამპის ადმინისტრაციამ ორმხრივ ურთიერთობებს, პრაქტიკულად, ეკონომიკური ომის სახე მისცა და ამის ერთ-ერთი შედეგი თურქეთისა და რუსეთის დაახლოება გახდა, რომელიც მხოლოდ საზენიტო სისტემების შეძენით როდი შემოიფარგლება. მხარეები აფართოებენ სავაჭრო ურთიერთობებს და, როგორც 6 მაისს ანკარაში ხელმოწერილი შეთანხმებიდან ჩანს, აპირებენ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ორი ქვეყნის დამაკავშირებელ არტერიად აქციონ. ეს ბევრისთვის თბილისში მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა.**

ამასთანავე, დონალდ ტრამპი ცდილობს, ყველა ხიდი არ დაწვას — იმავე დღეს მან 50-დან 25 პროცენტამდე შეამცირა საბაჟო გადასახადი თურქულ ფოლადზე, რასაც ოფიციალური ანკარა მიესალმა. გადასახადის გაზრდამ 2018 წლის აგვისტოში აშშ-ში თურქული ფოლადის ექსპორტი 48%-ით შეამცირა.

პარალელურად მკვეთრად დაიძაბა ვითარება სპარსეთის ყურეში, სადაც 11 მაისს საუდის არაბეთის დროშის ქვეშ მცურავ ტანკერებსა და კიდევ ორ გემზე (ნორვეგიისა და გაერთიანებული საამიროების დროშების ქვეშ) თავდასხმა განხორციელდა. საუდის არაბეთის ხელისუფლებას დამნაშავე ოფიციალურად არ დაუსახელებია, მაგრამ სხვადასხვა ფორმით მიანიშნებდა, რომ თავდასხმის უკან ირანი დგას. **14 მაისს ერ-რიადში გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ იემენურმა დაჯგუფებებმა, რომლებსაც ირანი აკონტროლებს, იერიში მიიტანეს საუდის არაბეთის სანავთობო ინფრასტრუქტურაზე. ამის შემდეგ დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ თეირანი „ძალიან მწარედ ინანებს“, თუ შეტევაზე გადავა. რეგიონში გადაისროლეს ოთხი სტრატეგიული ბომბდამშენი „ბ-52“ და ავიამზიდი „აბრაამ ლინკოლნი“.**

იმავე დღეს „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა ამერიკელი მაღალჩინოსნების ინფორმაციაზე დაფუძნებული სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა **პატრიკ შენაჰენმა** ტრამპს ირანის შესაძლო აგრესიის მოსაგერიებლად ახლო აღმოსავლეთში 120 ათასი სამხედროს გაგზავნა შესთავაზა. გაზეთის ინფორმაციით, ეს მოხდა 9 მაისს უსაფრთხოების საკითხებში ტრამპის მრჩევლების შეხვედრაზე, ხოლო მნიშვნელოვანი გავლენა ახალი გეგმის შედგენაზე **ჯონ ბოლტონმა** მოახდინა და ბევრი მათგანი, ვინც მას გაეცნო, „შოკირებული დარჩა“, რადგან დაახლოებით ამდენი ამერიკელი სამხედრო გადაისროლეს რეგიონში 2003 წელს, ერაყის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციის დაწყების წინ, თუმცა, „ნიუ იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, შენაჰენის გეგმა ირანის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციის ჩატარებას არ ითვალისწინებს.



ერთი წლის წინათ აშშ-მა უარი თქვა 2015 წელს დადებულ „ბირთვულ გარიგებაზე“, რომელიც, ერთი მხრივ, ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვას და, მეორე მხრივ, მის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების მოხსნას ითვალისწინებდა. გასული წლის ოქტომბერში ტრამპის ადმინისტრაციამ აღადგინა სანქციები, ხოლო ამა წლის აპრილში გაამკაცრა. ირანის ეკონომიკას ამის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა. 8 მაისს ირანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ განაახლებს ურანის გამდიდრებას, თუ აშშ 60 დღის ვადაში არ დაადასტურებს მზადყოფნას ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად. რამდენიმე დღეში დაიწყო იდუმალებით მოცული თავდასხმები ტანკერებზე.

დონალდ ტრამპმა „ნიუ იორკ თაიმსის“ ინფორმაციას „ფეიკ-ნიუსი“ უწოდა, თუმცა იქვე დასძინა, რომ მსგავსი გეგმის შედგენის შემთხვევაში რეგიონში „გაცილებით მეტ ჯარისკაცს“ გაგზავნის. ირანის პრობლემა განიხლებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, **მაიკ პომპეოს,** და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, **სერგეი ლავროვის,** შეხვედრაზეც, რომლის შემდეგ პომპეომ თქვა, რომ აშშ არ მიისწრაფვის ომისკენ, მაგრამ სურს, ირანს პოლიტიკა შეაცვლევინოს. ექსპერტებმა დაიწყეს მსჯელობა იმაზე, რა დგას ამ ცნობების უკან — რეალური საომარი სამზადისი თუ ბლეფი, რომელიც მიზნად ისახავს ირანის ხელისუფლებაზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

საგულისხმოა, რომ „ნიუ იორკ თაიმსის“ წერილის შემდეგ საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ ფორუმზე გაიხსნა თემა სახელწოდებით „120 ათასი აშშ სამხედრო ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის საქართველოში“. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში საქართველო საერთოდ არ იყო ნახსენები, მსჯელობა ამ თემაზე საკმაო ხანს გაგრძელდა. ანალოგიური დისკუსია სოციალურ ქსელებშიც გაიმართა. მსგავსი განხილვები ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ხშირად იმართება და, როგორც წესი, აშშ-ირანის ურთიერთობის გართულებას მოსდევს.

განხილვების მონაწილეების ნაწილი, სავარაუდოდ, ოცნებობს „გეოპოლიტიკურ სასწაულზე“, რომლის შედეგად საქართველოში ამერიკული ბაზები გაჩნდება, დაახლოებით ისე, როგორც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გაჩნდა (ავღანეთში ამერიკელების შესვლის პერიოდში). მსჯელობა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის შესაძლო გამოყენებაზე ირანის წინააღმდეგ დროდადრო შედარებით სერიოზულ გამოცემებშიც იწყება, თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, ეს პერსპექტივა საკმაოდ საეჭვოა.

2011 წელს აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ცნობილი ამერიკელი ექსპერტის, **არიელ კოენისა,** და პოლკოვნიკ **რობერტ ჰამილტონის** მოხსენება, რომელიც აგვისტოს ომის შედეგებს ეხება. მასში ნათქვამია, რომ **„რუსეთის კონტროლი სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეზე გამორიცხავს საქართველოსა და აზერბაიჯანში ბაზების, აეროდრომების, ელექტრონული საშუალებებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებას შეერთებული შტატების და, შესაძლოა, ისრაელის საჰაერო ოპერაციებისთვის ჩრდილოეთ ირანის წინააღმდეგ. რუსეთს სურს, რომ ცხელი კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდეს, შეაჩეროს კავკასიაში აშშ-ისა და მოკავშირეების ჯარების გაშლა, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ბაზების გამოყენებით. რუსეთის კონტროლი სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეზე სომხეთში და საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული სამხედრო ბაზებიდან გამორიცხავს აშშ-ის საჰაერო ოპერაციებს მოსკოვის თანხმობის გარეშე“.**

ამ ფაქტორისა და აზერბაიჯანის პოზიციის მიუხედავად, რომელიც ბოლო თვეებში მიზანმიმართულად აფართოებს თანამშრომლობას რუსეთთან და ირანთან (აგვისტოში მოსკოვში სამმხრივი სამიტი გაიმართება), აშშ-ირანის ურთიერთობის ნებისმიერი გართულება ქართულ სოცქსელებში მაინც ამერიკულ ბაზაზე მსჯელობას წარმოშობს. მეტიც, **ზოგი იმასაც კი წერს, რომ მას შემდეგ, რაც აშშ-თურქეთის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდება, ამერიკელების მთავარი პოლიტიკური და სამხედრო პარტნიორი რეგიონი, მისი გეოსტრატეგიული პლაცდარმი სწორედ საქართველო გახდება და ისევ და ისევ ბაზების განლაგებაზე საუბრობენ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და თურქეთის კონტროლისგან თავისუფალი საჰაერო და საზღვაო კომუნიკაციები საქართველოსთან ამერიკელებს, უბრალოდ, არ აქვთ და ეს წარმოსახვით ბაზას იმთავითვე ბლოკადაში აქცევს**. თუმცა ლოგიკური მსჯელობა იქ, სადაც საქმე ეხება ირაციონალურ რწმენასა და „გეოპოლიტიკური სასწაულის“ მოლოდინს, ალბათ, მაინც უადგილოა. ეს ნათლად გამოვლინდა ცოტა ხნის წინათ, როდესაც სალომე ზურაბიშვილის სკეპტიკურ კომენტარს საქართველოში ამერიკული ბაზის გახსნაზე დიდი ვნებათაღელვა და სკანდალი მოჰყვა, რომლის დროსაც თითქმის ყველას დაავიწყდა, რომ განხილვის საგანი — ამერიკული ბაზა საქართველოში, უბრალოდ, არ არსებობს. მისი შექმნის შანსი თითქმის განულდა იმ პირობებში, როდესაც ტრამპის ადმინისტრაცია „ახალი იზოლაციონიზმის“ პოლიტიკას ატარებს და ძველ რეგიონულ პარტნიორებთან, მათ შორის თურქეთთან, ურთიერთობის დაძაბვას არ ერიდება. ამასთანავე, მას შემდეგ, რაც სპეცპროკურორ **რობერტ მიულერის** გამოძიებამ არ დაადასტურა ტრამპის საარჩევნო შტაბის დანაშაულებრივი კავშირი რუსეთის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციას მოსკოვთან ურთიერთობაში „ხელები გაეხსნა“ და მნიშვნელოვანწილად გაზარდა შანსი „დიდი გარიგებისა“, რომლის ფარგლებში ვაშინგტონმა შეიძლება აღიაროს პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად. თუმცა ეს ჯერჯერობით ვარაუდია, ხოლო აშშ-თურქეთის ურთიერთობის გაუარესება — ფაქტი, რომელმაც საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება, წესით, უნდა დააფიქროს იმაზე, როგორი საგარეო პოლიტიკა შეიძლება დასჭირდეს ქვეყანას ახლო მომავალში.

**ლუკა ნემსაძე**

**«რუსეთის კონტროლი სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეზე გამორიცხავს საქართველოსა და აზერბაიჯანში ბაზების, აეროდრომების, ელექტრონული საშუალებებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებას შეერთებული შტატების და, შესაძლოა, ისრაელის საჰაერო ოპერაციებისთვის ჩრდილოეთ ირანის წინააღმდეგ. რუსეთს სურს, რომ ცხელი კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, შესაძლებლობა ჰქონდეს, შეაჩეროს კავკასიაში აშშ-ისა და მოკავშირეების ჯარების გაშლა, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ბაზების გამოყენებით. რუსეთის კონტროლი სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეზე სომხეთში და საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული სამხედრო ბაზებიდან გამორიცხავს აშშ-ის საჰაერო ოპერაციებს მოსკოვის თანხმობის გარეშე»**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ვინმეს ჰგონია, ევროპელები მათ განცხადებებს ბრმად ენდობიან და თვითონ არ იციან, აქ რეალურად რა მდგომარეობაა, ძალიან ცდება. ყველაფერს სწავლობენ და აკვირდებიან, ამიტომაც არის უკვე მათ განცხადებებში მინიშნებები, რომ საქართველო, უკეთეს შემთხვევაში, 20-25 წლის შემდეგ შეიძლება გახდეს ევროკავშირის წევრი. ნატოზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი“.**



სოსო ცინცაძე:

# რატომ არ გაშუქდა მედიაში ის დოკუმენტი, რომელიც მე ვახსენე?

**რამდენიმე დღის წინათ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ესტონელ კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ორი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობებზე ისაუბრა და ამაყად განაცხადა, რომ საქართველო, როგორც სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო, სტრატეგიული პარტნიორებისთვის ერთ-ერთი საიმედო მოკავშირეა აღმოსავლეთ ევროპაში. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთის სახით სერიოზული გამოწვევები არსებობს, ქვეყანა დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას კვლავ სწრაფი ტემპით განაგრძობს: „რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და დემოკრატია კვლავ ვითარდება.**

**თუ რუსეთის მიზანი იყო, ბლოკირება მოეხდინა ამ გზის, ეს მიზანი არ არის მიღწეული. ეს ჩვენი გამარჯვება და მათი დამარცხებაა. ეს ჩვენი საერთო გამარჯვებაა ყველა იმ ქვეყანასთან ერთად, რომლებმაც მხარი დაგვიჭირეს და დღესაც გვიჭერენ...“ მისივე განმარტებით, თურმე ის ფაქტი, რომ, კრემლის ზეწოლის მიუხედავად, ქვეყანა ევროინტეგრაციის პროცესს წარმატებით განაგრძობს, ხელისუფლების სწორი და ადეკვატური პოლიტიკის შედეგია. პრეზიდენტს არ განუმარტავს, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული წარმატება...**

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი არ არის, რომელიც ეკონომიკურ აღმავლობასა და განვითარების სწრაფ ტემპებზე საუბრობს. მანამდე დაახლოებით მსგავსი განცხადება პრემიერმა მამუკა ბახტაძემაც გააკეთა. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა სოციოლოგიური კვლევა ცხადყოფს, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილში მთავრობის პოლიტიკისადმი (განსაკუთრებით — ეკონომიკური) ნდობა მცირდება...

ადეკვატურია თუ არა პრეზიდენტის შეფასება საქართველოს განვითარების ტემპების მიმართ და რა მდგომარეობაა დღეს რეალურად ქვეყანაში?

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ექსპერტი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, ამას წინათ ესტონეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა სალომე ზურაბიშვილმა მედიასთან განაცხადა, რომ დღეს საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად წარმატებული ქვეყანაა. მისი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მხრიდან ზეწოლა დღითიდღე ძლიერდება, ქვეყანა სწრაფ განვითარებას განაგრძობს, რაც თურმე იმის წინაპირობაა, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრები აუცილებლად გავხდებით. როგორ ფიქრობთ, ადეკვატურია ეს შეფასება?**

— ეს შეფასება აცდენილია რეალობას და თანაც კატასტროფულად, მაგრამ ერთია განცხადება და მეორე — ვინ აკეთებს მას. ჩვენი პრეზიდენტი, პრაქტიკულად, არც არის რეალური პოლიტიკური ფიგურა და ვფიქრობ, მისი განცხადება სერიოზულად არ უნდა განვიხილოთ. თუმცა ფაქტია ისიც, რომ მსგავსი რიტორიკა მხოლოდ პრეზიდენტისგან არ ისმის და ბოლო პერიოდში საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებს პრემიერიც. რაც შეეხება სინამდვილეს, რამდენიმე დღის წინათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ათი წლისთავის გამო გამოქვეყნდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინდექსი, რომელშიც დეტალურადაა განხილული ამ პარტნიორობის წევრი ექვსი სახელმწიფოს: **უკრაინის, მოლდოვის, ბელარუსის, სომხეთის, აზერბაიჯანისა** და **საქართველოს** ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა. ახლა — მოკლედ, რა დასკვნები წერია ამ დოკუმენტში: უკრაინა — ნელი პროგრესი, ბელარუსი, მოლდოვა — დაახლოებით იგივე, საქართველო — ნელი რეგრესი და სომხეთი, აზერბაიჯანი — უარესი. ანუ, საუბარია არა იმაზე, რომ საქართველო წინ მიდის და ვითარდება, არამედ საუბარია უკუსვლაზე. სხვათა შორის, იქვე მოყვანილია **ფედერიკა მოგერინის** მოხსენებაც, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ პრობლემაა ცუდი მმართველობა, კორუფცია, ეკონომიკური განვითარების შენელება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული სერიოზული ხარვეზები და ა.შ. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: **როდესაც გამუდმებით ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობენ პრეზიდენტით დაწყებული, მინისტრებითა და მთავრობის მეთაურით დამთავრებული, სად ჩანს ეს ზრდა? სად ჩანს ეს განვითარება და სწრაფი ტემპები?**

**«რამდენიმე დღის წინათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ათი წლისთავის გამო გამოქვეყნდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინდექსი, რომელშიც დეტალურადაა განხილული ამ პარტნიორობის წევრი ექვსი სახელმწიფოს: უკრაინის, მოლდოვის, ბელარუსის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა. ახლა — მოკლედ, რა დასკვნები წერია ამ დოკუმენტში: უკრაინა — ნელი პროგრესი, ბელარუსი, მოლდოვა — დაახლოებით იგივე, საქართველო — ნელი რეგრესი და სომხეთი, აზერბაიჯანი — უარესი. ანუ, საუბარია არა იმაზე, რომ საქართველო წინ მიდის და ვითარდება, არამედ საუბარია უკუსვლაზე»**

**— პრემიერმა განაცხადა, რომ მუნიციპალური ბიუჯეტები გაიზარდა და ასი პროცენტით შესრულდა.**

— ეს არის წმინდა წყლის დემაგოგია, რომელსაც ვისმენთ, უკვე კარგა ხანია. მერე მოჰყავთ რაღაც კვლევები და ანგარიშები, რომლებშიც წერია, რომ თურმე სერიოზული ეკონომიკური ზრდა გვაქვს. რატომ არ გაშუქდა მედიაში, ვთქვათ, ის დოკუმენტი, რომელიც მე ვახსენე? **ბიუჯეტი შეიძლება ასი პროცენტითაც შესრულდეს და ხუთასითაც, მაგრამ რა აზრი აქვს, თუ ამ ყველაფერს რიგითი მოქალაქე ვერ გრძნობს?!** მე, მაგალითად, მირჩევნია, ბიუჯეტი ნაკლებად შესრულდეს, ოღონდ ფასები დაბალი იყოს, ლარი არ გაუფასურდეს, შეიქმნას სამუშაო ადგილები და ა.შ. თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ ფასებიც იზრდება, ინფლაციაც მაღალია და უმუშევრობა ხომ არის და არის. სხვათა შორის, **იმ არარსებულ ეკონომიკურ ზრდაზე გაკეთებული აბსურდული განცხადებების შედეგია ის, რომ აქედან შიმშილსა და სიღატაკეს გაქცეულ ჩვენს მოქალაქეებს ძალიან უჭირთ ევროპაში თავის დამკვიდრება.** მათ ეუბნებიან: საქართველო არის უსაფრთხო, მზარდი ეკონომიკის ქვეყანა და მიბრძანდით... ამ დროს რეალურად საქართველო არის სრული ეკონომიკური რეგრესის ქვეყანა. არ ვიცი, ჩვენი დიპლომატია დღეს რაზე მუშაობს: იმაზე, რომ ევროპელებს თავი მოაწონოს, თუ იმაზე, რომ რეალურად რამე სასიკეთო გააკეთოს ქვეყნისთვის. თავს თუ აწონებენ, ესეც არ გამოსდით, ვინაიდან, **თუ ვინმეს ჰგონია, ევროპელები ამათ განცხადებებს ბრმად ენდობიან და არ იციან, აქ რეალურად რა მდგომარეობაა, ძალიან ცდება. ყველაფერს სწავლობენ და აკვირდებიან. ამიტომაც არის უკვე მათ განცხადებებში მინიშნებები, რომ საქართველო, უკეთეს შემთხვევაში, 20-25 წლის შემდეგ შეიძლება გახდეს ევროკავშირის წევრი. ნატოზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი.**

**— თქვით, რომ პრეზიდენტის შეფასება რეალობას აცდენილია. როგორ ფიქრობთ, რისთვის კეთდება ეს განცხადებები, რაზე შეიძლება ეს სინამდვილეში გათვლილი იყოს?**

— ვფიქრობ, უბრალოდ, კურსია ასეთი აღებული და ამით იქმნება გარკვეული ილუზიები. პარალელურად იმ სიდუხჭირისა და გაჭირვებისა, რომელიც რეალურად არის ქვეყანაში, მოსახლეობას არწმუნებენ, რომ სინამდვილეში მდგომარეობა არც ისე მძიმეა, როგორც გვგონია. რა თქმა უნდა, **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელისუფლებამ არ იცის, რა განწყობებია მოსახლეობაში და რა პროცესი მიდის. ცხადია, იცის და იმასაც ხვდება, რომ მსგავსი ცინიკური განცხადებებით უკმაყოფილებას კიდევ უფრო ზრდის. უბრალოდ, ხელისუფალთა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორმე გაიხანგრძლივონ ქვეყნის სათავეში ყოფნა; ოღონდ არა იმით, რომ წარმატებული პოლიტიკა ჰქონდეთ, ამაზე თავს არ იწუხებენ, არამედ იმით, რომ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარონ და ილუზია შეუქმნან.**

**— თქვენი აზრით, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?**

— თავის დროზე სააკაშვილის მიმართ იყო დიდი უკმაყოფილება და ეს წლების განმავლობაში გროვდებოდა, მაგრამ, სანამ არ შეიქმნა კონკრეტული პოლიტიკური ძალა, რომელიც აღმოჩნდა კატალიზატორის როლის შემსრულებელი, ის განაგრძობდა დაგროვებას. ანალოგიური რამ ხდება დღესაც: **ხელისუფლების მიმართ არის მზარდი უკმაყოფილება, რომელიც გროვდება და გროვდება, მაგრამ რეალური პოლიტიკური ალტერნატივის არარსებობის გამო ეს უკმაყოფილება შედეგში ვერ აისახება. ამიტომაც არის მოსახლეობაში ნიჰილიზმი და უნდობლობა მთლიანად პოლიტიკური სპექტრისადმი, რაც ყველაზე ნათლად და მკაფიოდ არჩევნების დროს ჩნდება ხოლმე.** ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლო რამდენიმე წელია, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მიდის არჩევნებზე. იმიტომ, რომ არსებულ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც არის დეგრადირებული, ნდობა აქვს დაკარგული. აი, ეს პოლიტიკური სიმახინჯე უნდა დასრულდეს და მერე ვნახავთ, როგორ შეძლებს დღევანდელი მმართველი გუნდი ძალაუფლების შენარჩუნებას. მანამდე, რა თქმა უნდა, ყოველთვის მოვისმენთ აბსურდულ გამოსვლებსა და განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ეკონომიკა იზრდება, რომ ქვეყანა ვითარდება და ყველაფერი კარგადაა და ა.შ.

**— რეალური პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბების პერსპექტივას თუ ხედავთ ახლო მომავალში?**

— ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში ამის რეალურ ნიშნებს, კონკრეტულ თარიღებზე რომ ვილაპარაკოთ, ვერ ვხედავ.

რაც შეეხება განწყობებს საზოგადოებაში, მე, ძირითადად, მეცნიერულ წრეებთან მაქვს ურთიერთობა და ჯერჯერობით ჩემ გარშემო კმაყოფილი არავინ მინახავს. თუმცა ეს, როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებისთვის არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი. ის მშვენივრად აკეთებს თავის საქმეს. მოკლედ, ჩვენი რეალობა ასეთია: მედლის ერთი მხარეა ის, რომ ნაციონალები არ უნდა დაბრუნდნენ, ხოლო მეორე მხარე — რომ „ოცნება“ არასოდეს არ უნდა წავიდეს. მორჩა. სხვა დანარჩენი — ის, რომ საქმე გაკეთდეს, ეკონომიკა განვითარდეს, ხალხი დასაქმდეს და ა.შ., არავის არ აინტერესებს.

— **ნიჰილიზმი ახსენეთ და ხომ არ ფიქრობთ, რომ საზოგადოების ინერტულობის შედეგიც არის ნაწილობრივ ეს ყველაფერი?**

— ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება ინერტულია, ხალხი მეტნაკლებად ყოველთვის არის აქტიური, მაგრამ დააკვირდით ბოლო წლების მოვლენებს: ირჩევენ ერთს, აღმოჩნდება, რომ თურმე სულ სხვა ძალა ყოფილა. მერე იწყება გამოსვლები. მერე ჩნდება მეორე და ყველას ჰგონია, რომ გვეშველა, მაგრამ უარესს ვიღებთ... აი, ამ ყველაფერმა, ჯამში, გამოიწვია ის, რომ საზოგადოება გადავიდა ქრონიკულ ნიჰილიზმში. აღარაფრის და არავის აღარ სჯერათ უკვე. ისე, თუ ვინმე ხეირობს ამ მდგომარეობით, ისევ ხელისუფლება, რომლის ერთადერთ საზრუნავს წარმოადგენს ის, რომ როგორმე გაიხანგძლივოს ძალაუფლება. მორჩა, სხვა დანარჩენი მისთვის ლობის ჩხირია. მოახლოვდება არჩევნები — დაფაცურდებიან და გაიფორმებენ გამარჯვებას.

**«ბიუჯეტი შეიძლება ასი პროცენტითაც შესრულდეს და ხუთასითაც, მაგრამ რა აზრი აქვს, თუ ამ ყველაფერს რიგითი მოქალაქე ვერ გრძნობს?!»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არჩევნებზე დარეგისტრირებულია 49 არასამთავრობო ორგანიზაცია, თითო უბანზე მათ თითო კაცის ყოლის უფლება აქვთ. ამას დაუმატეთ გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი 11 პარტია თავისი თითო დამკვირვებლით და გამოვა, რომ მხოლოდ ერთ უბანზე ოპოზიციას 60 კაცის მობილიზება შეუძლია. ეს მაშინ, როცა იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები ბოლო ხმაზე გაჰკივიან: არჩევნების დღეს ხელისუფლებას უბნებზე სამი კაცის ყოლის უფლება აქვს, რაც არასამართლიანიაო. ანუ, მათი 60-ის წინააღმდეგ ხელისუფლების 3 კაცი არასამართლიანად ჩანს. ასეთი სამართლით ცხოვრობდნენ ისინი წინა ხელისუფლების პერიოდში და ასეთი სამართლის დაბრუნება უნდათ ახლაც.**

# რატომ იკლავენ არასამთავრობოები თავს ნაციონალების გამო?




**რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ფაცაციამ სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა: „თინა ბოკუჩავამ ისეთი განათლებული ვარო, მიშამ პირდაპირ პარლამენტში „დამამთავრებინა“, ბოდიში, გამათავებინაო უნივერსიტეტიო“ (სტილი დაცულია). ამის შემდეგ ფაცაცია სექსისტურ და შეურაცხმყოფელ განცხადებაში დაადანაშაულეს, ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის შეფის, ბაია პატარაიას, ხელმძღვანელობით პრესკონფერენციაც გამართეს და ფაცაციას საკრებულოდან გარიცხვაც კი მოითხოვეს. საზოგადოდ, ნებისმიერ განცხადებას, რომელიც ადამიანს შეურაცხყოფს, ვემიჯნებით და ვგმობთ, მაგრამ...**

საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილს** ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორმა **ნიკა გვარამიამ** ტელეეთერში დედა აგინა და სხვა შეურაცხმყოფელი ფრაზითაც მოიხსენია, აგენტობაშიც დაადანაშაულა და აკადრა ყველაფერი, რისი კადრებაც, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. ჰოდა, არ გვახსოვს, გვარამიას ამ განცხადებების შემდეგ პატარაია (ან რომელიმე არასამთავრობო) აღშფოთებულიყო: ტელეკომპანიის დირექტორი ქალს ლანძღავსო. როცა ოპოზიცია უშვერი სიტყვებით ილანძღება, არასამთავრობოები დუმან, ხოლო, როცა ხელისუფლების წარმომადგენელი იმავეს გაიმეორებს, მაშინვე წაესევიან ხოლმე და ამუნათებენ.

ეს არის კონკრეტული ადამიანებისა და კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია. ისინი, ერთი შეხედვით, დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან, რეალურად ნაციონალების მხარეს იდგნენ, როცა ისინი ხელისუფლებაში იყვნენ და მათ მხარეს არიან ახლაც, როცა ოპოზიციაში არიან. **ალბათ, საინტერესოა, რატომ იკლავენ არასამთავრობოები თავს ნაციონალების გამო.**

საქმე ის არის, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას“ ევროპელმა და ამერიკელმა პატრონებმა უბრძანეს არასამთავრობო სექტორის გაძლიერება. შესაბამისად, მათაც შექმნეს სატელიტი ორგანიზაციები, ოფიციალურად დამოუკიდებელი არასამთავრობოები, რეალურად კი ნაციონალებზე დამოკიდებულ-ჩამოკიდებული ორგანიზაციები. სწორედ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნისას მათი გადაწყვეტილებით ხდებოდა კონკრეტული ორგანიზაციებისთვის გრანტების გაცემა, მათი მეშვეობით გადიოდა ნებისმიერი თანხა და ხშირად არცთუ მცირე „ატკატების“ სახით უკან ბრუნდებოდა. არასამთავრობოებს ვინ ჩივის, როცა ძალიან გაუჭირდათ, ნაციონალებმა ისიც კი დაამტკიცეს, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტი მათი იყო და უფლებადამცველი **გიორგი ტუღუში** სასჯელაღსრულების მინისტრად დანიშნეს, — აქაოდა, ნეიტრალური კაცი მიხედავს ყველაზე მძიმე სფეროსო, მაგრამ, როგორც კი ოპოზიციაში გადავიდნენ, ტუღუშმა დატოვა თანამდებობა და მათი პარტიის წევრი გახდა.

საზოგადოდ, მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტები არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდ ყურადღებას უთმობენ და მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ. **2012 წლის შემდეგ საქართველოში არსებული არასამთავრობო სექტორი საერთაშორისო ორგანიზაციებში მხოლოდ უარყოფით დასკვნებს გზავნის, სიტუაციას შეგნებულად ამძიმებს და თითს ხელისუფლებისკენ იშვერს. და ეს ხდება მაშინ, როცა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს რაიმე წამოსცდება, მაგრამ ხმას არ იღებენ, როცა ოპოზიცია იმავეს ან უფრო უარესს აკეთებს.** ერთი წამით წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ვინმეს ნიკა გვარამიასთვის იგივე რომ ეთქვა, რასაც ის ბიძინა ივანიშვილის ან სალომე ზურაბიშვილის მისამართით ამბობს. მაშინვე ატყდებოდა ისტერიკა, რომ დამოუკიდებელ მედიას უტევენ, რომ ეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაა; შეიქმნებოდა ჯგუფი ნიკა გვარამიას დასაცავად და მის სახლთან პატრულირებასაც კი დაიწყებდნენ, — ემანდ აქოჩრილი თავიდან ღერი თმა არ ჩამოუვარდესო. ეს არის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, თუმცა...

ხელისუფლების მინუსია ის, რომ ვერ გააძლიერა დამოუკიდებელი არასამთავრობო სექტორი. ამის მცდელობა ჰქონდა ივანიშვილს, როცა ორგანიზაცია „მოქალაქე“ შექმნა, მაგრამ ეს იდეა ჩანასახშივე მკვდარი იყო, რადგან ნათლად ჩანდა, ივანიშვილს გაუჭირდებოდა თავისივე შექმნილი გუნდის კრიტიკა. ასეც მოხდა: „მოქალაქე“, პრაქტიკულად, აღარ არსებობს და მის ფონზე ჩაიყლაპა ყველა არასამთავრობო, რომლებსაც დამოუკიდებლობის პრეტენზია ჰქონდათ.

სამაგიეროდ, უფრო გაძლიერდნენ ისინი, ვისაც წინა ხელისუფლება აფინანსებდა. წინა ხელისუფლების მიერ პიარში დახარჯული მილიონობით ლარი დღესაც მუშაობს და ის ორგანიზაციები, რომლებსაც ფულს ურიცხავდნენ, დღესაც აქტიურად განაგრძობენ ნაციონალების საქმიანობის პროპაგანდას საერთაშორისო მასშტაბით, რადგან ზუსტად იციან, მათი დაბრუნების შემთხვევაში, მილიონები ისევ მათი ყულაბისკენ დაიძვრება. უცნაურია, მაგრამ ფაქტი — **ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ქართული ოცნების“ ლიდერები ერთხმად ამბობენ, რომ არ**

**კარგი იქნება, თუ სწორედ ხელისუფლება დაარქმევს ყველას და ყველაფერს თავის სახელს; კარგი იქნება, თუ იგივე ფაცაცია (რომელმაც შეტევას ვერ გაუძლო და პოსტი წაშალა) გამოვა და მარტივად იკითხავს: რატომ არ იცავენ ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები ქვეყნის პირველ პირს? კარგი იქნება, თუ სახელმწიფო აუდიტი, რომელიც სწავლობს საჯარო სამსახურების ფინანსურ საქმიანობას, შეისწავლის და გამოაქვეყნებს არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლებსა და მათ საქმიანობას. იქ გამოჩნდება, რა ოდენობის თანხები ერიცხებათ ჩვენს ლანძღვაში არასამთავრობოებს, რა შემოსავლებს იღებენ და რამდენი ათასი ლარი აქვთ ხელფასად დანიშნული**

**უვარგათ პიარი, რომ ბევრ რამეს აკეთებენ, მაგრამ გაკეთებული საქმეები, საერთაშორისო დონემდე კი არა, ხალხამდეც ვერ მიაქვთ. ჰოდა, ამ 7 წელიწადში არ გამოჩნდა არავინ და არაფერი, ვინც ამ ყველაფერს თავს დაადგამდა, ვინც მიხედავდა, გააკონტროლებდა. ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, დაახლოებით ისე, როგორც ეროვნული ვალუტა, რომელზეც ივანიშვილმა განაცხადა: თავისუფალ ცურვაშია და ნუ გიკვირთ მისი რყევებიო.** ასე თავისუფალ ცურვაშია არასამთავრობო სექტორიც ხელისუფლების მხრიდან და რყევებიც აშკარაა, თუმცა, ვალუტისგან განსხვავებით, ეს რყევები ხელისუფლების გაოცებას იწვევს.

ნამდვილად არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ ქვეყანაში ყველაფერი დალაგებულია, თუმცა ის აპოკალიფსი, რომელსაც ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი ხატავს, ნამდვილად არ არის რეალობასთან ახლოს. ახლაც, წინასაარჩევნოდ, არასამთავრობო სპექტრი ოპოზიციის მხარეს იყო და ეს მაშინ, როცა მან ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც დამკვირვებლებად მუშაობდნენ უბნებზე, მხარს დაუფარავად უჭერდნენ ოპოზიციას. იყო ასეთი შემთხვევაც, როცა საპრეზიდენტო არჩევნებზე, ერთ-ერთ უბანზე ხმების დათვლის შემდეგ დამკვირვებელმა დარეკა და სიხარულით ამცნო: მოვიგეთ! იმ უბანზე მაშინ **გრიგოლ ვაშაძემ** გაიმარჯვა, არასამთავრობოს წარმომადგენელს კი ბეიჯზე „საია“ ეწერა.

ისიც ვთქვათ, რომ იგივე საია უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს ყველას, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგ მიდის და არასდროს ეხმარება მათ, ვინც ხელისუფლებას უჭერს მხარს. ამიტომ **საქართველოში მოქმედ არასამთავრობოებს თავისუფლად შეუძლიათ, სახელი გადაირქვან და „ნაციონალური მოძრაობის“ დანამატებად დარეგისტრირდნენ.** არაერთი შემთხვევა ყოფილა, რომ განსაკუთრებით გამორჩეული და აგრესიული არასამთავრობოების ბოსები ნაციონალებს ხელისუფლებაში წაუყვანიათ ან პარლამენტში დაუსვამთ საპარლამენტო სიით. სწორედ სიით, რადგან რეალურად, ამომრჩეველს არასამთავრობოები არ მოსწონს და მათ ხმას არასდროს აძლევს.

**საქართველოში მოქმედ არასამთავრობოებს თავისუფლად შეუძლიათ, სახელი გადაირქვან და «ნაციონალური მოძრაობის» დანამატებად დარეგისტრირდნენ**

ხელისუფლებისთვის რჩევის მიცემას არ ვაპირებ, რადგან ის, ძირითადად, ინსტიქტით მოქმედებს, მაგრამ ძალიან **კარგი იქნება, თუ სწორედ ხელისუფლება დაარქმევს ყველას და ყველაფერს თავის სახელს. კარგი იქნება, თუ იგივე ფაცაცია (რომელმაც შეტევას ვერ გაუძლო და პოსტი წაშალა) გამოვა და მარტივად იკითხავს: რატომ არ იცავენ ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები ქვეყნის პირველ პირს? კარგი იქნება, თუ სახელმწიფო აუდიტი, რომელიც სწავლობს საჯარო სამსახურების ფინანსურ საქმიანობას, შეისწავლის და გამოაქვეყნებს არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლებსა და მათ საქმიანობას.** იქ გამოჩნდება, რა ოდენობის თანხები ერიცხებათ ჩვენს ლანძღვაში არასამთავრობოებს, რა შემოსავლებს იღებენ და რამდენი ათასი ლარი აქვთ ხელფასად დანიშნული. ჰო, ათასობით ლარი, რომელსაც ისინი ყოველთვიურად იღებენ და ამ ლარების გამო რეალობის განცდა დაკარგული აქვთ. მათთვის მთავარი ის არის, რომ ზედაპირზე იტივტივონ, ყოველთვის ხმა აღიმაღლონ, ოღონდ არა ოპოზიციის, არამედ ხელისუფლების წინააღმდეგ. ახლაც, ჩატარებულ არჩევნებზე, ყველაზე მეტი საჩივარი სწორედ არასამთავრობოების მხრიდან დაიწერება და მსოფლიოს საერთაშორისო ინსტიტუტებმაც რომ აღიარონ არჩევნების სწორად და კარგად ჩატარება, ისინი მაინც არ აღიარებენ. ეს იმიტომ, რომ სურთ, ხელისუფლებაში მათი შემქმნელები დაბრუნდნენ, რათა ფრთები უფრო ფართოდ გაშალონ და ხელფასს, კიდევ რამდენიმე ათასი თუ არა, რამდენიმე ასეული ლარი მაინც დაუმატონ.

აქვე გეტყვით, რომ **არჩევნებზე დარეგისტრირებულია 49 არასამთავრობო ორგანიზაცია, თითო უბანზე მათ თითო კაცის ყოლის უფლება აქვთ. ამას დაუმატეთ გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი 11 პარტია თავისი თითო დამკვირვებლით და გამოვა, რომ მხოლოდ ერთ უბანზე ოპოზიციას 60 კაცის მობილიზება შეუძლია. ეს მაშინ, როცა იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები ბოლო ხმაზე გაჰკივიან: არჩევნების დღეს ხელისუფლებას უბნებზე სამი კაცის ყოლის უფლება აქვს, რაც არასამართლიანიაო. ანუ, მათი 60-ის წინააღმდეგ ხელისუფლების 3 კაცი არასამართლიანად ჩანს. ასეთი სამართლით ცხოვრობდნენ ისინი წინა ხელისუფლების პერიოდში და ასეთი სამართლის დაბრუნება უნდათ ახლაც.**

**ბესო ბარბაქაძე**

რეგიონი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერს მხარს. ამის ნათელი დადასტურებაა ზუგდიდის მერის არჩევნებიც, სადაც ელექტორატის მხოლოდ 46% პროცენტი მივიდა საარჩევნო ყუთებთან და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იქ იმ გადამთიელი ქალისა და ნაცხროვის ხელისუფლებაში დაბრუნების შიშმა მიიყვანა. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში ხალხში ვრცელდება აზრი, რომ ამიერიდან აღარ აპირებენ, ქოცების ხელისუფლებას რამე წაუყრუონ“.**



# ზურაბ კვარაცხელია: ხალხს არ სურს იმ შლეგი ნაპრეზიდენტალისა და მისი სექტის კვლავ ხელისუფლებაში ხილვა

**19 მაისს საქართველოს 6 საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნები ჩატარდა. ერთ-ერთი იყო ზუგდიდის 67-ე ოლქი, აქ მერობის კანდიდატი საქართველოს ნაპრეზიდენტალის და ოდესის ყოფილი გუბერნატორის მეუღლე — სანდრა ელისაბედ რულოვსი გახლდათ. მავანი ბევრს ცდილობდა, დაენერგა აზრი, რომ რულოვსის წაგების შემთხვევაში სამეგრელოდან დაიწყებოდა „რევოლუციის“ ტალღა. რულოვსმა ძლივს წააგო, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. რატომ დაეცა „ქართული ოცნების“ რეიტინგი? რამ გააბრაზა ზუგდიდელები ასე ძალიან, რომ მმართველ პარტიას არჩევნებში წაგების საშიშროება შეუქმნა? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ კვარაცხელია გვესაუბრება.**

**— ზუგდიდში მერის არჩევნები დიდი ძალისხმევის შედეგად მოიგო „ოცნებამ“. რამ განაპირობა მმართველი პარტიის რეიტინგის დაცემა?**

— მინდა, მივულოცო ჩემს ზუგდიდელებს მორიგი განსაცდელისგან თავის ღირსეულად დაღწევა. ჩემმა ზუგდიდელებმა, მიუხედავად გაუგონარი წნეხისა, კრიტიკულ სიტუაციაში კიდევ ერთხელ გამოავლინეს ჩემი კუთხის ხალხისთვის დამახასიათებელი სიფხიზლე და გონიერება.

**— რატომ დასჭირდა „ოცნებას“ მაქსიმალური მობილიზება? რით არის ხალხი უკმაყოფილო: იმით, რომ მართლა არაფერი კეთდება, იმით, რომ გაკეთებულიც ფუჭდება, თუ იმით, რომ ნაცებსა და ქოცებს შორის რეალური განსხვავება ვერ დაინახა?**

— საქმე ის არის, რომ სამეგრელოსა და, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან გაცილებით მეტს მოელოდა. მოელოდა იმიტომ, რომ „ოცნება“ დაპირებებს უხვად არიგებდა და ხალხმაც დაუჯერა. დაუჯერა, უპირველესად, ბიძინა ივანიშვილის დაპირებებს. ხალხი ელოდებოდა ყოფითი პრობლემების მოგვარებას. კი, ბატონო, შეიძლება ეს მოლოდინი ხშირად თავიდანვე იყო საფუძველს მოკლებული, მაგრამ **ივანიშვილის ხელისუფლებას გაცილებით მეტი რომ უნდა გაეკეთებინა ხალხისთვის, ფაქტია. ბევრ რამეში მოატყუეს ხალხი „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმა.** ვერ ვიტყვი იმას, რომ სამუშაო ადგილები ახალი ხელისუფლების პერიოდში შემცირდა. სამუშაო ადგილების რაოდენობამ სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან შედარებით შეიძლება მცირედ, მაგრამ მაინც მოიმატა. ხალხს სურდა, სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩადენილი აურაცხელი დანაშაულის გამო ნაცხროვას პასუხი ეგო, მაგრამ ე.წ. კოაბიტაციის პოლიტიკის წყალობით, ამის იმედიც მწარედ გაუცრუვდა.

იყო იმის მოლოდინიც, რომ 1991-92 წლების კრიმინალური პუტჩის მოწყობაში დამნაშავე პირებიც დაისჯებოდნენ, მაგრამ არც ეს მოხდა. ხალხს ასევე ჰქონდა აშკარა მოლოდინი იმისა, რომ ეროვნულ და ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებს ხელისუფლება მტკიცედ დაიცავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოლოდინიც ფუჭი აღმოჩნდა. ფუჭი აღმოჩნდა ასევე პატრიოტი ადამიანების მოლოდინი, რომ სააკაშვილის ხელისუფლების შემდგომი ხელისუფლება კარდინალურად შეცვლიდა მეზობელ ზესახელმწიფო რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკას. არადა, იციან საღად მოაზროვნე ადამიანებმა, რომ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების გასაღები ბრიუსელსა და ვაშინგტონში კი არა, კრემლის მთავარ კაბინეტშია. ერთი სიტყვით, ადამიანებმა პრინციპული განსხვავება წინა და ამჟამინდელ ხელისუფლებათა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში ვერ დაინახეს და, კაცმა რომ თქვას, ამაში მართლებიც არიან. **შევარდნაძის, სააკაშვილისა** და **ივანიშვილის** (ფაქტობრივად ასეა) ხელისუფლება-მთავრობათა შორის არსებობს ერთი საერთო — ყველა მარიონეტულია და ყველა იმართებოდა და იმართება ოკეანისგაღმელი ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოდან. პლუს ამას სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი და მივიღეთ რეალობა: არსებული ხელისუფლების დაბალი რეიტინგი. **ერთადერთი, რისი წყალობითაც მმართველი პარტია ჯერჯერობით ახერხებს კოაბიტირებულ ნაცმოძრაობასთან საარჩევნო კონკურენციაში წარმატებას, არის მოსახლეობაში ნაცბანდის „ციხისტური“ მმართველობის დაბრუნების შიში. ხელისუფლებამ ეს კარგად იცის და მუდმივად ამაზე აპელირებს. ეს უნამუსობაა, რადგან იმ „ციხისტური“ მმართველობის დაბრუნების რეალურობაში სწორედ თვითონ არის დამნაშავე.**

უნამუსობაა მუდმივად ტრაბახი იმაზეც, რომ კიდევ ერთი არჩევნები მოიგეს და ეს თითქოს იმას ნიშნავს, რომ ხალხი მხარს უჭერს მათ მმართველობას. **ხალხი, „ქართული ოცნების“ მმართველობას კი არა, ნაცბანდიტების პოლიტიკურად და სამართლებრივად დასამარებას უჭერს მხარს. ხალხს არ სურს იმ შლეგი ნაპრეზიდენტალისა და მისი სექტის კვლავ ხელისუფლებაში ხილვა. ხალხს დღემდე უწევს ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთება,** მაგრამ არ ვიცი, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ან ნებისმიერ მომდევნო არჩევნებში ეს მეთოდი გამოადგება თუ არა არსებულ რეჟიმს. ხალხი ხვდება ხელისუფლების ამ ვირეშმაკობას და საზოგადოებაში თანდათანობით მწიფდება აზრი, რომ უკვე დროა, მოხდეს თვისობრივად ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ფორმირება. მართალი გითხრათ, ამ ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების აუცილებლობა მეც დიდი ხანია, საჭიროდ მიმაჩნია და ამის თაობაზე აზრიც საჯაროდ ბევრჯერ გამოვთქვი. ვნახოთ, რა მოხდება ხვალ და ზეგ. ზუგდიდში და, საერთოდ, სამეგრელოში ამის რესურსი ნამდვილად არსებობს. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ **რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერს მხარს. ამის ნათელი დადასტურებაა ზუგდიდის მერის არჩევნებიც, სადაც ელექტორატის მხოლოდ 46% პროცენტი მივიდა საარჩევნო ყუთებთან და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იქ იმ გადამთიელი ქალისა და ნაცხროვის ხელისუფლებაში დაბრუნების შიშმა მიიყვანა. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში ხალხში ვრცელდება აზრი, რომ ამიერიდან აღარ აპირებენ, ქოცების ხელისუფლებას რამეზე წაუყრუონ.**

**«ხალხი მშვენივრად ხვდება ხელისუფლების ამ ვირეშმაკობას და საზოგადოებაში თანდათანობით მწიფდება აზრი, რომ უკვე დროა, მოხდეს თვისობრივად ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ფორმირება»**

**— თუ „ოცნებამ“ კვლავ ისე განაგრძო, როგორც აქამდე, ანუ არაფერი გააკეთა, როგორ ფიქრობთ, რა შედეგს მიიღებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში: კვლავ შეძლებს ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას?**

— ხალხი სერიოზულადაა გაბრაზებული და მიაჩნია, რომ ნაცბანდასთან ერთად ქოცებიც პოლიტიკურ სანაგვეზეა გადასაგდები. იმედი მაქვს, ხელისუფლებაში მყოფი თითზე ჩამოსათვლელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები ყურს მიუგდებენ ხალხის გულისთქმას და ადეკვატურად გაირჯებიან. არ ვაპირებ „ფრჩხილების“ ბოლომდე გახსნას, მაგრამ ჩემ მიერ ზემონახსენები ახალი პოლიტიკური მოძრაობის, ე.წ. მესამე პოლიტიკური ძალის ფორმირებაში ამ ხელისუფლებაში მყოფ საღად მოაზროვნე პიროვნებებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ. ერთ რამეს კი არ დავმალავ: მაქვს დიდი სურვილი, მოლოდინიც, რომ ახალი ძალის ფორმირებაში პოზიტიურ და გადამწყვეტ წვლილს შეიტანს დიდი ინტელექტუალი და ეროვნული მოღვაწე, აკადემიკოსი **ალექსანდრე ჭაჭია.**

მოკლედ, ასეა თუ ისე, ზუგდიდში მერის არჩევნები ჩატარდა და, როგორც უკვე აღვნიშნე, მოსახლეობას, მათ შორის, ნამდვილი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს მოგვიწია რეალობის გათვალისწინებით ცუდსა და უარესს შორის არჩევანი. **ჩვენ ვერ დავუშვებდით ჩვენს საამაყო და საფიცარ ზუგდიდში საქართველოს სახელით ჰოლანდიაში ფალოსის გამომფენი ნაცოცხისტების გადამთიელი დედოფლის მერად არჩევას. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ე. წ. მიშას ზვიადისტებს მე საერთოდ არ ვთვლი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებად. შესაძლოა, წარსულში მართლაც იყვნენ, მაგრამ ამჟამად ისინი არიან დეგრადირებულები და სამარცხვინოები.**

**— რა აქვს გასაკეთებელი ზუგდიდის ახალ მერს, რით უნდა გამოხატოს მადლიერება ზუგდიდელების მიმართ?**

— მინდა, ბატონ **გეგა შენგელიას** გულწრფელად მივულოცო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერად არჩევა და წარმატებები ვუსურვო. მაგრამ მეეჭვება, არსებული სისტემის პირობებში მან მნიშვნელოვანი და სასიკეთო საქმეების კეთება შეძლოს. მას მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობ. სულ ორჯერ თუ სამჯერ შევხვედრივარ, ისიც საჯარო ღონისძიებებზე. ამბობენ, რომ ის არ არის ცუდი პიროვნება. ამბობენ იმასაც, რომ გამოირჩევა კარგი პიროვნული თვისებით. რაც ასევე მნიშვნელოვანია, არის კარგი ოჯახიშვილი. ვუსურვებ, თითოეული ზუგდიდელის გასაჭირი და ტკივილი გულთან ახლოს მიეტანოს და შესაძლებლობის ფარგლებში შეეცადოს, ნამუსიანად ილვაწოს. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი დაგვანახვებს.

თვით ის ფაქტი, რომ, მიუხედავად დიდი მობილიზაციისა და მცდელობისა, დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა — ენმ-მ, ედპ-მ და ე. წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, ნამდვილად დადებითი მოვლენაა. ყველამ ვიცით, რაც სურდათ მათ — ზუგდიდში პლაცდარმი შეექმნათ და გამაგრებულიყვნენ, შემდგომ კი ხელისუფლებაში დაბრუნებულიყვნენ. ძალიან კარგია, რომ ეს სურვილი ვერ აისრულეს. ვფიქრობ, ისინი კვლავ შეეცდებიან ესკალაციას. **შლეგი სააკაშვილის არაადეკვატური მოწოდებები და რულოვსის განცხადება — „ხმალს ამოვიღებ და ვიბრძოლებ“ (რომელი ქართლის დედა ეგა მყავს) — ამ ვარაუდის საფუძველს ნამდვილად მაძლევს, ამიტომაც მოვუწოდებ შს მინისტრ გიორგი გახარიას, რომ ძირშივე აღკვეთოს ნებისმიერი მსგავსი მცდელობა.** დესტაბილიზაციის მოსურნენი დაუყოვნებლივ უნდა იქნან მხილებულნი და სათანადოდ დასჯილნი. სხვათა შორის, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შს მინისტრის პირადი რეიტინგი დღითიდღე მატულობს და ამას მხოლოდ მივესალმები, რადგან ამ ხელისუფლებაში თუ ვინმე იმსახურებს პატივისცემას, ეს უდავოდ გიორგი გახარიაა.

დასასრულ, მინდა ერთი რამეც ვთქვა: ცნობილია, რომ ე.წ. მიშისტები სექტანტური და დეგრადირებული აზროვნებით გამოირჩევიან. ამის გამო შეუძლებელია, რომელიმე არჩევნებში ამ სექტამ „ნაცმოძრაობის“ რომელიმე წარმომადგენელ-კანდიდატის გარდა, სხვას მხარი დაუჭიროს. ასე რომ, მათგან სხვა ერთ ხმასაც კი ვერ მიიღებს. ეს გამორიცხულია. ამით იმის თქმა მსურს, რომ ზუგდიდის მერობის ის კანდიდატები, რომლებსაც მერობის შანსი არ ჰქონდათ, მაგრამ შენგელიას სასარგებლოდ არ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები, აშკარად ცდილობდნენ, სანდრა რულოვსის წისქვილზე დაესხათ წყალი და ხმები მხოლოდ გეგა შენგელიასთვის წაერთმიათ. მე საჯაროდ, ღიად მოვუწოდე მათ, რომ მოეხსნათ საკუთარი კანდიდატურები შენგელიას სასარგებლოდ. **ზოგმა მართლაც მოხსნა კანდიდატურა, მაგრამ ეს გააკეთა იმ გადამთიელი ქალის სასარგებლოდ. გამომდინარე აქედან, პირდაპირ ვაცხადებ: ამ პიროვნებებმა, ყველამ უკლებლივ, ჩაიდინეს ღალატი და თავიც სამარადისოდ შეირცხვინეს. ამ ფსევდომოღვაწეებმა საკუთარი თავის ლუსტრირება თავადვე მოახდინეს.**

**«ვერ დავუშვებდით ჩვენს საამაყო და საფიცარ ზუგდიდში საქართველოს სახელით ჰოლანდიაში ფალოსის გამომფენი ნაცოცხისტების გადამთიელი დედოფლის მერად არჩევას»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ავი მჭსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის პირველივე წლებში ლამის სრულად აღიკვეთა ლეკიანობა — ჭირი, რომლის გამოც მე-18 საუკუნეში შეუძლებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოში მშვიდი ცხოვრება. იმავეს თქმა დასავლეთ საქართველოზეც შეიძლება — იმერეთის სამეფოში, გურია-ოდიშის სამთავროებში ლამის რუსეთის მოსვლისთანავე მყისიერად აღიკვეთა ტყვეთა სყიდვა. მოკლედ, ამერ-იმერმა საქართველომ შვებით ამოისუნთქა.**





# «დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის»...

**რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი ტკბილ-მწარე თანაცხოვრების, სამწუხარო აწმყოსა და, აქედან გამომდინარე, ბუნდოვან მომავალზე საკუთარი აზრის მართებულობის გასამყარებლად არაერთხელ მიმიმართავს ილიას, აკაკის, ვაჟას და ა.შ. საქართველოს სხვა გამოჩენილი შვილების ნააზრევის ციტირებისთვის და აი ახლაც, ამ წერილის თავშივე „ამოვეფარე“ საქართველოს უგვირგვინო მეფის ავტორიტეტს, შევურჩიე რა სტატიას სათაურად ფინალური აკორდი წერილისა, რომელიც დიდმა ილიამ 1898 წელს მიართვა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ მეუფე სერაფიმეს...**

წინამდებარე წერილის შექმნის მთავარი მიზეზ-საბაბიც სათაურში მოყვანილი თეზაა, თვალსაზრისი, რომელიც აქსიომად მიაჩნდათ XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე, ისტორიაში თერგდალეულთა სახელით შესულ ზემოთ ხსენებულ მამულიშვილებს, რომელთა აზრსაც უკრიტიკოდ ვიზიარებთ XXI საუკუნეში მოღვაწე, მათი იდეური, საღად მოაზროვნე შვილები. მართლაც — დიდი რუსეთის გარეშე შეუძლებელია საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, პოლიტიკური, მოკლედ, ქართველი ერის ყველა მიმართულებით განვითარება.

სამწუხაროდ, საღად მოაზროვნეთა შორის არ ჩანს თანამედროვე საქართველოს ბევრი ახალგაზრდა, რადგან, დიდებულ წინაპართაგან განსხვავებით, მათ, ხატოვნად თუ ვიტყვით, ბობოქარი თერგის კი არა, მდორე პოტომაკის წყალი აქვთ ნაყლაპი. წყალი, რომელიც თერგივით პატრიოტიზმს კი არა, ნეოლიბერალურ კოსმოპოლიტიზმს აღვივებს ახალგაზრდებში. ეს ჩემი ახირება რომ არ არის და ნამდვილად ასეა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი გასულ 9 მაისს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების დღესასწაულზე. აქედან გამომდინარე ვაცნობიერებ, რომ ძნელია ამ სიბრეში ურაპატრიოტ, რუსოფობ თინეიჯერთა წყევლა-კრულვას შევუშვირო ჭაღარა თავი, მაგრამ რა გაეწყობა?! „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

**„რუსეთი ოკუპანტია?“** — აი, კითხვა, რომელიც „აწუხებდა“ გამარჯვების (ვაკის) პარკში მოსულ თინეიჯერ ჟურნალისტებს და, აქედან გამომდინარე, ქვეკითხვა — **„საბჭოთა კავშირზე ნოსტალგია გაქვთ?“** და სხვა არაადეკვატური შეკითხვები. მართლაც რა შუაშია დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე გამარჯვება და სოხუმ-ცხინვალის ოკუპაცია, მით უმეტეს — სსრკ-ის ნოსტალგია?..

სანამ ამ აბსურდულ კითხვებს ვუპასუხებდე, მცირე ისტორიული ექსკურსი:

რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის პირველივე წლებში ლამის სრულად აღიკვეთა ლეკიანობა — ჭირი, რომლის გამოც მე-18 საუკუნეში შეუძლებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოში მშვიდი ცხოვრება. იმავეს თქმა დასავლეთ საქართველოზეც შეიძლება — იმერეთის სამეფოში, გურია-ოდიშის სამთავროებში ლამის რუსეთის მოსვლისთანავე მყისიერად აღიკვეთა ტყვეთა სყიდვა. მოკლედ, ამერ-იმერმა საქართველომ შვებით ამოისუნთქა.

მიუხედავად ამისა, რუსების წინააღმდეგ არაერთი აჯანყება მოხდა. ამ ფაქტებზე აპელირება ნიშნის მოგებით ხშირად სჩვევიათ ვაიისტორიკოსებსა თუ ვუიპოლიტიკოსებს, რომლებიც რუს-ქართველთა თანაცხოვრებაში მხოლოდ ცუდს ხედავენ და არ სურთ იმის აღიარება, რომ ბევრი აჯანყების მთავარი მიზეზი რუსეთის ხელისუფლებისგან ქართველთა სოციალური ჩაგვრა იყო და, აქედან გამომდინარე, აჯანყებულთა მოთხოვნა საქართველოდან რუსეთის გაძევება კი არა, გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულება გახლდათ.

რუსების გაძევება კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველო კვლავ მარტო დარჩებოდა ისლამურ სცილასა და ქარიბდას შორის. მსგავსი პერსპექტივა არავის ხიბლავდა და ამიტომაც 1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ ქართველმა ერმა რუსულ იარაღთან უაზროდ შელეწვას რუსეთის იმპერიაში მშვიდი ცხოვრება არჩია.

და მართლაც, ქართველმა ერმა შვებით ამისუნთქა — ფიზიკურად გამრავლდა; ერი, რომელსაც რუსთაველის შემდეგ (თუ არ ჩავთვლით **დავით გურამიშვილს**) ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის არაფერი შეუქმნია, პეტერბურგის, კიევის, ოდესის უნივერსიტეტებში მოწინავე განათლებას ეზიარა. **ნიკოლოზ ბარათაშვილის** გენიამ დაუდო სათავე XIX საუკუნის დიდ ქართულ მწერლობას. აღარაფერს ვიტყვი პირველ ქართულ გაზეთზე, თეატრსა თუ ოპერაზე... 1850 წელს, ანუ რუსეთის მიერ საქართველოს „ოკუპაციიდან“, სულ რაღაც, 67 წლის შემდეგ ნოვგოროდის საერთაშორისო „იარმარკაზე“ თბილისელმა ვაჭრებმა 1 195 019 ოქროს მანეთის ღირებულების საქონელი გაიტანეს (აკაკი და პაატა სურგულაძეების 1783-1990 წლების საქართველოს ისტორია, გვ.51). რამდენი მილიონი დოლარია მაშინდელი „მილიონსჩემტო“ ოქროს მანეთი დღეს, ამის დაანგარიშება საქართველოში ჩანერგილ ლიბერასტ-სოროსისტ აგენტებს არ გაუჭირდებათ. სწორედ ამიტომ **დიდმა ილიამ ისტორიის სასწორზე აწონა იმპერიაში საქართველოს წილხვედრი სიკეთეები და ბოროტებანი და, რადგან „ბოროტსა სძლია კეთილმან“, 1899 წელს დაწერა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი „ასის წლის წინათ“, რომელიც თბილისში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის (1799 წლის 26 ნოემბერი) საიუბილეო თარიღს მიუძღვნა. დიახ, საიუბილეო, რადგან კრემლის მაშინდელმა „აგენტმა“, პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს „ოკუპაციის“ 100 წლისთავი ზეიმით აღნიშნა.**

**დიდმა ილიამ ისტორიის სასწორზე აწონა იმპერიაში საქართველოს წილხვედრი სიკეთეები და ბოროტებანი და, რადგან «ბოროტსა სძლია კეთილმან», 1899 წელს დაწერა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი «ასის წლის წინათ», რომელიც თბილისში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის (1799 წლის 26 ნოემბერი) საიუბილეო თარიღს მიუძღვნა. დიახ, საიუბილეო, რადგან კრემლის მაშინდელმა «აგენტმა», პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს «ოკუპაციის» 100 წლისთავი ზეიმით აღნიშნა**

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წარსულში არაერთხელ მომიყვანია ციტატები ილიას ამ და სხვა წერილებიდან და ამიტომ აღარ ვიზამ ამ საქმეს, ჩვენი ახალგაზრდობის რუსოფობულ-ლიბერასტულ ნაწილს კი, თუ წიგნთან მწყრალად არიან, ვთავაზობ, „დაგუგლონ“ და ასე გაეცნონ ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვა მამულიშვილთა პუბლიცისტიკას რუსეთზე...

**ზემოთ არაერთხელ ჩავსვი ბრჭყალებში სიტყვები: ოკუპაცია, ოკუპანტი და არა იმიტომ, რომ რუსეთის მიერ სოხუმ-ცხინვალის ოკუპაციას ვერ ვხედავ, არამედ იმიტომ, რომ, როდესაც რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების 22% ოკუპაციაზე (რაც მჯერა, რომ დროებითია) ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ XIX საუკუნეში რუსეთის მიერ ოსმალეთ-სპარსეთთან წარმოებული ომების შედეგად საქართველოს დაუბრუნდა სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, საინგილო... რომანოვების რუსეთმა არა მხოლოდ ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა ქართველი ერი, არამედ, რაც უმთავრესია, ისლამიზაციისგან გვიხსნა.**

ყოველივე ზემოთ თქმულის განმეორება, მცირე პერიფრაზით, რომანოვების იმპერიის სამართალმემკვიდრე ბოლშევიკური რუსეთის მიმართაც შეიძლება — 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის კრახის შემდეგ, XIX საუკუნის წინაპართა მსგავსად, წითელი რუსეთის ტანკებზე უაზრო შესკდომაზე ვთქვით უარი და „ჯილდოდ“ მივიღეთ მსოფლიო დონის მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. რაც მთავარია, სსრკ-ის რესპუბლიკებს შორის საბჭოთა საქართველო ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდა. ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ შობადობა ორჯერ აღემატებოდა სიკვდილიანობას...

საბჭოთა კავშირში საქართველო ოთხჯერ მეტს მოიხმარდა, ვიდრე აწარმოებდა (დღევანდელი ამერიკასავით); 1990 წელს საქართველოს მოქალაქის წლიური მოხმარება 42 ათას დოლარს შეადგენდა; ეს მაჩვენებელი 4-ჯერ მეტი იყო საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე და 11-ჯერ მეტია ამჟამინდელი საქართველოს მოქალაქის მაჩვენებელზე; არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში მცხოვრებთ არ ჰყავდათ იმდენი მანქანა, რამდენიც საქართველოში. ეს სტატისტიკა პასუხია აბეზარი თინეიჯერი ჟურნალისტის კითხვაზე: საბჭოთა კავშირი გენატრებათ? — მენატრება და მერე როგორ! ახლა არ დამიწყოთ, მაშინ რუსეთის მონები ვიყავით და დღეს დამოუკიდებლები ვართო!

იმხანად რუსეთის კოლონია ვიყავით, ახლა აშშ-ის ვართ. ოღონდ მაშინ, უკაცრავად და, კუჭი სავსე გვქონდა. რაც შეეხება დამოუკიდებლობას, თუ მაშინ ცეკას მეორე მდივანი იყო საქართველოში „ცარსკი ნამესტნიკი“, დღეს აშშ-ის ელჩია ამერიკის „მეფისნაცვალი“; რუსი ცეკას მდივანი თავს იმის მეათედის უფლებასაც ვერ მისცემდა, რამდენსაც აშშ-ის ელჩები გვიბედავენ (საზოგადოებას შევახსენებ, რომ სწორედ აშშ-ის ელჩმა **ჯონ ბასმა** აუნთო მწვანე შუქი 26 მაისის სისხლიან სასაკლაოს); და კიდევ, თუ დღევანდელ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 22% დროებით აქვს ოკუპირებული, დანარჩენი 78%-ის ოკუპანტი ლიბერასტული დასავლეთია. ქართველი ახალგაზრდების სულიერების დეფიციტის ბრალია ის ამაზრზენი სურათი, რომელიც 9 მაისს ვიხილეთ ვაკის პარკში... ათიოდე ახალგაზრდა ნაძირალამ ობსტრუქცია მოუწყო უცნობი ჯარისკაცის საფლავისკენ მიმავალ მოხუც ომის ვეტერანებს, რითაც არა მხოლოდ სამამულო ომის მონაწილენი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი შეურაცხყვეს, არამედ, საზოგადოდ, იქ დამსწრე ქართველი საზოგადოება, რომელიც უილაჯოდ შეჰყურებდა გათავხედებულ „პატრიოტებს“ — ნუთუ ხელისუფლებას არ შეეძლო, რომ ისინი ახლოს არ მიეშვათ? არ შეეძლო, რადგან, ღრიალ-ჭყვიტინი ხომ ე.წ. გამოხატვის თავისუფლებაა და რას იტყოდა დასავლეთი, პოლიციას მათი ხმაური რომ აღეკვეთა?

მეტიც — 18-25 ივნისს ლგბტ სექტას დაგეგმილი აქვს პედარასტული კვირეულის ჩატარება, რომელშიც უცხო ქვეყნის „საპატიო პედარასტებიც“ მიიღებენ მონაწილეობას. კვირეული გეიაღლუმით უნდა დასრულდეს. ამ სატანისტური ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიები კი ხელისუფლებისგან უკვე მიიღო ლგბტ თემმა.

ხელისუფლება, ერთი მხრივ, ღვთისმშობლის წილხვედრობის დღესასწაულს აფუძნებს და, მეორე მხრივ, ჰომოსექსუალებს გეიაღლუმის ჩატარების გარანტიას აძლევს. რა ჰქვია ამას, თუ არა ამაზრზენი ფარისევლობა? ცეცხლს ხომ არ ეთამაშება „ქართული ოცნება“? იმის გათვალისწინებით, რა ზღვა ხალხი გამოვიდა ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს, როგორც ჩანს, ასეა. მინდა, ხელისუფლებაში მოკალათებულებმა იცოდნენ:

გეიაღლუმის გამართვა ის წითელი ხაზია, რომლის გადაკვეთას, ღვთის ნებითა და საქართველოს დედაეკლესიის თანადგომით, ქართველი ხალხი არ დაუშვებს!

ამ რწმენას მიძლიერებს საქართველოს პატრიარქის 17 მაისის ქადაგებაც, რომლიდანაც ერთ ციტატას მოვიყვან:

„ოჯახი ბედნიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კანონიერი ოჯახია. კანონიერი ოჯახი შედგება მამაკაცისა და დედაკაცისგან“.

**დავით მხეიძე**

**P.S. „საქართველო, ისევე, როგორც ჩვენ, ქრისტიანი სახელმწიფოა და არ დაუშვებს თავის ქვეყანაში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას. ეს ყველაფერი სატანის რჯულში გადასვლაა და საკუთარი რელიგიის უპატივცემულობა. არ დავუშვებ, რომ რუსეთში მსგავსი უმსგავსობა მოხდეს. იმედია, ჩვენი მეზობელი სხვა ქვეყნებიც, მათ შორის საქართველოც, იმავეს მოიმოქმედებს“. როგორ ავსებს ერთმანეთს ჩვენი პატრიარქისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებები. ეს კიდევ ერთი არგუმენტია წინამდებარე წერილის სათაურის სასარგებლოდ. თუ რომანოვების რუსეთმა ქართველი ერი იხსნა ისლამიზაციისგან, იქნებ პუტინის რუსეთმა პედარასტიზაციისგან იხსნას საქართველო.**

**ამ „იქნებ“-ის რეალობად გადაქცევა ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, ისევე, როგორც რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეობა საქართველოსთან, რაც ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი აღმავლობის გარანტიაა და ოდესმე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი შანსი.**

## საერთაშორისო სკანდალი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაკომპრომეტებელი მასალების უტყუარობა „დაადასტურა“ თვით უკრაინის ანტიკორუფციული ეროვნული ბიუროს დირექტორმა არტემ სიტნიკმა და თავის საიტზეც გაიმეორა. ამით პოროშენკისტ-ჰილარისტებმა დაიჯერეს, რომ საქმე გადაწყვეტილია და ტრამპი განადგურებულია. აშშ-ში უკრაინის ელჩი ვალერი ჩალიი ჰილარი კლინტონის წარმატებაში ისე იყო დარწმუნებული, რომ არჩევნების ღამეს შტაბში ეახლა, რათა პირველს მიელოცა ბრწყინვალე გამარჯვება, მაგრამ ეგზიტპოლების პირველი შედეგების გამოცხადებისთანავე ჩუმად გაიპარა. ამჟამად მას აშშ-ის გენერალური პროკურორი ბარი ეძებს შეკითხვების დასასმელად.**

**უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ წლეულს, მარტში, გახურებული საპრეზიდენტო არჩევნებისას თავის ქვეშევრდომ სპეცპროკურორ კულიკის მეშვეობით გაასაჯაროვა სისხლის სამართლის საქმეები პოროშენკოს გარემოცვაზე.**

# პოროშენკოს თავზე ცა მოიქუფრა: რატომ გაიწვია ტრამპმა ელჩი უკრაინიდან



**შემდეგი, ვინც შეიძლება გაიზიაროს იოვანოვიჩის ბედი, არის აშშ-ის სპეცწარმომადგენილი უკრაინაში — კურტ ვოლკერი, რომელიც ამ თანამდებობაზე გადაყენებულმა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა დანიშნა. მასაც ტრამპის კაცი შეცვლის. ამით იწყება იმ სისტემის დემონტაჟი, რომელიც ცალკე აღებული შორეული უკრაინის კოლონიაში იყო აგებული ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამერიკელი დემოკრატების მიერ. დონალდ ტრამპს კი ხელ-ფეხი აქვს გახსნილი მას შემდეგ, რაც არ დაუდასტურდა კრემლთან კავშირის ბრალდებები**

### დაპატიმრებენ ყველას: ზოგს, როგორც მანაფორტს, ადრე; ზოგს – მოგვიანებით, როგორც პოროშენკოს

უკრაინის მთავარი პროკურატურის საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე **კონსტანტინე კულიკმა** ფულის გათეთრებისა და იანუკოვიჩის მილიარდების ლეგალიზაციის ბრალდება წაუყენა კონდიტერის უახლოეს თანამებრძოლებს – მისი ადმინისტრაციის ყოფილ ხელმძღვანელ **ბორის ლოჟკინს**, უკრაინის ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტ **ვალერია გონტარევასა** და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქმედ ხელმძღვანელ **ალექსეი ფილატოვს** (იგი შეთავსებით, არაოფიციალურად კურატორობდა ქვეყნის სასამართლო ვერტიკალს). საქმეში ფიგურანტებად გადიან, აგრეთვე, ინვესტკომპანია ICU-ს თანამფლობელები: **კონსტანტინე სტეცენკო** და **მაკარ პასენიუკი.** ICU არის საინვესტიციო კომპანია, რომელიც მართავდა პოროშენკოს აქტივებს. სწორედ აქ მოღვაწეობდა ვალერია გონტარევა, სანამ უკრაინის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელად დანიშნავდნენ. მათგან საქმე თვით გრანდამდე მიდიოდა და, მიაკითხავენ მას თუ არა, მხოლოდ დროის საკითხია. საბოლოო ჯამში, ეჭვის ქვეშ მყოფთა რაოდენობა 98-ია, მათ შორის 12 არის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე, ნაცბანკის მაღალი თანამდებობის პირი, საოლქო ადმინისტრაციების ხელმძღვანელი კი — 6.

სპეცპროკურორ კულიკის მიერ გახსნილი საქმეები მხოლოდ ყლორტებია, ნაყოფი საქმეში მისი შეფის, **იური ლუცენკოს,** ჩართვის შემდეგ დამწიფდა. საკუთარი თავის გადასარჩენად მან სხვების ჩაძირვა დაიწყო.

გენპროკურორის მიერ დაწყებული მხილების შედეგად გაირკვა, რომ უკრაინაში აშშ-ის საელჩოს წიაღში დაკარგულია 4 მლნ დოლარი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინაში გადარიცხა კორუფციასთან ბრძოლის ხელშესაწყობად. ამას დაემატა ხელშეუხებელთა სიები, რომლებიც გენპროკურორ ლუცენკოს სიტყვიერად გაუმჟღავნა ელჩმა **იოვანოვიჩმა.** და, რაც მთავარია, გამოაშკარავდა, რომ **უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირები ჩართული იყვნენ ამერიკის პრეზიდენტის 2016 წლის არჩევნებში კანდიდატ ჰილარი კლინტონის მხარდასაჭერად. მაშინ მათ ტრამპის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, პოლ მანაფორტის, მაკომპრომენტებელი მასალები მიაწოდეს კონკურენტის შტაბს.** შედეგად მანაფორტს პატიმრობა მიუსაჯეს. ეს გარემოება კი გულგრილს ვერ დატოვებდა იმ ადამიანს, რომელიც ამჟამად თეთრ სახლში არის „ჩაწერილი“. ამის შემდგომ მოღალატის ბედიც გადაწყდა, საქმეში ჩაერთო დიდი მოთამაშე და იური ვიტალიევიჩს ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, ვითარცა მნიშვნელოვან მოწმეს, შტატებში კი „უკრაინოგეიტმა“ მოიკრიბა ძალა. ტრამპის თხოვნით, საქმეში ჩაერთო აშშ-ის გენერალური პროკურორი **უილიამ ბარი.** დემოკრატიული ლეპროზერიუმის თავზე ცა მოიღრუბლა.

ორი წლის განმავლობაში რუსული კვალის ძებნას ტვინი უშედეგოდ დაანთხიეს სპეცპროკურორმა **მიულერმა** და მისმა გუნდმა — ფედერალური ბიუჯეტის 20 მილიონი დოლარი დაახარჯეს და მაინც ვერაფერი აღმოაჩინეს, უკრაინულ კვალს კი ძებნაც არ დასჭირდა. აქ უკვე თავი გამოიჩინა იური ლუცენკომ, რომელმაც დოკუმენტურად დაადასტურა მანაფორტის წინააღმდეგ მიმართული მაკომპრომეტებელი მასალების გახმაურება უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის, **არტიომ სიტნიკის,** მიერ. ამ უკანასკნელმა 2016 წლის ამერიკული საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გამოაქვეყნა რეგიონების პარტიის „შავი ბუღალტერია“. მასში ფიგურირებდა ტრამპის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ პოლ მანაფორტის ხელწერილები ათობით მილიონი დოლარის ქეშად მიღებაზე.

ლუცენკომ უკრაინის სხვა უმაღლესი თანამდებობის მოხელეების მამხილებელი მასალებიც გამოამზეურა, მათ შორისაა ვაშინგტონში ნეზალეჟნაიას ელჩი **ვალერი ჩალიიც.**

2016 წლის აგვისტოში უკრაინის ანტიკორუფციული ეროვნული ბიუროს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა მანაფორტის სკანირებული ხელწერილები, რომლებითაც ის 12,7 მილიონი დოლარის მიღებას ადასტურებდა. ეს იყო „შავი ბუღალტერიის“ 19-გვერდიანი ქსეროასლები, რომლებშიც მანაფორტი 22-ჯერ იყო ნახსენები. სწორედ მათ დაეყრდნო ვირჯინიის შტატის ფედერალური სასამართლო, როცა 3 წლის შემდეგ ფიგურანტს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ეს ყველაფერი რომ პოროშენკოს ხელისუფლების თავხედური და დაუფარავი ჩარევა იყო ამერიკულ არჩევნებში, ეჭვს არ ბადებდა.

მანაფორტი ციხეშია (თავის 70 წლის იუბილეს გისოსებს მიღმა შეხვდა). ამას ტრამპი არავის შეარჩენდა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ ციხიდან გამოიხსნიდა თანამებრძოლს და შურს იძიებდა ყველაზე, ვინც ამ საქმეში იყო გარეული. და ამ დროს იური ლუცენკო თავისი მამხილებელი მასალებით ზუსტად ადგილზე აღმოჩნდა.

### დიპლომატური სკანდალი და რა შუაშია ჩალუპა?

ამ საქმის კიდევ ერთ, დაფარულ მხარედ მოგვევლინა უკრაინის ელჩი ვაშინგტონში — **ვალერი ჩალიი.** ეს მოღვაწე იმდენად იყო დარწმუნებული კლინტონის გამარჯვებაში, რომ თავის ოფისში გახსნა ანტიტრამპული შტაბი, რომელსაც კურატორობდა აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის კონსულტანტი, უკრაინული წარმოშობის ამერიკელი ქალბატონი **ალექსანდრა ჩალუპა.** ჩალიის, ალბათ, ამის გაკეთება ურჩია მისმა შეფმა, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა **კლიმკინმა,** რომელმაც, უკრაინელ მოხელეთა საძმოსთან ერთად კლინტონის მხარეს, ტრამპის წინააღმდეგ ბრძოლა ამჯობინა „ფეისბუკსა“ და „ტვიტერზე“. მართალია, ბოლოს იძულებული შეიქნენ, გაექროთ თავიანთი ცეცხლოვანი ჩანაწერები, მაგრამ, როგორც ცნობილია, ხელნაწერები არ იწვის, „გუგლს“ ყველაფერი ახსოვს, იური ლუცენკოსაც! გენპროკურორის თქმით, ქალბატონმა ჩალუპამ გამოაცხადა ტენდერი უკრაინელი ჟურნალისტებისთვის ტრამპის საწინააღმდეგო მაკომპრომეტებელი მასალების მოძიებისთვის, რომელშიც გაიმარჯვა დემოკრატების კიდევ ერთმა გამოზრდილმა, სოროსის ძუძუნაწოვმა, პოროშენკოს ფრაქციის წევრმა **სერგეი ლეშჩენკომ.**

მან გამოაქვეყნა ამონაწერები რეგიონების პარტიის „შავი სალაროს“ ჟურნალიდან სხვადასხვა დონის ასობით ამერიკელი თანამდებობის პირისთვის „ჰონორარის“ გაცემის შესახებ. ამ პუბლიკაციაში უბედური მანაფორტის გვარიც ფიგურირებდა.

**ამ მაკომპრომეტებელი მასალების უტყუარობა „დაადასტურა“ თვით უკრაინის ანტიკორუფციული ეროვნული ბიუროს დირექტორმა არტემ სიტნიკმა და თავის საიტზეც გაიმეორა. ამით პოროშენკისტ-ჰილარისტებმა დაიჯერეს, რომ საქმე გადაწყვეტილია და ტრამპი განადგურებულია. აშშ-ში უკრაინის ელჩი ვალერი ჩალიი ჰილარი კლინტონის წარმატებაში ისე იყო დარწმუნებული, რომ არჩევნების ღამეს შტაბში ეახლა, რათა პირველს მიელოცა ბრწყინვალე გამარჯვება ქალბატონისთვის, მაგრამ ეგზიტპოლების პირველი შედეგების გამოცხადებისთანავე ჩუმად გაიპარა. ამჟამად მას აშშ-ის გენერალური პროკურორი ბარი ეძებს შეკითხვების დასასმელად.**

### გერონტოფილთა თამაშები

დონალდ ტრამპის ინტერესი უკრაინის გენპროკურორის მიმართ მხოლოდ მანაფორტის საქმით არ შემოფარგლულა. „უკრაინოგეიტი“ თანდათან იკრებს ძალას და ფინიშის სწორზე 2020 წლისთვის გავა. ამ წელს აშშ-ის მორიგი არჩევნებია დანიშნული. აი, სწორედ ამ არჩევნების გამო გაუჩნდა დაუმარცხებელ დონალდ ტრამპს პირადი ინტერესი იური ლუცენკოსადმი. დემოკრატების მხრიდან ტრამპისთვის საარჩევნო ხელთათმანის გადაგდებას აპირებს პოლიტიკური ოლიმპის კიდევ ერთი ხანდაზმული ბინადარი, 76 წლის **ჯო ბაიდენი,** თუ, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს პრაიმერიზზე. იქ მას კონკურენტი არ ეყოლება. ამიტომაც ამოქქა იგი კლინტონმა მტვრიანი სკივრიდან. დაკნინდა ხალხი დემოკრატიულ პარტიაში, არჩევნებში ტრამპის წინააღმდეგ ველარავინ გამოჰყავთ.

**ბაიდენის ასაფეთქებლად ემზადება დონალდ უძლეველი იური ვიტალიევიჩის დახმარებით, რომელიც დროზე გამოჩნდა თავისი ქაღალდებით ხელში. იმ ქაღალდებში კი შავით თეთრზე წერია, რომ ეკოლოგიის ექსმინისტრ ნიკოლაი ზლოჩევსკის საქმიანობის გამოძიების პროცესში (რომელიც კორუფციასა და თავისი ფირმის — BURISMA HOLDINGS LIMITED-ის მეშვეობით იანუკოვიჩის ფულის გათეთრებაში იყო ეჭვმიტანილი) გაირკვა, რომ აღნიშნული ფირმის დირექტორთა საბჭოში შედიოდნენ აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, ვაჟი — ჰანტერ ბაიდენი; პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის, მრჩეველი — დევონ არჩერი და სხვები.** გენპროკურატურამ დაადგინა ზლოჩევსკის ფირმის ანგარიშებიდან ფულის გადარიცხვის ფაქტი ჰანტერ ბაიდენის კომპანია Rosemont Seneca Partners LLC-ის ანგარიშზე. 2014 წლის გაზაფხულიდან 2015 წლის შემოდგომამდე გადარიცხულია 3,5 მილიონი დოლარი, როგორც ჰონორარი, აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის ვაჟისთვის. ამ პერიოდში მამამისი უკრაინის კურატორი იყო და პასუხს აგებდა იქ არსებული რეჟიმის ეკონომიკურ მხარდაჭერაზეც. **აშკარაა ინტერესების კონფლიქტი: ჯო ბაიდენი პასუხისმგებელი იყო კიევის დაფინანსებაზე, მაშინ, როცა მისი ვაჟი ხელფასს იღებდა გაზის უდიდეს კერძო კომპანიაში, რომელიც აფილირებულად დაკავშირებული იყო ხელისუფლებასთან და კორუფციულ გარიგებებთან. სწორედ უფროსმა ბაიდენმა გამოიყენა თავისი გავლენა, რათა ჩაეფარცხა მის წინააღმდეგ უკრაინის ყოფილი გენპროკურორის, შოკინის, მიერ აღძრული საქმე, დააშანტაჟა კიევი იმით, რომ ჩაშლიდა მორიგი ტრანშის გამოყოფას.** მან ეს საჯაროდაც აღიარა 2018 წლის 23 იანვარს, როცა სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს სხდომაზე: „მე შევხედე მათ და ვუთხარი: ექვსი საათის შემდეგ მივემგზავრები. თუ პროკურორს არ მოხსნით, ფულს არ მიიღებთ! და, ეშმაკმა დალახვროს, იგი გაათავისუფლეს! მის ადგილზე დასვეს ადამიანი, რომელსაც იმ მომენტში შეიძლებოდა დაყრდნობოდი“.

სწორედ ამ ადამიანმა, რომელსაც იური ლუცენკო ერქვა, ჩაფარცხა აღნიშნული საქმე და მანვე კვლავ ▶

საერთაშორისო სკანდალი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის მიმავალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირები ჩართული იყვნენ ამერიკის პრეზიდენტის 2016 წლის არჩევნებში კანდიდატ ჰილარი კლინტონის მხარდასაჭერად. მაშინ მათ ტრამპის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ პოლ მანაფორტის მაკომპრომენტებელი მასალები მიაწოდეს კონკურენტის შტაბს. შედეგად მანაფორტს პატიმრობა მიუსაჯეს. ეს გარემოება კი გულგრილს ვერ დატოვებდა იმ ადამიანს, რომელიც ამჟამად თეთრ სახლში არის „ჩაწერილი“.**

**ბაიდენის ასაფეთქებლად ემზადება დონალდ უძლეველი იური ვიტალიევიჩის დახმარებით, რომელიც დროზე გამოჩნდა თავისი ქაღალდებით ხელში. იმ ქაღალდებში კი შავით თეთრზე წერია, რომ ეკოლოგიის ექსმინისტრ ნიკოლაი ზლოჩევსკის საქმიანობის გამოძიების პროცესში (რომელიც კორუფციასა და თავისი ფირმის – Burisma Holdings Limited-ის მეშვეობით იანუკოვიჩის ფულის გათეთრებაში იყო ეჭვმიტანილი) გაირკვა, რომ აღნიშნული ფირმის დირექტორთა საბჭოში შედიოდნენ აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, ვაჟი – ჰანტერ ბაიდენი, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის, მრჩეველი – დევონ არჩერი და სხვ.**

◀ აღძრა, როცა გართულდა ვითარება და როცა უკანალი აეწვა. სწორედ მან მიმართა ტრამპს და დახმარება შესთავაზა. ტრამპმაც კეთილი განწყობით მიიღო.

### რატომ გაათავისუფლეს მარი იოვანოვიჩი

იური ლუცენკოს დონალდ ტრამპისკენ მიმავალ გზაზე მოულოდნელი დაბრკოლება გადაეღობა. ამ წინაღობას **მარი იოვანოვიჩი** ერქვა. უკრაინაში ელჩად იგი ჯერ კიდევ **ბარაკ ობამას** ადმინისტრაციის პერიოდში მიავლინეს და ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგაც ერთგულად ემსახურებოდა თავისი პოლიტიკური ბოსის ინტერესებს. ზემოთ დასახელებული სპეცპროკურორი კონსტანტინ კულიკი ჩიოდა, რომ იგი და მისი უწყების სხვა მოხელეები შარშანდელიდან ამაოდ ცდილობდნენ, მიეღოთ ვიზები კიევში ამერიკის საელჩოში, რათა ვაშინგტონში ჩაეტანათ მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებანი 2016 წლის არჩევნებში ჩარევისა და სისხლის სამართლის წარმოებაში დაბრკოლებების შექმნის შესახებ. ელჩი მარი იოვანოვიჩი კი ყოველნაირად აბრკოლებდა ვიზების გაცემის პროცესს: „მას პირდაპირი უარი არ უთქვამს, მაგრამ ვიზები არ მოგვცა“, – განაცხადა კულიკმა ამერიკული გამოცემის The Hill-ის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში.

იური ვიტალიევიჩი იძულებული შეიქნა, საკუთარი ფულით შეეძინა თვითმფრინავის ბილეთები და ცოლთან ერთად გამგზავრებულიყო მილანში ვითომდა „საშოპინგოდ“, იქიდან კი კვალის ასარევად გადაფრინდა კიდევ ერთ ევროპულ ქვეყანაში, სადაც შეძლო დოკუმენტების ორიგინალების გადაცემა დონალდ ტრამპის მეკავშირე ოფიცრებისთვის. **დონალდმა წაიკითხა ეს მასალები, რომლებმაც ისე შეძრა, რომ ელვისებური რეაქცია გამოიწვია – მარი იოვანოვიჩი დაუყოვნებლივ გამოიძახეს ვაშინგტონში კონსულტაციისთვის და დაატოვებინეს ელჩის თანამდებობა. ტრამპის გაცოფების დონე უკეთ რომ გავიგოთ, გეტყვით, რომ ელჩის უფლებამოსილების ვადა იწურებოდა 18 ივნისს. რა ამოიკითხა ტრამპმა იმ დოკუმენტებში ისეთი, რომ ოცდაათი დარჩენილი დღეც ვერ მოითმინა იოვანოვიჩი თავისი ქვეყნის ელჩად და უცებ მოიცილა?** 11 მაისს იგი მაინც დაბრუნდა კიევში საქმეების გადასაცემად. 21 მაისს კი მისი კვალი უკრაინის დედაქალაქში საბოლოოდ გაქრა.



შემდეგი, ვინც შეიძლება გაიზიაროს იოვანოვიჩის ბედი, არის აშშ-ის სპეცწარმომადგენელი უკრაინაში – კურტ უოლკერი, რომელიც ამ თანამდებობაზე გადაყენებულმა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა დანიშნა. მასაც ტრამპის კაცი შეცვლის. ამით იწყება იმ სისტემის დემონტაჟი, რომელიც ცალკე აღებული შორეული უკრაინის კოლონიაში მოქმედებდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

**დონალდ ტრამპს კი ხელფეხი გაეხსნა მას შემდეგ, რაც არ დაუდასტურდა კრემლთან კავშირის ბრალდებები.**

### დასკვნები

აქამდე ტრამპი ობამას პოლიტიკის ფარვატერს მიჰყვებოდა, რომელიც უკრაინაში წინამორბედისგან მემკვიდრეობით მიიღო. არადა, პირადი ინტერესი ამ პოლიტიკის მიმართ ტრამპს არასოდეს ჰქონია. დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს თუ მოზამბიკის მიმართ, ზუსტად არც იცოდა სად არის – აფრიკასა თუ აზიაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში უკრაინა მისი გაღიზიანების წყარო იყო.

უკრაინაში ამერიკული პოლიტიკა მის დროს დემოკრატებისა და ჯორჯ სოროსის სტრუქტურების მიერ კონტროლდებოდა და არა ტრამპის ხალხით, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. ტრამპი ბოლოს და ბოლოს დაინტერესდა უკრაინით. შედეგი უკვე მატერიალიზებულია რეალურ გადაწყვეტილებებში – იოვანოვიჩი დროზე ადრე გაწვეულია ვაშინგტონში, პომპეო კი ბერლინის ნაცვლად ჩავიდა სოჭში. სამკუთხედში – აშშ-რუსეთი-უკრაინა ჩვენ თვალწინ ხორციელდება გადატვირთვა, რეალური გადატვირთვა.

„მაიდანს დარწმუნებით შეიძლება ვუწოდოთ აბსოლუტური ბოროტება, რადგან სწორედ მან დაგვაკარგვინა დონბასი, ყირიმი და უკრაინის 13 მილიონი მოქალაქე, გამოიწვია ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი. ეგრეთ წოდებული ღირსების რევოლუცია სამოქალაქო კონფლიქტის მიზეზი გახდა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, დღემდე რომ ანადგურებს უკრაინას“, – ახლახან განუცხადა პოროშენკოს ხელისუფლების მიერ შერისხულმა ოლიგარქმა კოლომოისკიმ ჟურნალისტ დენის ბიგუსს. სულ ცოტა ხნის წინათ ამ სიტყვების მთქმელს ციხეში ჩასვამდნენ.

უკრაინის ახალი პრეზიდენტის, ზელენსკის, ინაუგურაცია და მისი მომავალი შეხვედრა ტრამპთან ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

**„მაიდანს დარწმუნებით შეიძლება ვუწოდოთ აბსოლუტური ბოროტება, რადგან სწორედ მან დაგვაკარგვინა დონბასი, ყირიმი და უკრაინის 13 მილიონი მოქალაქე, გამოიწვია ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი. ეგრეთ წოდებული ღირსების რევოლუცია სამოქალაქო კონფლიქტის მიზეზი გახდა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, დღემდე რომ ანადგურებს უკრაინას“, – ახლახან განუცხადა პოროშენკოს ხელისუფლების მიერ შერისხულმა ოლიგარქმა კოლომოისკიმ ჟურნალისტ დენის ბიგუსს. ცოტა ხნის წინათ ამ სიტყვების მთქმელს ციხეში ჩასვამდნენ**



## ირანის პრეზიდენტი აშშ-თან ნებისმიერი სახის მოლაპარაკებებზე უარს აცხადებს

**ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი აშშ-თან ნებისმიერი სახის მოლაპარაკებებზე უარს აცხადებს და ამბობს, რომ დღეს არსებული ვითარება არ არის ისეთი, რომ მოლაპარაკებები გაიმართოს. „ჩვენი არჩევანი მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევაა“, – აღნიშნა რუჰანიმ.**

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 20 მაისს განაცხადა, რომ ირანი შეეჯახება „უდიდეს ძალას“, თუ ის ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯებს გადადგამს. მან ასევე აღნიშნა, რომ აქვს თეირანთან მოლაპარაკების სურვილი, როდესაც ირანი ამისთვის მზად იქნება.

თეთრი სახლის ლიდერმა ირანის ბირთვულ პროგრამაზე 2015 წელს მიღწეული შეთანხმებიდან გასვლა შარშან გადაწყვიტა. მან ასევე განაახლა თეირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები, რომელთა გამოც ირანს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შეექმნა.



## ვენესუელაში შეიძლება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს

**ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წინადადებით გამოვიდა. „ბი-ბი-სი“-ს ცნობით, მას არჩევნების ზუსტი თარიღი ჯერ არ დაუსახელებია.**

ვენესუელის კონგრესის არჩევნები 2020 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, პრეზიდენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო. ამჟამად ეროვნულ ასამბლეას ოპოზიციის ლიდერი ხუან გუაიდო ხელმძღვანელობს, რომელიც თავს დროებით პრეზიდენტად მიიჩნევს. იგი ქვეყნის პრეზიდენტად აშშ-მა და დასავლური ქვეყნების უმრავლესობამ აღიარა. უკვე რამდენიმე თვეა, ხუან გუაიდო და მოსახლეობის დიდი ნაწილი პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს გადადგომას მოითხოვენ, თუმცა მადურო უარს აცხადებს. მას რუსეთის, კუბისა და ჩინეთის მხარდაჭერა აქვს.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინის მიერ ოკეანეების ფსკერზე ჩატანილი და მთების გულში დამალული, აგრეთვე, კოსმოსში ატანილი იარაღის პატრონი პუტინი, რომელსაც, ამასთანავე, ჰყავს თერმობირთვულ იარაღზე ძლიერი, სტალინური იდეოლოგიით აღზრდილი მებრძოლების მემკვიდრე თაობა, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერანაირი ძალა, პირობას დებს, რომ ჩააქრობს დასავლეთის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აგიზგიზებულ ხანძარს.**

# სტალინი და 9 მაისი

დასასრული. დასაწყისი იხ. №17, 2019 წ.

**კონტრრევოლუციონერებთან ახლომდგომი წრეები ყველანაირად აზვიადებენ ამ ხმებს და ხაზგასმით აღნიშნავენ „მათ განსაკუთრებულ“ მნიშვნელობას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბევრმა ამხანაგმა ლამის დაიჯეროს ზღაპარი კიევის რადასთან მოლაპარაკების შესახებ; ამასთანავე, ბევრმა მათგანმა უკვე მომმართა წერილობითი შეკითხვით, თუ რამდენად დასაჯერებელია ეს.**

გასაგონად ვაცხადებ, რომ:

**1.** სახალხო კომისართა საბჭო კიევის რადასთან არანაირ მოლაპარაკებას არ აწარმოებს და არც აპირებს აწარმოოს;

**2. კიევის** რადასთან, რომელიც საბოლოოდ დაუკავშირდა კალედინს და რუსეთის ხალხების ზურგს უკან მოღალატურ მოლაპარაკებას აწარმოებს ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტებთან, სახალხო კომისართა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია, ასეთ რადასთან აწარმოოს მხოლოდ ულმობელი ბრძოლა უკრაინის საბჭოების სრულ გამარჯვებამდე;

**3.** მშვიდობა უკრაინაში შეიძლება დამყარდეს, თუ მოხდება კიევის ბურჟუაზიული რადის სრული ლიკვიდაცია მხოლოდ იმის შედეგად, თუ იგი შეიცვლება ახლი რადით — საბჭოების სოციალისტური რადით, რომლის ბირთვი უკვე შეიქმნა ხარკოვში“.

პარტიულ კონფერენციაზე სტალინი, როცა მიმოიხილავდა შექმნილ მდგომარეობას, ამბობდა: „1916 წელს, ე.ი. რევოლუციამდე, ჩვენ თვეში მოვიპოვებდით 140-150 მლნ ფუთ **ქვანახშირს** და სხვა რაიონებში გაგვქონდა, სულ ცოტა, 120 მლნ ფუთი ქვანახშირი. ახლა ვიღებთ არა უმეტეს 18 მილიონ ფუთ ქვანახშირს და გაგვაქვს არა უმეტეს 4-5 მილიონი ფუთისა. **ნავთობის** მოპოვება 600 მლნ ფუთიდან 200 მლნ ფუთამდე დაეცა.

მეორე საკითხია **მეტალურგია.** შეიძლება ითქვას, რომ მადნის, თუჯისა და მზა ნაწარმის თითქმის ერთადერთი წყარო ჩვენში იყო და არის დონეცკ-კრივოი როგის აუზი. 1916 წელს თუჯის გამოშვება თვეში შეადგენდა, სულ ცოტა, 16 მლნ ფუთს. დონბასის რაიონში მაშინ მუშაობდა 65 ბრძმედი, ახლა 65-დან ერთიც არ მუშაობს. 1916 წელს მეტალურგიული ქარხნებიდან თვეში ვიღებდით 14 მლნ ნახევარფაბრიკატს, ახლა ვიღებთ ამ რაოდენობის არა უმეტეს 5 პროცენტს. 1916 წელს თვეში ვიღებდით 12 მლნ ფუთ მზა ნაწარმს, ახლა ვიღებთ — 2-3 პროცენტს. მეტალურგიაშიც საქმე ძალიან ცუდად არის.

მესამეა **პურის საკითხი.** მანამდე ფედერაციულ ტერიტორიაზე ვიღებდით 5 მილიარდამდე ფუთ მარცვლეულს, აქედან 500 მლნ-ზე მეტი საზღვარგარეთ მიდიოდა. შარშანდელი მოსავლიდან უკრაინაში დაგროვდა 600 მლნ ფუთი პური; გადაწყდა, რომ მარტისთვის მოახერხებდნენ, შეეგროვებინათ დაახლოებით 40 მლნ ფუთი, მაგრამ ეს არ მოხერხდა ისეთ ვითარებაში, როცა მახნოელები პირდაპირ ნადირობდნენ სასურსათო საქმის მუშაკებზე, ზოგიერთ რაიონში კულაკთა აჯანყებების ვითარებებში ჩვენ შევძელით 40 მილიონის ნაცვლად შეგვეგროვებინა 2 მლნ ფუთი პური.

შემდეგია **შაქრის საკითხი.** 1916 წელს ჩვენში მზადდებოდა დაახლოებით 115 მლნ ფუთი შაქარი. მოთხოვნა გამოიხატებოდა 100 მილიონი ფუთით. ახლა კი გვაქვს 3 მილიონამდე ფუთი შაქარი. ასეთია ამჟამად ომით დანგრეული ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა“.

უკიდურესად გაპარტახებული და გაღარიბებული ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნება უკიდეგანო რუსეთის იმპერიაში თითქმის შეუძლებელი იყო. **1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა: კავკასიაში — მენშევიკები, მუსავატები და დაშნაკები, უკრაინაში — ნაციონალისტები, ხელისუფლებაში — დასავლეთის მიერ შემოგზავნილი ტროცკის უზარმაზარი ბანდა, თავისი დიდი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსით. ის საერთაშორისო ტერორისტული შეთქმულება, რომელიც დასავლეთმა დაგეგმა ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ანტანტის ხელით, იყო თითქმის უძლეველი ძალა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა.**

პრაქტიკულ საქმიანობას მოკლებული და ადვილად გადასაბირებელი ლენინი (ხან კაცისგან, ხანაც ქალისგან) ხშირად არათუ პოსტრევოლუციის ბელადად, არამედ უმრავლეს შემთხვევაში მეხუთე ბორბლად გადაიქცეოდა ხოლმე.

სისხლისმღვრელი პოლიტიკური ბრძოლის ველზე ეულად დარჩენილი სტალინი ებრძოდა, არა მხოლოდ ტროცკიზმს, კავკასიელ და უკრაინელ ნაციონალისტებს კოლჩაკს, დენიკინს და იუდენიჩს, არამედ ებრძოდა ლენინს, რომელსაც ხელიდან გამოსტაცა სამხრეთი რუსეთი, როდესაც არ დაემორჩილა არც მას, არც მის სამხედრო მინისტრ ტროცკის და ჩრდილოეთი კავკასია და ცარიცინი კატასტროფისაგან იხსნა. 1918 წლის დასაწყისში გერმანელებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, ბოლო მოეღოთ უკრაინისთვის და სრულმასშტაბიან ომზე გადავიდნენ უკრაინის წინააღმდეგ. „ჩრდილში“ მყოფმა სტალინმა, როგორც ხშირად შენიშნავენ უახლოესი ისტორიის „მკვლევარები“, 1918 წლის 21 თებერვალს დეპეშა გაუგზავნა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს:

„გერმანელებმა აიღეს დვინსკი, როვნო, მინსკი, ვოლმარი, ჰაპსალი. მოიწევენ პიტერისა და კიევისკენ. ცხადია, ლაშქრობის მიზანი არის არა მხოლოდ დაპყრობა, არამედ, უწინარესად, რევოლუციისა და მისი მონაპოვრის ჩახშობა.




**სისხლისმღვრელი პოლიტიკური ბრძოლის ველზე ეულად დარჩენილი სტალინი ებრძოდა, არა მხოლოდ ტროცკიზმს, კავკასიელ და უკრაინელ ნაციონალისტებს: კოლჩაკს, დენიკინს და იუდენიჩს, არამედ ებრძოდა ლენინს, რომელსაც ხელიდან გამოსტაცა სამხრეთი რუსეთი, როდესაც არ დაემორჩილა არც მას, არც მის სამხედრო მინისტრ ტროცკის და ჩრდილოეთი კავკასია და ცარიცინი კატასტროფისგან იხსნა**



სახკომსაბჭომ გადაწყვიტა, წინააღმდეგობა გაუწიოს პიტერიდან, მოახდინოს მუშამოსახლეობის, აგრეთვე, ბურჟუაზიის მობილიზაცია; ამასთანავე, თუ ბურჟუაზიის წარმომადგენლები არ მოისურვებენ სანგრების თხრას, ძალით გაიყვანოს ისინი და მუშების კონტროლით ათხრევინოს სანგრები. ამხანაგების საერთო აზრი არის ის, რომ თქვენ, კიეველები, ვალდებულნი ხართ, ერთი წუთიც არ დაკარგოთ და ასეთივე წინააღმდეგობა გაუწიოთ მტერს კიევის დასავლეთით, მოახდინოთ მთელი ცოცხალი ძალების მობილიზაცია, დადგათ არტილერია, გათხაროთ სანგრები, გარეკოთ ბურჟუაზია მუშების კონტროლით სასანგრო სამუშაოებზე. გამოაცხადოთ საალყო წესები და იმოქმედოთ სისასტიკის ყველა წესის მიხედვით. საერთო დავალებაა — დავიცვათ პეტროგრადი და კიევი, შევაკავოთ გერმანელთა ბანდები, რადაც უნდა დაგვიჯდეს. მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვიდრე შეიძლება თქვენ გეჩვენებათ. ჩვენთვის უეჭველია, რომ გერმანელთა ბანდებს სურთ, გაისეირნონ პიტერიდან კიევამდე და მხოლოდ ამ დედაქალაქებში გამართონ მოლაპარაკება ზავის შესახებ. სტალინის ბრძანების გამოსვლიდან მეორე დღეს გერმანელებმა წარუდგინეს ზავის პირობები, რის გამოც სტალინი უშუალოდ დაუკავშირდა უკრაინის სახალხო სამდივნოს და გააცნო ზავის პუნქტები:

**„...პუნქტი მესამე.** რუსეთის ჯარები და წითელი გვარდია დაუყოვნებლივ ტოვებენ **ლაპლანდიასა** და ესტლანდიას და ამ მხარეებს გერმანიის პოლიცია იკავებს მანამდე, სანამ ქვეყნის მოწყობა არ შექმნის იქ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის გარანტიას. ყველა მცხოვრები, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან პოლიტიკურ საფუძველზე, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს“.

**„...პუნქტი მეოთხე.** რუსეთი დაუყოვნებლივ დებს ზავს უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან. რუსეთის ჯარები და წითელი გვარდია დაუყონებლივ ტოვებენ უკრაინასა და ფინეთს, რუსეთის სამხედრო გემები (შავი ზღვისა და სხვა) დაუყოვნებლივ გადაყვანილნი იქნან რუსეთის ნავსადგურებში და დატოვებული იქნან იქ საყოველთაო ზავის დადებამდე ან განიარაღებული იქნან.

**პუნქტი მეხუთე.** რუსეთი თავისი ძალების მიხედვით ყველაფერს გააკეთებს, რათა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს თურქეთისთვის მისი აღმოსავლეთი ანატოლიის პროვინციების გეგმაზომიერი დაბრუნება, და აღიარებს თურქეთის კაპიტულაციის გაუქმებას“.

„საერთოდ, უნდა ითქვას, — აცხადებს სტალინი, რომ პირობები წარმოუდგენლად მხეცურია. ვფიქრობთ, რომ პუნქტი უკრაინის შესახებ მოასწავებს არა ვინიჩენკოს ძალაუფლების აღდგენას, რომელიც თავისთავად ღირებულებას არ წარმოადგენს გერმანელებისთვის, არამედ ფრიად რეალურ ზემოქმედებას ჩვენზე, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ჩვენ და თქვენ დავთანხმდეთ, მივიღოთ ძველი რადის ხელშეკრულება ავსტრია-უნგრეთთან, ვინაიდან გერმანელებს სურთ არა ვინიჩენკო, არამედ ფაბრიკატების გაცვლა პურსა და მადანზე. ახლანდელ მდგომარეობას — გერმანელების შემოტევასა და ჩვენი ჯარების გამოქცევას, ასე ვაფასებთ: იმპერიალისტები რომ დავამხეთ, დასავლეთში რევოლუციური მოძრაობის ნელი ტემპის, ჩვენი ჯარების მერყეობისა და გერმანელ იმპერიალისტთა უმაგალითო მტაცებლობის გამო, დროებით კლანჭებში ჩავუვარდით უცხოეთის იმპერიალიზმს, რომლის წინააღმდეგ ახლავე უნდა ვამზადოთ ძალები სამამულო ომის მოსაწყობად, დასავლეთში რევოლუციური ძალების ამოძრავების იმედით, რაც, ჩვენი აზრით, გარდაუვალია. მოსამზადებლად საჭიროა მინიმალური შესვენება, რომელიც შეიძლება მხეცურმა ზავმაც კი მოგვცეს. არამც და არამც არ შეიძლება, შევიქმნათ ილუზიები. გამბედაობა უნდა გვეყოს, თვალი გავუს- ▶

„ბურჟუაზიულ- დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია. ვფიქრობ, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიწევთ ამ დროშის აღმართვა, თუ გსურთ, ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენ გარდა ვერავინ აღმართავს მას. წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას და მას „ყველაფერზე მაღლა“ აყენებდა. იმ „ეროვნული პრინციპებისაგან“ კვალიც აღარ დარჩა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას“.

გრიგოლ ოძიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამზადისი 1945 წლის გაზაფხულზე დასრულდა, როდესაც სტალინმა გერმანიის დედაქალაქ ბერლინის გარშემო საბჭოთა არმიის საუკეთესო საჯარისო შენაერთები განალაგა. მსხვილკალიბრიანი არტილერიითა და ლეგენდარული «კატიუშით» ალყაშემორტყმული ბერლინის პერიმეტრის თითოეულ კილომეტრზე იდგა 270 ერთეული ცეცხლისმფრქვეველი ვეშაპი, რომლებიც საომარი თეატრის სცენის გასანათებლად და მოწინააღმდეგის დასაბრმავებლად 3000 ერთეული უმძლავრესი პროჟექტორით იყო აღჭურვილი. პარამეტრზე, აგრეთვე, განლაგებული იყო ლეგენდარული ლელიუშენკოსა და რიბალკოს სატანკო არმიები. ათასობით ბომბდამშენი ელოდა ბრძანებას ჰაერში ასაჭრელად**

◀ წოროთ სინამდვილეს და ვაღიაროთ, რომ დროებით მოვექეცით გერმანული იმპერიალიზმის კლანჭებში. სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც დღეს, ღამის 3 საათზე, გადაწყვიტა, დადოს ზავი მხეცურ პირობებში და სახკომსაბჭოს დაავალა, გაგზავნოს დელეგაცია ბრესტში, რაც მოხდა კიდეც დღეს. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება. ჯერჯერობით კი ვემზადოთ და კვლავ ვემზადოთ გერმანული იმპერიალიზმის წიმნაალმდეგ წმინდა ომისთვის“.

ეს სამზადისი 1945 წლის გაზაფხულზე დასრულდა, როდესაც სტალინმა გერმანიის დედაქალაქ ბერლინის გარშემო საბჭოთა არმიის საუკეთესო საჯარისო შენაერთები განალაგა. მსხვილკალიბრიანი არტილერიითა და ლეგენდარული „კატიუშით“ ალყაშემორტყმული ბერლინის პერიმეტრის თითოეულ კილომეტრზე იდგა 270 ერთეული ცეცხლისმფრქვეველი ვეშაპი, რომლებიც საომარი თეატრის სცენის გასანათებლად და მოწინააღმდეგის დასაბრმავებლად 3000 ერთეული უმძლავრესი პროჟექტორით იყო აღჭურვილი. პარამეტრზე, აგრეთვე, განლაგებული იყო ლეგენდარული **ლელიუშენკოსა** და **რიბალკოს** სატანკო არმიები. ათასობით ბომბდამშენი ელოდა ბრძანებას ჰაერში ასაჭრელად. უკუნ ღამეში ჰაერში გაშვებულ სასიგნალო შუშხუნას კატასტროფა მოჰყვა ბერლინის თავზე. წარმოუდგენელ ელვას, რომელსაც ქმნიდა წინა ხაზზე განლაგებული უმძლავრესი იუპიტერები, მოჰყვა არტილერიის გრუხუნი, რომელსაც უერთდებოდა ერთბაშად დაძრული მაყუჩმოხსნილი ტანკების შემაძრწუნებელი ხმაური, რომელსაც ჰაერიდან წამოსული უზარმაზარი ჭურვების აფეთქების ხმებიც უერთდებოდა. გამდნარი ფოლადით ივსებოდა ბერლინის ქუჩები და მოედნები. სათვალთვალო პუნქტებიდან კი **ჟუკოვი, კონევი** და **როკოსოვსკი** დურბინდებით აკვირდებოდნენ, როგორ ცურავდა ბერლინი გამდნარი ფოლადის ზღვაში. ასე იძია სტალინმა შური უკრაინისთვის გერმანელ დამპყრობლებზე 25 წლის შემდეგ.

დღეს კი ჯონ კერის, ვიქტორია ნულანდის, ქეთრინ ეშტონის, მანუელ ბაროზოსა და სხვათა მიერ კიევის მაიდანზე მიტანილი საბურავები კვლავ იწვის. მასთან ერთად იწვის უკრაინის ქალაქები და სოფლები. ცეცხლის ალშია გახვეული ისრაელი და პალესტინა, ლიბია, სირია, ავღანეთი, ერაყი. დღენთის კასრზე ზის დედამიწა. ვინ არის ის, ვინც ანათემას გადასცა მთელი მსოფლიო?

ვინ არის ის, ვინც სასაკლაოებად გადააქცია მთელი რიგი ქვეყნები?

ვინ არის ის, ვინც თავის ნებას თავს ახვევს ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში?

ვინ არის ის, ვინც ანგრევს სარწმუნოებას და ქვეყანაზე აფუძნებს ცხოველურ ინსტინქტსა და სიმახინჯეს?

ვინ არის ის, ვინც იპყრობს კოსმოსს და ამარცხებს ადამიანურ მორალს?

— ეს ამერიკაა, თავისი სატელიტი გამოჩერჩეტებული ბებერი ევროპითა და ევროპელებით.

ნუთუ დაბრმავდა სრულიად მსოფლიო და არ უყურებდა, როგორ მოაწყო ამერიკამ გეოპოლიტიკური კატასტროფა XX საუკუნის ბოლოს და როგორ გახდა იგი მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველი? ნუთუ მსოფლიოს საზოგადოებრიობის მეხსიერებიდან ამოიშალა შანტაჟი და ცრუ ბრალდება ერაყის მიმართ, რომელსაც შუამდინარეთის უძველესი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის მოსპობა და განუმეორებელი სისასტიკით ჰუსეინისა და მისი ოჯახის ამოწყვეტა მოჰყვა?

რით, რომელი საზომით შეიძლება გაიზომოს და აიწონოს ის დანაშული, რომელიც ამერიკელებმა ლიბიისა და მისი ლიდერის, **მუამარ კადაფის,** მიმართ ჩაიდინეს? აყვავებული ქვეყანა, რომელიც თავისი ცხოვრების გზით მიდიოდა, კანიბალიზმში დააბრუნეს. ან რა დამართეს სერბეთს 1999 წლის აღდგომას, როცა მისი დედაქალაქი ბელგრადი ცეცხლის ალში გაახვიეს, შემდეგ კი ძირძველი ისტორიული მიწა — კოსოვო ჩამოაჭრეს და სეპარატისტ ალბანელებს გადასცეს. უკრაინაზე ორჯერ თავდასხმა ხომ ამერიკელი და ევროპელი ადამიანის მსგავსი ცხოველების მხეცური ინსტინქტია, რომლებსაც სურთ, ხელში ჩაიგდონ უზარმაზარი რესურსი და ამით მუცელი როგორმე ამოიყორონ. თუმცა ევროპის შუაგულში დანთებული ხანძარი ისე იოლად არ ჩაქრება — ეს არც კოსოვოა და არც ალბანეთი.




ოკეანეებიდან ამოსული თეთრი სვეტები და სტეპებში განლაგებული ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულები კარგს არაფერს უქადის შხამ-გესლით გავსებულ დედამიწას. მოახლოვდა სოდომ-გომორას ანგარიშსწორების დრო და, თუ ამას ადამიანი ვერ გააკეთებს (არც აქვს ამის გამბედაობა), გააკეთებს უფალი, რომელსაც არავისთვის არაფერი შეურჩენია. **სტალინის მიერ ოკეანეების ფსკერზე ჩატანილი და მთების გულში დამალული, აგრეთვე, კოსმოსში ატანილი იარაღის პატრონი პუტინი, რომელსაც, ამასთანავე, ჰყავს თერმობირთვულ იარაღზე ძლიერი, სტალინური იდეოლოგიით აღზრდილი მებრძოლების მემკვიდრე თაობა, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერანაირი ძალა, პირობას დებს, რომ ჩააქრობს დასავლეთის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აგიზგიზებულ ხანძარს.**

ვლადიმერ ვლადიმერის ძევ! პლანეტა დედამიწა განსაცდელშია, თქვენ შემოგყურებს სრულიად მსოფლიო. ჩაგრულ ხალხებს ეშინიათ ოლიგარქებისა და მათ მიერ დაქირავებული ქილერების, ვერ გამოთქვამენ თავიანთ თვალსაზრისს. მათი ნება მხოლოდ სტალინმა გამოთქვა პარტიის XIX ყრილობაზე:

„წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა, ლიბერალურობა გამოეჩინა. იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს და ამით პოპულარობას იქმნიდა ხალხში. ახლა ლიბერალიზმისგან კვალიც აღარ არის დარჩენილი. აღარ არის ეგრეთ წოდებული პიროვნების თავისუფლება, პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ მათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქე კი ითვლება ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლუატაციისთვის. გათელილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლუატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლუატირებული უმრავლესობის უუფლებობის პრინციპით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია. ვფიქრობ, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიწევთ ამ დროშის აღმართვა, თუ გსურთ, ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენ გარდა ვერავინ აღმართავს მას. წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას და მას „ყველაფერზე მაღლა“ აყენებდა. ამ „ეროვნული პრინციპებისაგან“ კვალიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. ეჭვგარეშეა, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიწევთ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ, თქვენი ქვეყნის პატრიოტები იყოთ, თუ გსურთ, ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ. სხვა ვერავინ აღმართავს მას“.

ვლადიმერ ვლადიმერის ძევ! აიღეთ ლაფში გადაგდებული დროშა და წინ გაუძეხით მსოფლიოს ხალხებს, ერთი მუჭა ოლიგარქების დასამხობად მსოფლიოს ხალხების თავისუფლებისთვის. მხოლოდ ერთი მოწოდება გჭირდებათ, რომ დედამიწაზე სიღარიბისგან მგმინავი მოსახლეობა მხარში ამოგიდგეთ. გამოიყენოთ უკვე გამოცდილი და გამარჯვებამოპოვებული საერთო სახალხო მოწოდება: „ზა როდინუ, ზა სტალინა!“.

მსოფლიომ დაინახა და იცის, როგორ გადაუხადა სამაგიერო ძველი და ახალი უკრაინის დანგრევისთვის სტალინმა გერმანელებსა და ჰიტლერს, არ ვიცით, როგორ და როდის გადაუხდის სამაგიეროს თანამედროვე უკრაინის დანგრევისთვის ვლადიმერ პუტინი ამერიკასა და ევროპას.

თანამედროვე უკრაინაში გამართული კლოუნადა კარგს არაფერს მოუტანს არა მხოლოდ უკრაინას, სხვა ქვეყნებსაც. შეიძლება პურის ბეღლის ნაცვლად უკრაინა იქცეს ამერიკული იარაღის საწყობად, რაც იგივეა, რომ უკრაინელი ხალხი იჯდეს დენთით სავსე კასრზე, რომლის აფეთქებამაც შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს პლანეტაზე.

**უკიდურესად გაპარტახებული და გაღარიბებული ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნება უკიდეგანო რუსეთის იმპერიაში თითქმის შეუძლებელი იყო. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა: კავკასიაში — მენშევიკები, მუსავატები და დაშნაკები, უკრაინაში — ნაციონალისტები, ხელისუფლებაში — დასავლეთის მიერ შემოგზავნილი ტროცკის უზარმაზარი ბანდა, თავისი დიდი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსით. ის საერთაშორისო ტერორისტული შეთქმულება, რომელიც დასავლეთმა დაგეგმა ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ანტანტის ხელით, იყო თითქმის უძლეველი ძალა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა**



ეს არ უნდა განმეორდეს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰიტლერმა მუფტის გრუპენფიურერის წოდება მიანიჭა, რაც გენერლობას შეესაბამებოდა. მაგრამ ალ-ჰუსეინმა ნაცისტებისგან ამ მაღალ წოდებაზე გაცილებით მეტი მიიღო. გერმანელები კარგად ასაჩუქრებდნენ გაწეული სამსახურისთვის, მაგალითად, ვილებით, სახლებით ბერლინსა და ქალაქის შემოგარენში — მისთვის და მისი უახლოესი წრის წევრებისთვის.**

# ნაცისტური ჯიჰადი

**ანალიტიკოსების აზრით, თანამედროვე ტერაქტები სათავეს ნაცისტური ინსტრუქციებიდან იღებს. ჰიმლერმა, გერინგმა, გებელსმა და მათმა თანამზრახველებმა იცოდნენ, რომ ომის წარმოება ცენტრალური სარდლობის გარეშეც იყო შესაძლებელი. ტერაქტების არსი სწორედ ეს არის. ახალი, გამაოგნებელი მონაცემებით აშკარავდება, რომ ნაცისტები მოთარეშეებს, იმავე „ბოევიკებს“ ახლო აღმოსავლეთში ამ იდეის გარშემო რაზმავდნენ.**

## „ეგვიპტემ შექმნა ისეთი პირობები, როცა სვასტიკა მშვიდობიანად თანაარსებობდა სფინქსთან“

**ჰიტლერმა იცოდა, რომ ისლამი მონების რელიგია კი არ არის, არამედ მეომართა სარწმუნოებაა. ასეთია გამაოგნებელი სიმართლე სიძულვილის ვირუსის შესახებ, რომელიც ავრცელებს ნგრევისა და ადამიანების დახოცვის ჰიტლერისეულ იდეას მსოფლიოში — ნაცისტური ჯიჰადის იდეას.**

მეოცე საუკუნის დასაწყისში მილიონობით ებრაელი მშვიდობიანად ცხოვრობდა ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. სიფარელი ებრაელები საუკუნეების განმავლობში არაბებთან მშვიდობიანად და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მეზობლობდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიამ გამანადგურებელი დამარცხება იგემა პირველ მსოფლიო ომში, ყველაფერი შეიცვალა.

ახალგაზრდა პოლიტიკოსმა **ადოლფ ჰიტლერმა** ევროპაში მცხოვრები ებრაელები გერმანიის ყველა უბედურების მიზეზად შერაცხა და მათაც ანგარიშსწორების შიშით მასობრივად დაიწყეს გადასახლება ახლო აღმოსავლეთში — თავიანთ ახალ, მშვიდობიან სამკვიდროში.

ნაცისტური ხელმძღვანელობა ცდას არ აკლებდა, ებრაელების ცხოვრება გერმანიაში აუტანელი რომ გაეხადა — აიძულებდა, გადახვეწილიყვნენ. ეს კი ეთნიკური წმენდა იყო ნეგატივიზმის სრული გამოვლენით. გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში 250 ათასი ევროპელი ებრაელი პალესტინაში გაიხიზნა, რადგან დიდი ბრიტანეთი დათანხმდა, რომ იგი (პალესტინა) მათ ოფიციალურ სამშობლოდ ჩამოეყალიბებინა, მაგრამ ადგილობრივმა არაბებმა განაცხადეს, რომ ეს დაარღვევდა მათი ტრადიციული ცხოვრების წესსა და რიგს.

პალესტინელი ებრაელები ადგილობრივი მკვიდრნი არ იყვნენ. მათ იქაური ენაც კი არ იცოდნენ. ისინი ყველასთვის მოულოდნელად გამოცხადდნენ პალესტინაში.

დაძაბულობა ძლიერდებოდა. ტრადიციული არაბული რაიონები თანდათან გაქრა, ევროპელი ებრაელები ადგილობრივი ღატაკი მოსახლეობისგან ყიდულობდნენ მიწებს სასოფლო-სამეურნეო კომუნების — კიბუცების შესაქმნელად. ამას ბუნებრივად მოჰყვებოდა ადგილობრივთა მწვავე უკმაყოფილება და შეტაკებები. არაბებმა წამოიწყეს დივერსიებისა და მიზანმიმართული მკვლელობების კამპანია.

## არაბული სამყაროს ფიურერი

ანტიებრაული აქციების ორგანიზატორთა შორის იყო იერუსალიმის უმაღლესი მუფტი **ამინ ალ-ჰუსეინი**.



იგი ერთდროულად პირწავარდნილი ანტიბრიტანელი და ანტისემიტი იყო. მას ებრაელთა სრული ამოწყვეტა სურდა და ამ მისწრაფებაში შეუვალი გახლდათ.

ამასთან ერთად, ალ-ჰუსეინი ქარიზმატულ პიროვნებად წარმოგვიდგება: იყო შესანიშნავი ორატორი და ადვილად შეეძლო მისდამი კეთილგანწყობილების შექმნა. უნდა ითქვას, რომ ალ-ჰუსეინის არ ჰქონდა ტიპიური არაბული გარეგნობა — ის ქერა და ცისფერთვალება იყო.

**ბრიტანელებისგან იერუსალიმის უმაღლესი მუფტის წოდების მიღების შემდეგ** მან მოახერხა საკუთარი მდგომარეობისა და შესაძლებლობის გამოყენება პოლიტიკური ომის რელიგიურ ომად გარდასაქმნელად.

**1936-დან 1939 წლამდე მისი მონდომების შედეგად ხუთი ათასამდე არაბი შეეწირა მათ მიწებზე ებრაელთა დასახლებების შექმნის წინააღმდეგ ბრძოლას. იგი დაუღალავად ლაპარაკობდა ებრაელთა შეთქმულებაზე, რომლის მიზანი იყო ისლამის მოსპობა. ყველაფერს იქმოდა მუსლიმთა და იუდეველთა მტრობის გასაღვივებლად. სიტუაციაც სერიოზულად შეირყა და არასტაბილური გახდა.**

მაგრამ ალ-ჰუსეინის მთავარი მიზანი ებრაელთა დასახლებები კი არ იყო, არამედ არაბების ზომიერი უმრავლესობის გაუვნებელყოფა, რომელსაც სჯეროდა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

დოქტორი **მათიას კიუნზელი**, წიგნის „ანტიებრაული ჯიჰადის“ ავტორი, ამტკიცებს, რომ პალესტინელებისვე ხელით დაღუპული იმ პალესტინელების რაოდენობა, რომლებსაც არ სურდათ მუფტის ბრძანებების შესრულება, დიდად აჭარბებს ბრიტანელი ჯარისკაცების ან ებრაელთა მიერ დახოცილი პალესტინელების საერთო რაოდენობას.

მშვიდობიანად განწყობილი არაბების მიზანმიმართულმა ჟლეტამ დაარღვია რეგიონში არსებული წონასწორობა და დიდი ხნით კალაპოტიდან ამოაგდო მეტ-ნაკლებად სტაბილური ყოფის პროცესი.



## ჰიმლერს სჯეროდა მუფტის უდიდესი გავლენის, ამიტომაც იყო, რომ 1943 წლის დასაწყისში მიავლინა ბოსნიაში მუსლიმი მოხალისეებისგან ეს-ეს-ის დანაყოფის შექმნაში დასახმარებლად

**დაშინებისა და განადგურების ეს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის არსის გაგების ამოსავალი მომენტია.**

1941 წლის 28 ნოემბერს ამინ ალ-ჰუსეინი ნაცისტურ გერმანიაში ჩავიდა **ადოლფ ჰიტლერთან** შესახვედრად, რომელსაც ეთაყვანებოდა,



მიუხედავად იმისა, რომ ფიურერი მასთან ურთიერთობას მაინცდამაინც არ ესწრაფვოდა. ჰიტლერმა არაფერი იცოდა ალ-ჰუსეინის რასობრივი წარმომავლობის შესახებ და ეჭვის თვალით უყურებდა მას.

ჰიტლერმა მუფტის ეს-ესის მეთაური **ჰენრიხ ჰიმლერი** გააცნო, და შედეგად იქმნება ისლამურ-ნაცისტური პაქტი, რომლის შედეგები დღესაც იგრძნობა.

**ჰიმლერს მოსწონდა მუფტი, რომელიც არიელს ჰგავდა (როგორც აღვნიშნეთ, ალ-ჰუსეინი ქერა და ცისფერთვალება იყო) და ნაცისტებზე უარესი ფანატიკოსი, უკომპრომისო და წარმოუდგენლად გაავებული ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჰიმლერი მას არაბული სამყაროს ფიურერს შეარქმევს და სულ მალე ისლამს იუდაიზმსა და ქრისტიანობაზე უფრო ამაღლებ-ულ რელიგიად გამოაცხადებს.**

ალ-ჰუსეინი მუდმივად უსვამდა ხაზს ისლამის პრინციპების ნაციზმის პრინციპებთან მსგავსებას: ერთიანობას ერთი ლიდერის ძალაუფლების ქვეშ, მორჩილებასა და დისციპლინას. მაგრამ უმთავრესი მაინც სხვა რამ იყო: ებრაელებისადმი გაშმაგებული სიძულვილი.

ჰიტლერი წინააღმდეგი იყო ე.წ. თანამედროვე დეკადანსისა ხელოვნებაში, კულტურასა და, აგრეთვე, პოლიტიკაში, ანუ ყველაფრის, რასაც რაიმე საერთო ჰქონდა ლიბერალიზმთან: ჰიტლერისა და ალ-ჰუსეინის იდეალები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იყო. მუფტი მოეწონათ ნაციზმის ლიდერებს, მათი აზრით, იგი



ფრიად გამოადგებოდათ, როგორც მოკავშირე ისლამისტი.

ალ-ჰუსეინმა, ამასთან ერთად, ხელი შეუწყო ანტიბრიტანული განწყობილების ცეცხლის გაჩაღებას ახლო აღმოსავლეთში.

ნაცისტებს სჭირდებოდათ სუეცის არხი, ნავთობი: იქიდან აპირებდნენ ცენტრალური აზიის დალაშქვრას.

**ჰიტლერმა მუფტს გრუპენფიურერის წოდება მიანიჭა, რაც გენერლობას შეესაბამებოდა. ალ-ჰუსეინმა ნაცისტებისგან ამ მაღალ წოდებაზე გაცილებით მეტი მიიღო. გერმანელები გულუხვად ასაჩუქრებდნენ გაწეული სამსახურისთვის, მაგალითად, ვილებით, სახლებით ბერლინსა და ქალაქის შემოგარენში მას და მისი უახლოესი წრის წევრებს.**

1943 წლის აპრილში, ჰიტლერთან შეხვედრის წელიწადნახევრის შემდეგ არაბეთის ფიურერმა ალ-ჰუსეინმა ბალკანეთში იპოვა ნაცისტურ-ისლამური ურთიერთობის განმტკიცების ახალი მეთოდი. ბოსნიაში ადგილობრივი მაჰმადიანები კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის დარაზმა და მათგან ეს-ეს-ის ისლამური დივიზია შექმნა.

ჰიმლერს სჯეროდა მუფტის უდიდესი გავლენის, ამიტომაც იყო, რომ 1943 წლის დასაწყისში მიავლინა ბოსნიაში მუსლიმი მოხალისეებისგან ეს-ეს-ის დანაყოფის შექმნაში დასახმარებლად. მუსლიმთა 26-ათასიანი დივიზია ამ კატეგორიის ერთ-ერთი უმსხვილესი დანაყოფი იყო ნაცისტურ არმიაში. ჯარისკაცებს იუგოსლავიის კომუნისტების წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ, მაგრამ ალ-ჰუსეინის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ისინი დაუნდობლად გაუსწორდებოდნენ მთავარ მტრებს — ებრაელებსაც. მუსლიმი ჯარისკაცებისთვის მიცემულ მითითებებში **მუფტი პირდაპირ მიუთითებდა, რომ კომუნისტების განადგურება მათი ერთადერთი პრიორიტეტული მიზანი არ არის: „დადგება დღე მეორედ მოსვლის, როცა მაჰმადიანები საბოლოოდ დაამხობენ ებრაელებს, და თითოეული ხე, რომელსაც ებრაელი ამოეფარება, იტყვის — ჩემ უკან ებრაელი იმალება, მოკალით იგი!“**

ამ დანაყოფმა მალე გაითქვა სახელი სიმკაც-



# ნაცისტ ოფიცერთა შორის, რომლებიც საიდუმლოდ და არცთუ საიდუმლოდ გადაბარგდნენ ახლო აღმოსავლეთში, იყო ადამიანი, რომელიც დაეხმარა მუფტის, გამოეყენებინა ნაცისტური სამხედრო მომზადების გამოცდილება ჯიჰადის ინტერესებში. ეს ადამიანი იყო ოტო სკორცენი.

**ეს არ უნდა განმეორდეს**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რითა და დაუნდობლობით: სერბ ებრაელთა წინააღმდეგ რამდენიმე გაშმაგებულ შეტევას ათასობით ადამიანი ემსხვერპლა (ბოსნიის ამ ფაშისტურ-ისლამური დანაყოფის იდეოლოგიურმა მემკვიდრეებმა მშვიდად მოაღწიეს ჩვენს დღეებამდე და ებრაელებიდან ადვილად გადაერთვნენ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე, გასული საუკუნის 90-იან წლებში „ადამიანის უფლებების“ დაცვის საბაბით გენოციდი მოუწყვეს სერბ მართლმადიდებლებს. აი, ამ ურჩხულებს ჩვენი მთავრობის სათაყვანებელი ნატო-ამერიკა-ევროკავშირი ყავდათ და ყავთ ახლაც პატრონ-მფარველად), არაბთა ფიურერი არასოდეს ივიწყებდა თავის მთავარ მიზანს: ებრაელთა ამოძირკვას პალესტინაში.

პროპაგანდის მინისტრმა **იოზებ გებელსმა** არაბულ აღმოსავლეთს ბრიტანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ფაშისტების მნიშვნელოვანი მოკავშირე უწოდა. გერმანელებისთვის ბრიტანელებთან ბრძოლის მთავარი საშუალება არაბების წინააღმდეგობა იყო. ალ-ჰუსეინმა დაარწმუნა ნაცისტები, რომ შეუძლია ჩამოაყალიბოს ანტისემიტური რადიომაუწყებლობა ებრაელთა სიძულვილით გამსჭვალულ არაბთა მასისთვის. დოქტორი **ჰერი ბილსკომფი** თავის წიგნში „ვერვოლფი“ წერს, რომ მას (ალ-ჰუსეინს) შეეძლო არცთუ სახუმარო ცეცხლის გაჩაღება შორი მანძილიდანაც კი: თვეების განმავლობაში დღეში რამდენიმეჯერ ალ-ჰუსეინის პროპაგანდისტული პროგრამები წამლავდა ახლო აღმოსავლეთს, არწმუნებდა არაბებს, რომ ნაცისტების ომი მათი ომია, რომ ისინი უნდა აღსდგნენ და მხარი დაუჭირონ ნაცისტებს, რადგან ჰიტლერს მათი დახმარება სჭირდება.

**ალ-ჰუსეინმა ყურანიდან ისესხა რელიგიური ჯიჰადის ცნება და მოუწოდა არაბებს, მხარი დაეჭირათ გერმანელი ნაცისტებისთვის წმინდა ომში. ნაცისტური პროპაგანდა ცდილობდა, ბრიტანელები, ამერიკელები, ებრაელები და რუსები წარმოედგინა ისლამის მტრებად, ხოლო გერმანელი ნაცისტები — ისლამის დამცველებად და მეგობრებად.**

ერთ-ერთ რადიოგადაცემაში ალ-ჰუსეინმა განაცხადა, რომ ებრაელთა განადგურება მუსლითა რელიგიური ვალია. 1944 წლის პირველ მარტს ბერლინის რადიოს არხზე გამოსვლისას ალ-ჰუსეინიმ არაბებს მოუწოდა: „ყველანი, როგორც ერთი, აღსდექით თქვენი წმინდათაწმინდა უფლებების დასაცავად, დახოცეთ ებრაელები ყველგან, სადაც კი იპოვით! ეს სალმრთო საქმეა, სჭირდება ისტორიას და რელიგიას!“






**ჰიტლერის „მაინ კამპფის“ არაბული თარგმანი „სიონის ბრძენთა ოქმებთან“ ერთად ბესტსელერი ხდება. არაბული სამყარო მზად იყო, დაეჯერებინა ებრაელთა მსოფლიო შეთქმულება, რომლის გამოც ნაცისტები დევნიან ებრაელებს.** ებრაელთა მიმართ სიძულვილი, რომელიც ახლო აღმოსავლეთში დღესაც მძვინვარებს, ნაცისტური პროპაგანდის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. პოლიტიკური პარტია „ჰამასის“ წესდებაში ეს „ოქმები“ უტყუარ ფაქტად არის წარმოდგენილი. გულდასაწყვეტია, რომ ახლო აღმოსავლეთში ბევრს სჯერა ამ ნაყალბევის და, სანამ ადამიანებს სჯერათ აღნიშნული სიცრუის, უკეთესობისკენ ცვლილებები ძნელი წარმოსადგენია.

მუფტი თავის გავლენას ნაცისტებზე ებრაელთა გენოციდის გასაფართოებლად და დასაჩქარებლად იყენებდა. იგი ორთაგან ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგად წარმოგვიდგება, რომლებიც არაბულ სამყაროში ნაცისტურ ტაქტიკასა და იდეოლოგიას ავრცელებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის ცეცხლი გიზგიზებს ევროპაში. ბერლინში არაბეთის ფიურერს, ამინ ალ-ჰუსეინს, ახლომდებარე საკონცენტრაციო ბანაკებში ინსპექტირებისთვის აგზავნის მათი ეფექტიანობის გასაკონტროლებლად.

უახლესი კვლევებით მტკიცდება, რომ ახლო აღმოსავლეთის ებრაელებს კონვეიერული გენოციდისგან ერთი ნაბიჯილა აშორებდა.

**მუფტი და მისი თანამზრახველნი ზაქსენჰაუზენის ბანაკს ესტუმრნენ.**



**ეს-ეს-ის ოფიცრის ანგარიშს თუ დავუჯერებთ, არაბებს განსაკუთრებით აინტერესებდათ პატიმარი ებრაელების მდგომარეობა. სიკვდილის ბანაკეში ებრაელებს ყოველდღიურად და წარმოებისთვის დამახასიათებელი სიზუსტით კლავდნენ და მათი გვამების უტილიზებას ახდენდნენ. მაგრამ ალ-ჰუსეინი ამას არასაკმარისად მიიჩნევს და ასკვნის, რომ ებრაელებს ძალიან ცოტა რაოდენობით ხოცავენ, თანაც უაზროდ აჭიანურებენ. მან ეს განაცხადა და ნაცისტებს „საქმის“ დაჩქარება ურჩია.**

ნიურნბერგის პროცესზე წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებით, ალ-ჰუსეინი საკონცენტრაციო ბანაკების კურატორს **ადოლფ ეიხმანს** სთხოვდა მსგავსი ბანაკები პალესტინაშიც მოეწყო, იქ მიევლინებინა ე.წ. მრჩეველები ებრაელთა რეგისტრაციისა და სიკვდილის ბანაკებში მათი გაგზავნის ორგანიზების მიზნით. მან ეიხმანს უთხრა, რომ ჰიმლერი დაპირდა იერუსალიმში ასეთი მრჩევლების გაგზავნას.

ნიურნბერგის პროცესზე მოისმინეს მოწმეთა ჩვენებები იმის თაობაზე, რომ მუფტი აპირებდა ახლო აღმოსავლეთში ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი ქსელის გამართვას.

მისი წინადადებით, ფელდმარშალ **რომელის** ჯარის ნაწილებს ჩრდილოეთ აფრიკაში თან ახლდნენ **ვალტერ რაუფის** სპეციალისტები ადამიანების განადგურების საქმეში. რაუფი მობილური გაზის კამერების გამომგონებელი იყო. იგი თავის „სპეციალისტებთან” ერთად კვალში მიჰყვებოდა რომელის არმიას. ისინი დაგეშილები ეძებდნენ ებრაელებს, პოულობდნენ და კლავდნენ.

**ტუნისში რაუფელებმა 2,5 ათასი ებრაელი დახოცეს. ალ-ჰუსეინი ოცნებობდა, რომ ახლო აღმოსავლეთში დაენერგათ ებრაელთა განადგურების ეს ეფექტიანი მეთოდი.**

რომელის ჯარები 300 კილომეტრით იყვნენ დაცილებული კაიროს, როცა მოკავშირეთა ძალებმა ისინი ელ-ალამეინთან შეაჩერეს. იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რა უბედურებას დაატრიალებდნენ ფაშისტები კაიროს ოკუპაციის შემთხვევაში. ეგვიპტე პირველი ნაცისტურ-ისლამური სახელმწიფო გახდებოდა, რასაც მოჰყვებოდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ნაცისტური „პროგრამის“ მიხედვით გადაწყვეტა. ეს საშინელი ვარიანტი იკითხება, ერთი შეხედვით, უწყინარი დოკუმენტის სტრიქონებს შორის.





**1942 წლის ივლისში რომელის აფრიკული კორპუსის შტაბში მიიღეს ტელექსი. ეს დოკუმენტი ნებას რთავდა ეს-ეს-ის ჯარებს, განეხორციელებინათ ადმინისტრაციულ-აღმასრულებელი ღონისძიებანი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ერთი წაკითხვით ეს წინადადება არავითარ განსაკუთრებულ ეჭვს არ ბადებდა, მაგრამ იგივე ფრაზა მეორდებოდა სხვა დოკუმენტში, რომელიც წინა წელს იყო მიღებული და რომლის წყალობით ნახევარი მილიონი საბჭოთა ებრაელი დახოცეს ეს-ეს-ის ჯარის ნაწილებმა.**

პალესტინაში ებრაელები საერთოდ ამოწყდებოდნენ, ფელდმარშალ რომელს სუეცის არხი რომ გადაელახა. ებრაელთა მიმართ მუფტის განზრახვის შესრულებისთვის ნაცისტების გამანადგურებელ დამარცხებას ხელი რომ არ შეეშალა.



გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ლტოლვილი ალ-ჰუსეინი ცოტა ხნით დააკავეს ფრანგებმა, მაგრამ მან შეძლო იმ ქვეყანაში დაბრუნება, რომელშიც მისმა ანტისემიტურმა და პრონაცისტურმა რადიოქადაგებებმა ეროვნულ გმირად აქცია. იერუსალიმში მუფტის მიეგებნენ, როგორც პალესტინის და სრულიად არაბული სამყაროს ახალ ლიდერს. იგი იმ დროის ყველაზე უფრო ცნობილი არაბი იყო. მუფტიმ განაგრძო ის საქმე, რომელსაც ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობამდე მისდევდა — ანტისემიტიზმის ქადაგება, დაშინება და მკვლელობა იმათი, ვინც მის იდეებს არ იზიარებდა.

როცა გავრცელდა ხმები, რომ იორდანიის მეფე აბდალა აპირებდა ისრაელთან შერიგებას, ჯერ მისი პრემიერმინისტრი, შემდეგ მეფეც სიცოცხლეს გამოასალმეს.

მუფტიმ განაგრძო მტრობის გაღვივება და პალესტინის ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად გაყოფის ნებისმიერი გეგმისთვის წინააღმდეგობის გაწევა. სწორედ მისმა მტრულმა ქმედებამ გაყოფის პირველი გეგმის განხორციელებას შეუშალა ხელი.

ისრაელთან ბრძოლაში არაბეთის ფიურერს ეხმარებოდნენ ნაცისტური ოფიცრები, რომლებიც ცოტანი როდი იყვნენ ახლო აღმოსავლეთში.

ეგვიპტე პროგერმანული და, ამასთან ერთად, ანტისემიტური და ანტიკომუნისტური ქვეყანა იყო, რამაც შექმნა სვასტიკისა და სფინქსის მშვიდობიანი თანაარსებობის პირობები.

1950-იან წლებში ეგვიპტეს შეხიზნული ნაცისტების რაოდენობა განსაცვიფრებლად დიდი იყო. ისტორიკოსმა **პიტერ ლევანდამ** ახლახან მიიღო განსაიდუმლოებული სია მაღალი თანამდებობების ნაცისტების, რომლებმაც ირწმუნეს ისლამი. ბევრმა ისლამური სახელიც დაირქვა. მაგალითად ეს-ეს-ის ოფიცერი **იოჰან ფონ ლერსს** დავასახელებთ, ფრიად ცნობილ ნაცისტს. იგი გებელსთან პროპაგანდის სამმართველოში მუშაობდა. შემდეგ გადაბარგდა ეგვიპტეში, **ამან ამინის** სახელი დაირქვა და მუშაობა გამალ აბდელ ნასერის მთავრობაში განაგრძო ანტიისრაელური პროპაგანდის ხაზით.

ამ განსაიდუმლოებულ ფაილებში ათობით ეს-ეს-ელი ოფიცრის სახელი და გვარია, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ ეგვიპტის საიდუმლო პოლიციისა და პროპაგანდის ორგანოებში.

ეგვიპტის სპეცსამსახურების ქვედანაყოფების დონე პოლიციური სახელმწიფოს დონეს უთანაბრდება და ნაცისტურ პოლიციურ სახელმწიფოსთან საინტერესო პარალელები აკავშირებს.

**ნაცისტ ოფიცერთა შორის, რომლებიც საიდუმლოდ და არცთუ საიდუმლოდ გადაბარგდნენ ახლო აღმოსავლეთში, იყო ადამიანი, რომელიც დაეხმარა მუფტის, ნაცისტური სამხედრო მომზადების გამოცდილების გამოყენებაში ჯიჰადის ინტერესების განსახორციელებლად. ეს ადამიანი იყო ოტო სკორცენი.**

1948 წლის ივლისი. დარმშტატის ციხე. გერმანია. აქ მაღალი თანამდებობის ნაცისტები ელოდებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის. გვიან ღამით აქ გამოჩნდება ორი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებიც ციხის ხელმძღვანელობას წარუდგნენ ციხიდან ერთ-ერთი პატიმრის გათავისუფლების დოკუმენტებს.



**პატიმარი ელიტური ნაცისტების დივერსიულ ჯგუფ „ვერვოლფის“ წევრი იყო. ჯარისკაცებს გაჰყავთ იგი ციხის დაცვის საგუშაგოების გავლით და ღამის წყვდიადში გაუჩინარდებიან. გარკვეული დროის შემდეგ „გასაიდუმლებული პატიმარი“ იგი ფრანკისტულ ესპანეთში გამოჩნდება. ეს ადამიანი იყო ოტო სკორცენი, ჰიტლერის საყვარელი დივერსანტი. იგი ევროპაში ყველაზე საშიშ ადამიანად ითვლებოდა.**

ციხიდან მისი გაპარება ისრაელის ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის ცუდად შემობრუნდა. იგი ეგვიპტეში ჩააღწევს და იქ ლტოლვილი ნაცისტებისაგან და არაბი ანტისემიტებისგან შექმნის ისეთ მძლავრ მუხტს, რომელიც ჩვენს დღეებამდე მოაღწევს.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

*ტელეფილმის საგაზეთო ვარიანტი მოამზადა*
**არმაზ სანებლიძე**



საზოგადოება

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლიბერალიზმი ისევ შენარჩუნებული აქვს ევროპასა და ამერიკას, მაგრამ რეალურად, ეროვნული ძალები უკვე დაუფარავად მიანიშნებენ, რომ ლგბტ თემი ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი საფრთხის მქონეა. ისინი აგრესიულები არიან, ისინი არ ინდობენ არავის და არაფერს, ვინც მათ გზად ელობება, ცდილობენ, გახდნენ უმრავლესობა და ყველას თავს ახვევენ საკუთარ ორიენტაციას.**

# 17 მაისი — საჯილდაო ქვა

## ლგბტ თემი და არასამთავრობო ორგანიზაციები ძალადობაზე გადავიდნენ

**17-მა მაისმა საქართველოში ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც უმრავლესობას სურდა. ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავად ათიათასობით ადამიანმა მსვლელობა მოაწყო და ბოლოს სამებაში ილოცა. ლგბტ თემის წარმომადგენლებმა და მათმა დამცველმა არასამთავრობოებმა რამდენიმე დღით ადრე განაცხადეს, რომ არანაირ აქტივობას არ გამოიჩენდნენ, რადგან აგრესიის ეშინოდათ. მათ ზუსტად იციან, რომ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს ლგბტ თემის პროპაგანდა და არ სურს ამ ადამიანებისთვის თავზე ხელის გადასმა. ამის მიუხედავად, არასამთავრობო სექტორის უდიდესი ნაწილი ბოლო ხმაზე გაჰკივის, რომ ჩვენ თურმე ველურები ვართ და განვითარებული ევროპისა და ამერიკის წინაშე თავს ვირცხვენთ. არადა, ამერიკის პრეზიდენტმა მკაფიოდ და გარკვევით განაცხადა: არ მესმის, რატომ უნდა მომწონდეს კაცი, როცა ირგვლივ ამდენი ლამაზი ქალია?! ტრამპის ეს განცხადება საქართველოში ჰომოფობიად არავის შეურაცხავს, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ, იგივე რომ ეთქვა რიგით ქართველს, რა მოხდებოდა?! ძვლებიანად შეჭამდნენ, აგრესიულად მოექცეოდნენ, შესაძლოა, მისი ქვეყნიდან გაძევებაც კი მოეთხოვათ.**



ამას წინათ გამართულ ერთ-ერთ ტრენინგზე, რომელზეც საქართველოს მოქალაქეებს ევროპასა და ამერიკაში წასვლისა და დარჩენის გზებზე ესაუბრებოდნენ, სხვადასხვა ლეგალურ საშუალებაზე ლაპარაკის შემდეგ ღიმილით თქვეს, რომ ერთ-ერთი ნაცადი მეთოდი უცხოეთში დასარჩენად და დასამკვიდრებლად ლგბტ თემის წევრობის აღიარებააო. ანუ, ჩადიხართ ევროპაში, შემდეგ მოითხოვთ თავშესაფარს, მაგრამ არა იმიტომ, რომ სამსახურს ვერ შოულობთ ან გიჭირთ, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ლგბტ თემის წარმომადგენელი ხართ და საქართველოში გდევნიან. შემდეგ მარტივად წარადგენთ ამის დამადასტურებელ ინფორმაციას, წარადგენთ ცნობებს 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე, რომ თქვენ და თქვენს მეგობრებს არ გაძლევენ საკუთარი გრძნობების გამოხატვის უფლებას და თავშესაფარიც გარანტირებული გაქვთ.

გამოდის, რომ ის, რაც 17 მაისის წინ საქართველოში ხდებოდა, არასამთავრობოებსაც აძლევთ ხელს და ლგბტ თემის წარმომადგენლებსაც. ახლავე აგიხსნით რატომ: არასამთავრობოები ყველა ინფორმაციას ინახავენ, აარქივებენ და იმ ორგანიზაციებს უგზავნიან, რომლებიც მათ გრანტებით აფინანსებენ. აღნიშნული სიტუაციის დამძიმების ფონზე გრანტების ოდენობა და სიხშირე გეომეტრიული პროგრესიით იმატებს და არასამთავრობოებიც უფრო შემართული არიან. ლგბტ თემის წარმომადგენლებს გარანტირებული აქვთ თავშესაფარი და პრინციპით „ხელი ხელს ბანს“ ორივე მხარე ამ თანამშრომლობით კმაყოფილია. ეს არის მედლის ერთი მხარე...

საქართველოს ეკონომიურად შეჭირვებული მოქალაქე ჩადის ევროპაში, მას არ აძლევენ არც სამსახურს, არც თავშესაფარს და უკან აბრუნებენ. შედეგად, ბილეთის ფულიც ვალად ედება და საქართველოში იმაზე გაჭირვებული და გაუბედურებული ბრუნდება, ვიდრე წასვლამდე იყო. ამ დროს კი მან იცის, რომ შველა ლგბტ თემის წევრობის აღიარებაშია და... იძულებულია, თქვას, რომ გეია ან ლესბოსელი (ქალის შემთხვევაში), ან ბისექსუალი, ან... ან...

ეს არის მედლის მეორე მხარე და, რაც მთავარია, ყველაზე უარესი, რაც შეიძლება ჩვენს თავს მოხდეს. ანუ, აქედან წასული მოქალაქეები, ისინი, ვინც ოჯახის სიწმინდის დღეს აღნიშნავს, ისინი, ვინც ლგბტ თემს არ აღიარებს, იძულებულნი არიან, სიცოცხლისთვის, შვილებისა და მშობლების გამოსაკვებად აღიარონ ისეთი რამ, რასაც მანამდე ფიქრადაც არ გაივლებდნენ. **ვისი დამსახურებაა ეს? პირველ რიგში, ხელისუფლების, იმიტომ, რომ სწორედ ხელისუფლებამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, ქვეყნიდან წასვლის სურვილი არავის გაუჩნდეს; მერე უკვე — ჩვენი, საზოგადოების, რომელიც უფრო მკაფიოდ და უფრო აგრესიულად არ ითხოვს სწორედ ამ პირობების შექმნას, შემდეგ მოდიან ის არასამთავრობოები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სტომაქზე ზრუნავენ და არ აინტერესებთ, რა გზითა და როგორ ივლის ქვეყანა, გაირყვნება თუ არა ერი, მთავარია, კონკრეტულ დროს კონკრეტულ ანგარიშზე მორიგი გრანტი ჩაირიცხოს და ასე გრძელდება წლიდან წლამდე.**

ჰოდა, აგერ, ბატონო, გამოსავალიც — მთელმა ერმა უნდა ვაღიაროთ, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები ვართ და ვინ იცის, მერე იმაზე ადრე გაგვიღონ ევროკავშირის კარი, ვიდრე დაგეგმილია. კიდევ ვიმეორებთ: **ლიბერალიზმი ისევ შენარჩუნებული აქვთ ევროპასა და ამერიკას, მაგრამ რეალურად, ეროვნული ძალები უკვე დაუფარავად მიანიშნებენ, რომ ლგბტ თემი ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი საფრთხის მქონეა. ისინი აგრესიულები არიან, ისინი არ ინდობენ არავის და არაფერს, ვინც მათ გზად ელობება, ცდილობენ, გახდნენ უმრავლესობა და ყველას თავს ახვევენ საკუთარ ორიენტაციას.** რაც მთავარია, ლგბტ თემის წევრთა გამრავლება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოგრაფიას და ადგილობრივების ადგილს, ძირითადად, აფრიკიდან და ინდოეთიდან ჩამოსული ადამიანები იკავებენ. მართალია, ფერადკანიანების მიმართ აგრესია მსოფლიოში პრაქტიკულად არსად აღარ არის, მაგრამ საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში ხშირად მოისმენთ, რომ ქვეყანა გაშავდა და გაშავდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ლგბტ თემის წარმომადგენლებს საჭიროზე მეტი თავისუფლება მისცეს, პრივილეგიები დაუწესეს. ეს ისე თვალსაჩინო გახდა, რომ ერის დიდმა ნაწილმა სწორედ ამ გზით აირჩია თავის გატანა. პრაქტიკულად ყველა ევროპული ქვეყანა დგას ამ პრობლემის წინაშე და ახლა ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ტალღის გადმოსროლა ჩვენკენ და ჩვენი დარი ქვეყნებისკენ სურთ.

ლგბტ თემის მიმართ შიში შეიმჩნევა პოლიტიკოსებშიც. ერთი პოლიტიკოსიც ვერ მოიძებნა ხელისუფლებაში, რომელიც 17 მაისზე იტყოდა, რომ ეს არის ოჯახის სიწმინდის დღე, რომ არ არის აუცილებელი, ქუჩაში ლგბტ თემის წარმომადგენლები გამოვიდნენ და მომავალ თაობას გარყვნილებისკენ მოუწოდონ, სწორედ გარყვნილებისკენ, რადგან ის, რის პროპაგანდასაც ეწევიან, გარყვნილებაა. **ჩვენ, რიგითი ადამიანები ხომ არ გამოვდივართ ქუჩაში და ხომ არ ვყვირით, რომ გვინდა სექსის თავისუფლება, რომ გვინდა, არავინ შეგვიშალოს ხელი? ესეც გარყვნილება იქნებოდა. ხოლო ის, რომ ბავშვს უნდა აუხსნა, რატომ კოცნის ქუჩაში კაცი კაცს ან ქალი და ქალი ერთმანეთს, რატომ არიან გადახვეულ-გადაფსკვნილები, ცალკე პრობლემაა.** 17 მაისს პატრიარქმა გარკვევით თქვა, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცი კავშირი და მორჩა, ამის იქით არაფერია, ამის იქით გარყვნილება იწყება. ამის მიუხედავად, პოლიტიკოსები დუმან, არ სჭირდებათ ახლა ეკლესია და პატრიარქი, იმიტომ, რომ არასამთავრობოების შეტევის ეშინიათ და დუმილს ამჯობინებენ, იმ იარაღს, რომელსაც ხშირად იყუენებენ საკუთარი უნიათობის გადასაფარავად. არადა, 17 მაისს ყველა პოლიტიკოსი ნახავდა, რამდენი ხალხი გამოვიდა ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავად, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ მცირე არასამთავრობოებისა თუ ლგბტ თემის უკან ევროპა დგას, ხალხის მასის უკან კი — არავინ.

**17 მაისს პატრიარქმა გარკვევით თქვა, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცი კავშირი და მორჩა, ამის იქით არაფერია, ამის იქით გარყვნილება იწყება. და ამის მიუხედავად, პოლიტიკოსები დუმან, არ სჭირდებათ ახლა ეკლესია და პატრიარქი, იმიტომ, რომ არასამთავრობოების შეტევის ეშინიათ და დუმილს ამჯობინებენ, იმ იარაღს, რომელსაც ხშირად იყენებენ თავიანთი უნიათობის გადასაფარავად. არადა, 17 მაისს ყველა პოლიტიკოსი ნახავდა, რამდენი ხალხი გამოვიდა ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავად, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ მცირე არასამთავრობოებისა თუ ლგბტ თემის უკან ევროპა დგას, ხალხის მასის უკან კი — არავინ**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე, როდემდე იქნება 17 მაისი საჯილდაო ქვა, მაგრამ ფაქტია, რომ ლგბტ თემი და არასამთავრობო ორგანიზაციები ძალადობაზე არიან გადასული. ცხვირში გვტენიან იმას, რაც არ გვინდა და ზურგს ევროპით იმაგრებენ. **იმ ევროპით, რომელიც თვითონ ცდლობს თავის დაღწევას ამ სიტუაციიდან და არაფერი გამოსდის. აღარ გამოსდის იმიტომ, რომ ხელისუფლების უმაღლესი პირები გახდნენ ლგბტ თემის წარმომადგენლები და წინსვლა და პრივილეგიები სწორედ ამ სტატუსის გამო მიიღეს.** ჰოდა, ახლა ჩვენ გვასწავლიან, როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ უნდა ვიაროთ წინ და როგორ ამოვეფაროთ ლგბტ თემის სახელს. მერე რა, რომ არატრადიციული ორიენტაციის გამჟღავნების შემდეგ თავშესაფარს ისეთი ადამიანების გვერდით მოგცემენ, რომლებიც არ იტყუებიან და მართლა ლგბტ თემის წარმომადგენლები არიან?! იქ კიდევ თავის შეკავება გმართებთ: არ უნდა გაგიკვირდეთ, კაცმა კაცს კომპლიმენტი რომ უთხრას, იმიტომ, რომ თქვენც მათიანი ხდებით. მართალია, მხოლოდ ქაღალდზე და არა — ოფიციალურად, მაგრამ ვინ იცის, შემდეგ ამ ყველაფრის გაოფიციალურებაც მოგთხოვონ...

ორი კვირაც არ არის გასული, რაც ერთ-ერთი რეგიონული ტელევიზიის ჟურნალისტი სამსახურიდან იმიტომ გაუშვეს, რომ ლგბტ თემის კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელთა მისამართით სიტყვა „პედარასტი“ გამოიყენა. მას მაშინვე წაესივნენ არასამთავრობოები, ლგბტ თემის დამცველები და ლამის ჯვარზე გააკრეს. ჰომოფობი, კაცთმოძულე, არაადამიანი — ეს არის ის მცირე ჩამონათვალი ეპითეტებისა, რომლებითაც ის გოგონა მოიხსენიეს და მანაც ბოლომდე „გაჭედა“: ასე ვფიქრობ და სხვაგვარად არ ძალმიძსო. ახლა არასამთავრობო სექტორი ჩასაფრებულია, არ გაბედოს ვინმემ და ეს გოგონა სამსახურში მიიღოს, რადგან ის თურმე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. ასე არიან ისინი ჩასაფრებულები სრულიად ერზე და იმ გრანტების სანაცვლოდ, რომლებსაც ყოველწლიურად ელიან, სიამოვნებით დაგვგლეჯენ.

**ბესო ბარბაქაძე**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეოლიბერალური ზნეობა



## კიდევ ერთხელ ამერიკაში

**აშშ-ის მიჩიგანის შტატში მცხოვრებმა 18 წლის ყმაწვილმა მეგობარი გოგონას ძაღლი გააუპატიურა. ეს მოხდა 19 აპრილს, აუწყებს თავის მკითხველს ჟურნალი Newsweek.**

იმ საბედისწერო დღეს **დამიან ბარტონი** თავის ერთ-ერთ მეგობარ გოგონას სტუმრობდა. ყმაწვილი შინ რომ წავიდა, გოგონა დაინტერესდა ვიდეოდაკვირვების კამერების ჩანაწერებით და ნანახმა გააოგნა: ყმაწვილი აუპატიურებდა ბულტერიერისა და ლაბრადორის ნაჯვარ ძაღლს.

გოგონა დაუყოვნებლივ დაუკავშირდა პოლიციას. დამიან ბარტონი დააკავეს. მართლწესრიგის დამცველები ამჟამად დაჰკითხავენ მას და მისი ოჯახის წევრებსაც. გარყვნილ ახალგაზრდას ადანაშაულებენ ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობაში. შტატის კანონმდებლობის თანახმად, ზოოფილი გისოსებს მიღმა 15 წლის ვადით შეიძლება აღმოჩნდეს. ნიშანდობლივია, რომ ის, რაც მოხდა, სრულიად მოულოდნელი იყო ბარტონის ნათესავებისთვის, რომლებიც მას მხოლოდ დადებითად ახასიათებენ და დასძენენ, რომ მსგავსი უცნაურობა მისთვის არასოდეს შეუმჩნევიათ.

გაზეთ The Sun-ის მტკიცებით, ასეთი ზოოფილობა ბოლო ხანს ერთადერთი შემთხვევა არ არის. აპრილის დასაწყისში ფლორიდაში ამხილეს 28 წლის გარყვნილი ახალგაზრდა, რომელიც სისტემატურად სიამტკბილობდა ძაღლებთან. ეს ფაქტი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ამ მახინჯს რესტორანში დარჩა თავისი ტელეფონი, რომელშიც ჩაწერილი იყო ეს გარყვნილება. თებერვლის თვეში კი ოჰაიოს შტატში მცხოვრებმა 27 წლის კაცმა იხმარა თავისი ძაღლი და სასტიკად სცემა 55 წლის ცოლი, რომელმაც „ღალატზე“ წაუსწრო, — იუწყება „ექსპრეს გაზეტა“.



## აშშ-ის არმიაში სექსუალური დანაშაული რეკორდულად გაიზარდა

**სტატისიკის თანახმად, ქალიშვილებზე თავდასხმის რაოდენობამ სადღეისოდ წინა წლების მონაცემებს გადააჭარბა.**

2018 წლის განმავლობაში 6000-ზე მეტი სექსუალური დანაშაული აღირიცხა, რომელიც 38 პროცენტით აჭარბებს ერთი წლის წინანდელ მაჩვენებელს და 2004 წლის შემდეგ შეგროვებული სტატისტიკურ მონაცებებზე გაცილებით მეტია. ეს მონაცემები გაავრცელა აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ.

ძირითადად თავს ესხმიან 17-დან 20 წლამდე ქალიშვილებს. პენტაგონის მონაცემებით, ამგვარ ავხორცობას ყოველი მერვე ქალიშვილი ეწირება.

**„გულახდილად ვაცხადებ, რომ არ შევესაბამებით იმ სტანდარტებს, რომლებიც ჩვენვე დავისახეთ. ეს მიუღებელია“,** — დაადასტურა პენტაგონის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა პატრიკ შანაჰარმა.

## «ვოგის» ფოტოგრაფი რუსი მოდელის გაუპატიურებისთვის გასკვანჩეს



**ეს კაცი მსოფლიოში ცნობილი ფოტოგრაფი იგორ ვასილიადისია, — იუწყება ტელეარხი РЕН ТВ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ახალგაზრდა მოდელი აცხადებს, რომ ფოტოხელოვანმა შეურაცხყო იგი თავის აპარტამენტებში, მოსკოვის ცენტრში.**

მანეკენმა ლამაზმანმა სამართალდამცველებს აცნობა, რომ წინა დღით ვასილიადისთან ერთად ივახშმა მოსკოვის ერთ-ერთ მოდურ რესტორანში. ფოტოგრაფმა შესთავაზა, განეგრძოთ დროსტარება თავის სახლში. ქალიშვილი დათანხმდა, მაგრამ ფოტოხელოვანის სტუმართმოყვარეობა გაუპატიურებით დაგვირგვინდა. მოდელი ამტკიცებს, რომ ბერძენმა ძალით დაითანხმა ინტიმურ ურთიერთობაზე.

იგორ ვასილიადისი ცხელ კვალზე დააკავეს. მიმდინარეობს გამოძიება. მასმედია აღნიშნავს, რომ ათენში დაბადებული კაცი თანამშრომლობს ცნობილ პრიალაყდიან ჟურნალებთან, კერძოდ, Vogue-ის, Elle-ის, Marie Claire-ის, L’Official-ის რედაქციებთან. ამასთან ერთად, მან სახელი გაითქვა არტპროექტებით, რომლებსაც კორეელ კინორეჟისორ **კიმ კი-დუკთან** ერთად განახორციელებს.

## ოთხი წლის ბიჭის გაუპატიურება ვიდეოზე აღბეჭდა

**ეს მოხდა აშშ-ში: ტენესის შტატში 24 წლის შავკანიანმა თამარა მარიონმა, რომელიც 90 კილოგრამს იწონის, მხეცურად გააუპატიურა ოთხი წლის ბიჭუნა, ყველაფერი ვიდეოზე ჩაწერა და ინტერნეტით გაავრცელა. ამის თაობაზე იუწყება „მეტრო“.**



კამერით გადაღებულია მინიმუმ ორი სექსუალური აქტი.

ერთ-ერთ ჩანაწერში მოძალადეს ბიჭუნა მიწაზე ჰყავს დაგდებული, ჩახდის შარვალს და აუპატიურებს პატარას. ვიდეოჩანაწერი მარიონმა ორშაბათს, 22 აპრილს, ინტერნეტით გაავრცელა, რომლითაც მყისიერად დაინტერესდა პოლიცია: მეორე დღესვე დაადგინეს ჩანაწერის ავტორის ვინაობა.

თამარა მარიონს ბრალად წაუყენეს გაუპატიურება და არასრულწლოვანის სექსუალური ექსპლუატაცია. ქალის მოტივები უცნობია. ზოგიერთს ეჭვი ეპარება მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაში, მაგრამ ეს ვარაუდი ჯერჯერობით დაუდასტურებელია. აკავშირებს თუ არა ამ ამძუვნებულ დედაკაცს რაიმე ნათესაური ურთიერთობა ბიჭუნასთან, არ იუწყებიან. დამნაშავე საგამოძიებო იზოლატორშია მოთავსებული. უეჭველია, რომ მას მიუსჯიან პატიმრობას ხანგრძლივი ვადით. გამოძიება გრძელდება.

## ესპანეთის აეროპორტები გაპედარასტდა

**ამიერიდან ესპანეთის აეროპორტებში მგზავრები მოისმენენ მხოლოდ ნეიტრალურ მიმართვებს: ტრადიციული „ბატონებო და ქალბატონებო“, როგორც ორიენტაციააღრეულთა მგრძნობიარე სულების შეურაცხმყოფელი ფორმა, წარსულს ჩაბარდა.**



ესპანეთის საჰაერო ტრანსპორტისა და აეროპორტების სამმართველო Aena იუწყება, რომ „ტოლერანტული“ დამოკიდებულების ეს ფორმა წლის ბოლოსთვის ქვეყნის ყველა აეროპორტში დაინერგება.

გენდერულ (სქესობრივ)-ნეიტრალური მიმართვები სხვა ევროპულ ქვეყნებში, კარგა ხანია, დანერგილია. მაგალითად, 2017 წელს ამსტერდამში გამოსცეს სახელმწიფო მოხელეებისა და საზოგადო მოღვაწეებისთვის სახელმძღვანელო — გენდერულ-ნეიტრალური ლექსიკის ცნობარი, რომლის შემდგენლები ტრადიციული „ბატონებო და ქალბატონებოს“ ნაცვლად გვთავაზობენ, გამოვიყენოთ მიმართვა „ძვირფასო ამსტერდამელებო!“.

აქაოდა, არ ვაწყენინოთო აქტიურ და პასიურ პედარასტებს, ტრანსგენდერებს, ლესბოსელებს და... „კიდევ ვინ მოდიხართ მანდ მომავლიდან“.

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაჟა-ფშაველამ ილიას „ჩვენი დიდი ეროვნული გმირი" უწოდა, იაკობ გოგებაშვილმა კი იწინასწარმეტყველა: „იქნებ მომავალში მსოფლიოს არც ერთ ერს არ დასჭირდეს თავისი დიდი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს".**

# ტიციან ტაბიძე: ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**



მკითხველს ვთავაზობთ ტიციან ტაბიძის ესეს „ილია ჭავჭავაძე", რომელშიც ამ უდავოდ დიდი მამულიშვილის დამსახურება მშობელი ერის წინაშე სათანადოდაა შეფასებული.

ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისთვის საქართველოს სჭირდება ერთიანი სააზროვნო ცნობიერების გათანამედროვება და ახალ სინამდვილესთან ადაპტაცია, ილიასთვის სრულიად უდავო იყო. ის თვლიდა, რომ საქართველოს სჭირდებოდა ფეოდალური იდენტობის შეცვლა ახალი, თანამედროვე, იმ დროისთვის თანადროული ქართული ნაციონალური იდენტობით, რომელიც თანადროულია დღესაც — XXI საუკუნეში.

ილია მნიშვნელოვან წერილს წერს — „ზოგიერთი რამ" და მას რამდენიმე წლის განმავლობაში ამუშავებს. სწორედ ამ პუბლიცისტურ წერილში ის ნათლად და გამოკვეთილად მიუთითებს ერთ პრობლემაზე, რომ: „...ის შემკრებლობითი დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენი გონებიდან ამოშრა. და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით — თუ არაფერს აკეთებს — თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა".

თუ რამდენად დაკარგული ჰქონდა უკვე ქართველს ეროვნულ-პატრიოტული გრძნობა და მხოლოდ ხორციელი არსებობა მიაჩნდა სიცოცხლის მიზნად, თერგდალეულებს რომ არ შეენჯღრიათ თავით-ფეხებამდე მიძინებულ-მიმკვდარუნებული ერი, მოვუსმინოთ თვით ილიას:

„დრო მე-40 და 50 წელთა იყო, დრო ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიძინებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამგვარის მიმძინარებულის ხასიათისა გახლდათ.... მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ, – მაგის გარდა კიდევაო? – კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. – რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? – ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო".

ახლა თავად განსაჯოს მკითხველმა – განა სწორი არ იყო ილიას დიდი თანამებრძოლი აკაკი, როცა ასე გაპირუტყვებულს, ეროვნულგრძნობადაკარგულს, მონობას შეგუებულს და მარტო მუცელზე მაფიქრალ საქართველოს „ფურთხის ღირსი" რომ უწოდა?!

ვაჟა-ფშაველამ ილიას „ჩვენი დიდი ეროვნული გმირი" უწოდა, იაკობ გოგებაშვილმა კი იწინასწარმეტყველა: „იქნებ მომავალში მსოფლიოს არც ერთ ერს არ დასჭირდეს თავისი დიდი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერსო".

ისევ მოვუსმინოთ ილიას, რას ამბობს იმ დროის დაცემულ საქართველოზე:

„აქ არვის – დიდსა თუ პატარასა, –
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთივ მოუცია მარტო მამული".

ეს აზრი მან პოემა „აჩრდილში" გამოხატა, რომელშიც ის სამშობლოს მიმართ ქართველთა გულცივობას აგვიწერს:

„რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ –
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე – პატიოსნებას
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას".

ილიას აზრით, ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ხალხმა რწმენა დაკარგა, რწმენა მამულის აღდგენისა და გაძლიერების:

„და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ, ვით ტაძარი გაუქმებული".

ასეთია ჩვენი დღევანდელი დღეც.

ილიას აზრით, ერი რომ ასე დაეცემა ზნეობრივად და გონებრივად, იგი დასაღუპავადაა განწირული, ამიტომ მოგვიწოდებს, არ დავივიწყოთ აჩრდილადქცეული ჩვენი ისტორიის „დიდებული ოქროვანი ხანა". მართალია, ის აღარ ვართ, რაც ვიყავით; და ღმერთმა დაგვიფაროს, რაც ვართ, იმად დავრჩეთ, მაგრამ „ღმერთი გვიხსნის და გვიშველის, თუ შვილთ მაინც გზად და ხიდად გავედებითო" („დიმიტრი თავდადებული").

ეგებ ჩვენი საუკუნის თაობებმა შეძლონ ილიას ამ ანდერძის ასრულება.

## ილია ჭავჭავაძე

### (ესე)



მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ჰყავდა ორი პროვიდენციალი პიროვნება: ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ქართული პრობლემა შეიძლება ამ ორი პიროვნების შესწავლით აიხსნას. მაჩაბელზე ჩვენ ვიტოვებთ უფლებას მოკლე დროში დავწეროთ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის 15 წლის თავზე კი გვინდა, აღვნიშნოთ დეკლარაციით ის თეზისები, რომელნიც შემდეგში გაიხსნება მაჩაბელის მონოგრაფიაში. გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შეჰქმნა და თავის სისხლით კიდეც დაჰკირა.

ჩვენ შეიძლება ამ საუკუნის შესწავლის დროს ბევრი დეფექტებიც აღმოვაჩინოთ, მაგრამ ერთი კი მაინც უცილობელია — **ამ დიდი ეპოპეის მთავარი მბრძანებელი იყო ილია ჭავჭავაძე.**

ილია ჭავჭავაძემ თავის დევის ხელით სრულიად გადატეხა ეს სტილი და ჩვენ გვაქვს უკვე ანალოგია ევროპული მწერლობის მასშტაბით.

მართალია, ჯერ არ არის შესწავლილი, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით და თანამედროვეთა მოწმობით, სამი მეოთხედი იმ სიტყვებისა, რომელსაც დღეს ხმარობს ქართული ჟურნალისტიკა, ილიას მოგონილია. შემდეგი თაობა ამას არ უკვირდება, როგორც ის არ უკვირდება იმას, ვინ მოიგონა ან შეჰქმნა პირველად ენა.

ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე იდგა, როგორც გიგანტი. ყოველი მოზღვავებული ტალღა, უცხო თუ შინაური, იმას დაეტაკებოდა და ილიაც მოიგერიებდა.

ილია ჭავჭავაძის ყოველი გამოსვლა ამ შემთხვევაში აყენებდა იმ სანახაობას, როგორც არტილერიის სიმფონია ომების დროს. და ეს ტანკი (როგორ აგავს ილია ტანკს ფიგურითაც) სტკეპნიდა ქართულ მწერლობას; ამის ნაკვალევს დევის ნაფეხური ჰქვია.

ამიტომ იყო, რომ **ილიას ყველა ანგარიშს უწევდა, და შეუძლებელიც იქნებოდა მისი ბუნებრივი და შეურყეველი მეთაურობა თითქმის 40 წელი, რომ მას ასეთი მაგარი ხერხემალი არ ჰქონოდა.**

ილია ყველგან ცდიდა თავის თავს: ის იყო პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მეცნიერი, რეჟისორი, ფინანსისტი, ორატორი, ისტორიკოსი და კიდევ რამდენი სხვა, და ამიტომ არის, რომ ჩვენ დღესაც არ ვიცით, რომელ ამ დარგში ვეძიოთ მისი ნამდვილი სახე.

მაგრამ ერთი რამ ცხადია, და ეს მადლიერი თემაა ახალი გამოკვლევისათვის: **მეცხრამეტე საუკუნეში ქართული პროზა შექმნა ილია ჭავჭავაძემ და დღემდის მისი პროზა არ არის დაძლეული.** ჩვენ აქ არ შევუდგებით ანალიზს მისი სტილისას, რომელიც მას აყენებს ყველაზე მაღლა, განსაკუთრებით საცოდავი არიან პროზაში ისინი, ვინც ილიას ეხვივნენ გარს, ეს შეიძლება ითქვას მისი კრიტიკული პროზის შესახებაც.

უნდა აგრეთვე ხსენება იმასაც, რომ ილიას ლექსი, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამორჩებოდა აკაკის ლექსს და მხოლოდ თანამედროვეთა უკულტურობას უნდა მიეწეროს ის, რომ ილიას აყენებდნენ აკაკიზე დაბლა.

ჩვენში რომ გაჩნდნენ დადაისტები, ისინიც ვერ უარყოფენ ილია ჭავჭავაძის დიდ ფიგურას. ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული.

ამიტომ გასაგებია ის კალამბური, რომელიც წამოცდა ვალერიან გუნიას, რომელსაც, როცა შეეკითხა ერთი ფრანგი, ჰყავს თუ არა დიდი კაცი საქართველოსო, უპასუხა ასეთი ფრანგულით: Ilia un Ilia.

ილიას სიკვდილმა გულის ძარღვამდის შეარყია საქართველო, და ყველა უბრალო ხალხიც ამბობდა, აქ არის დასაწყისი ახალი ეროვნული შეგნებისო, ამის ფაქტებს ჩვენ ყოველდღე ვხედავთ.

ილიას პოეზიიდან მარტო წიწამური რომ დარჩენილიყო, მაინც სამუდამოდ აატირებდა საქართველოს და სამუდამოდაც დარჩებოდა თემა პოეზიისათვის.

**ტიციან ტაბიძე**
**1922 წ.**

**«ჩვენი დაკვირვებით და თანამედროვეთა მოწმობით, სამი მეოთხედი იმ სიტყვებისა, რომელსაც დღეს ხმარობს ქართული ჟურნალისტიკა, ილიას მოგონილია. შემდეგი თაობა ამას არ უკვირდება, როგორც ის არ უკვირდება იმას, ვინ მოიგონა ან შეჰქმნა პირველად ენა»**



„ჭკუა-გონება და ბუნებითი ნიჭი ღმერთს ჩვენთვისაც არა ნაკლები მოუცია, ვიდრე ევროპიელებისთვის, განათლებით კი მათ ვერ მივწვდებით, მაგრამ სოფლის მუშა ხალხი, საზოგადოდ რომა ვსთქვათ, იქაც ამ მხრით გვარიანად ჩამოქვეითებულია...“

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ უნდა გავრცელდეს ჩვენში წესიერი მეფუტკრეობა

ამ სათაურით 1888 წელს ქართულ ყოველკვირეულ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ „მეურნეში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ამ დარგის განვითარების გზებსა და ევროპული გამოცდილების გათვალისწინებაზეა საუბარი — „როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ ევროპიელებს მეფუტკრეობის გავრცელებაში მაინც დავემსგავსოთო“: „მოვკიდოთ ხელი მეფუტკრეობას, შევისწავლოთ წიგნებიდან და თითონ ფუტკრის ცხოვრების დაკვირვებით ეს მეტისმეტად გამრთობი და სასარგებლო საქმე. როგორ მოვკიდოთ ხელი?.. ვინ და როგორ უნდა გაისარჯოს ამ საქმისათვის?“



დღეს ევროკავშირში თაფლით ვაჭრობის ძირითადი ჰაბები არიან გერმანია და საფრანგეთი. გერმანია თაფლის უდიდესი იმპორტიორი, ექსპორტიორი, მწარმოებელი და მომხმარებელი ქვეყანაა, თუმცა ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია საბაზრო მოთხოვნის მხოლოდ 20%-ს აკმაყოფილებს. საფრანგეთი ძირითადად მოიხმარს ადგილობრივი წარმოების თაფლს და დიდი რაოდენობის თაფლის რე-ექსპორტს ახდენს. მნიშვნელოვანი მომხმარებლები არიან ასევე დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და ბელგია; იმპორტის მზარდ ტენდენციებს ავლენენ უნგრეთი, ხორვატია და ბულგარეთი. უკანასკნელ წლებში კი ევროკავშირის ბაზარზე მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყანა გახდა უკრაინა, რაც რუსეთთან არსებულ კონფლიქტს უკავშირდება და სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობას ევროკავშირთან (უკრაინა უფლებამოსილია, წელიწადში 5.000 ტონა თაფლი შეიტანოს ევროკავშირის ტერიტორიაზე საბაჟო მოსაკრებლის გადახდის გარეშე).

მეფუტკრეობა საქართველოში დღესაც საკმაოდ პერსპექტიული დარგია, მაგრამ, საქსტატის ცნობით, საქართველოდან ექსპორტზე გატანის მხრივ, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი კლებაა: 2015 წელს 73,1 ათასი დოლარის ღირებულების თაფლი გავიდა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 21, 2 ათასი დოლარი იყო, 2017 წელს კი მხოლოდ 15, 8 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ თაფლი ევროპის ბაზარზე გავიდეს?

რა თქმა უნდა, მისი ხარისხიც და რაოდენობაც მისაღები უნდა იყოს ევროკავშირის ბაზრისთვის და კონკურენცია უნდა გაუწიოს ბაზარზე სხვა ქვეყნებიდან შეტანილ თაფლს. ევროკავშირის მიერ დადგენილი სურსათის ჰიგიენისა და უვნებლობის რეგულაციები სხვა რეგიონებში არსებულთან შედარებით უფრო მკაცრია. ევროპელი მყიდველები ხშირად თავად აყენებენ მკაცრ მოთხოვნებს პროდუქციის მიმართ. სამრეწველო დანიშნულების ორგანული თაფლი ბაზრის საინტერესო ნიშას იკავებს. ასეთ თაფლზე მოთხოვნა იზრდება, თუმცა ევროპაში მხოლოდ რამდენიმე ადგილია, სადაც შესაძლებელია ორგანული მეფუტკრეობის მეურნეობის მოწყობა. ორგანული თაფლის წარმოებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სკებიდან 3 კმ რადიუსში ქიმიური დაბინძურების რისკის არარსებობა, რაც საკმაოდ რთული პირობაა.

დღეს არსებულ მდგომარეობაზე, მეფუტკრეობის განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებზე ბევრი საინტერესო ინფორმაციის მოძიება შეიძლება ინტერნეტსივრცეში, სადაც ქართველი მეფუტკრეები ლაპარაკობენ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა გასაღების ბაზარი, ინვესტიციების მოძიების სირთულეები, პროდუქტის ფალსიფიკაცია და ექსპორტზე გატანის დამაბრკოლებელი გარემოებები; ასევე, ცოდნის დეფიციტი (მაგალითად, მეფუტკრეების დიდმა ნაწილმა არ იცის, როდის შეიძლება ანტიბიოტიკების მიცემა ფუტკრისთვის და როდის არის კატეგორიულად დაუშვებელი) და თაფლის შესამოწმებელი სრულყოფილი ლაბორატორიის არარსებობა. ზოგ მათგანს ამ დარგში არსებული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად კოოპერატივებში გაერთიანება მიაჩნია (ისევე, როგორც XIX საუკუნის პუბლიკაციაში, „აი სწორედ აქ არის საჭირო „ამხანაგობაო“, რათა „ნასწავლ მეფუტკრეთა, რომ უსწავლელთა თვალწინ გაიმართოს სამაგალითო საფუტკრეები, რომ მათ თვალ-და-თვალ დაინახონ, როგორ უნდა ფუტკარს მოვლა-მოშენება, რა-და-რა იარაღები არსებობს მეტისა და უმჯობესი თაფლის მისაღებად. რა გვარი სკა უფრო გამოსადეგია ფუტკრისთვისაც და მისი მომვლელისთვისაც და სხვა-და-სხვა. ვინ და რა ღონისძიებანი უნდა ვიხმაროთ ასეთ საფუტკრეთა დასაარსებლადო“). ზოგი კი თვლის, რომ ქართული თაფლი ვროპის ბაზარზე რამდენიმე წელი მაინც ვერ მოხვდება, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში თაფლის საშუალო ფასი 15-30 ლარია. ევროპაში კი თაფლის დიდი ნაწილი ჩინეთიდან შედის, სადაც ის ძალიან იაფია, მაგრამ ხარისხიან ქართულ თაფლს მაინც ვერ შეედრება. მართალია, საქართველო თაფლის ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა და ეს კრიტერიუმი ნებისმიერი ბაზრისთვის ძალიან საინტერესოა, მაგრამ რაკი საქართველოში თაფლი ადგილობრივ ბაზარზეც საკმაოდ ძვირია, მისი საექსპორტო ფასი ევროპაში ნაკლებად კონკურენტუნარიანი იქნება.

ყველაზე დიდი პრობლემა კი მაინც არის ის, რომ მეფუტკრეები დღეს არ არიან მზად, აწარმოონ იმ ხარისხის თაფლი, რომელიც ევროპისთვის მისაღები იქნება — ქართველი მეფუტკრეები ევროპაში არსებულ რეგულაციებს ვერ აკმაყოფილებენ.

**«ჩვენებურ საზოგადო საქმეში ჩვენი იმედი და ნუგეში ჩვენი მეთაურ-წინამძღოლია, ჩვენ თვითონ მასზედ ვართ დამოკიდებული; იქ კი საზოგადო საქმეს თითონ საზოგადოება ჰმართავს და მეთაურიც მისგან აღრჩეულს გზას ადგია...»**

„...ძლიერ სასურველია, მართლა ვგვანდეთ ევროპიელებს არა მარტო მეფუტკრეობით, არამედ ყოველ-გვარი საზოგადო და კერძო საქმეების გაძღოლა-გავრცელებაში, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ნათქვამი: „თავს ზევით ძალა არ არის“, — რაც არა ვართ, იმად ერთბაშად ქცევა შეუძლებელია, კიდეც რომ გულითა გვსურდეს. განა არა, ჩვენც ადამიანები ვართ, **ჭკუა-გონება და ბუნებითი ნიჭი ღმერთს ჩვენთვისაც არა ნაკლები მოუცია ვიდრე ევროპიელებისთვის, განათლებით კი მათ ვერ მივწვდებით, მაგრამ სოფლის მუშა ხალხი, საზოგადოდ რომა ვსთქვათ, იქაც ამ მხრით გვარიანად ჩამოქვეითებულია...** თავი და თავი მათნი უპირატესობა ჩვენზედ მდგომარეობს იმაში, რომ ისინი დიდით პატარამდის, ნასწავლთან უსწავლნიც, ასე ვთქვათ, გაწვრთნილ-გაწაფულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრება-მოღვაწეობაში. ეს უპირატესობა მათთვის მათს პოლიტიკურს ცხოვრებას, მათს ისტორიას უანდერძებია. **ერთხელვე თავისი თავის გაძღოლას მიჩვეული ევროპიელი თვითონვე იღწვის თავის ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ჩვენსავით არ შეჰყურებს სხვას: აცა რას მიწყალობებს და საით გამიძღვებაო.**

ჩვენებურ საზოგადო საქმეში ჩვენი იმედი და ნუგეში ჩვენი მეთაურ-წინამძღოლია, ჩვენ თვითონ მასზედ ვართ დამოკიდებული; იქ კი საზოგადო საქმეს თითონ საზოგადოება ჰმართავს და მეთაურიც მისგან აღრჩეულს გზას ადგია...

ავიღოთ მაგალითად ჩვენებური კერძო „საზოგადოებანი“, „ამხანაგობანი“. აღირჩევენ თუ არა მათნი წევრნი გამგეობა-მმართველობას, თითონ განზედ გადგებიან და, თითქოს სეირს უყურებენო, შეაცქერდებიან აღრჩეულებს, აბა რა სასწაულთ-მოქმედებას მოახდენენო; თითონ-კი თითსაც აღარ სძრავენ „საზოგადოების“ სასარგებლოდ. წლიურ კრებასაც-კი არ ესწრებიან!.. ასეთს გულ-გრილობას იჩენენ გაუნათლებლებზედ არა-ნაკლებ, თუ არ მეტადაც, თითონ ნასწავლ-განათლებულებიცა.

ამას შემდეგ როგორღა უნდა იხეირონ ჩვენში სხვა-და-სხვა „ამხანაგობათა“? კერძოდ მეფუტკრეობაზედ რომ ვსთქვათ, როგორ უნდა შევადგინოთ „ამხანაგობა“ მეფუტკრეთა? ან ვინ არიან ჩვენებური მეფუტკრეები, რომ მათ მივმართოთ და ერთმა მეორეს მხარი მივსცეთ?

ჯერჯერობით ჩვენებური მეფუტკრეები არიან უსწავლელი სოფლის გლეხები, რომელთაც ევროპიულ ამხანაგობისა, საზოგადოდ მეურნეობაში და კერძოდ მეფუტკრეობაში, არა გაეგებათ-რა. მეფუტკრეობაში ნამეტნავად ყოველი ხერხი და ცოდნა ფუტკრის მოვლისა ხალხს რაღაც საიდუმლოებად მიაჩნია; იმასაც კი საიდუმლოდ ინახავს, რომ მას ფუტკარი ჰყავს, რომ ის ხეირობს და მას სარგებლობას აძლევს. ეშინიან სინამდვილის გაცხადებისა, რომ ხარბმა თვალმა და არამმა გულმა მოშურნე მეზობლისამ არ „გაუთვალოს“ და არ „გაუღალოს“ მისი საყვარელი ფუტკარი.

აი სწორედ აქ არის საჭირო „ამხანაგობა“ ნასწავლ მეფუტკრეთა, რომ უსწავლელთა თვალ-წინ გაიმართოს სამაგალითო საფუტკრეები, რომ მათ თვალ-და-თვალ დაინახონ, როგორ უნდა ფუტკარს მოვლა-მოშენება, რა-და-რა იარაღები არსებობს მეტისა და უმჯობესი თაფლის მისაღებად. რა გვარი სკა უფრო გამოსადეგია ფუტკრისთვისაც და მისი მომვლელისთვისაც და სხვა-და-სხვა. ვინ და რა ღონისძიებანი უნდა ვიხმაროთ ასეთ საფუტკრეთა დასაარსებლად? ამ კითხვის პასუხად გვახსენდება რუსულ გაზეთებში ამ ერთის თვის წინად მოყვანილი ამბავი, რომ ვარშავაში ათასს კაცს ხუთ-ხუთი თუმანი, სულ ორმოცდა-ათი ათასი (50,000) მანათი გამოულია იმ მიზნით, რომ ეს ფული დაატრიალონ მეფუტკრეობაში, რომ თითონაც თავის ფულის სარგებელი იღონ და გონივრული მეფუტკრეობაც გაავრცელონ.

ღმერთმა ჩვენც მოგვასწროს ჩვენს ქვეყანაში ისეთს ღონიერს „ამხანაგობას“, რომელსაც დაეარსებინოს ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში წერა-კითხვის შკოლები და მათთან სამაგალითო საფუტკრეები, რომელთაც (საფუტკრეებს) შესძლებოდეს ყოველწლიურ შემოსავლით თითონ შკოლების ხარჯის გაძღოლაცა. ეს მეტისმეტი ნატვრა, შესაძლებელია, ამ ცოტას ხანში რამოდენადმე მაინც შეგვისრულდეს, თუ-კი მანამდის ცოტას მაინც გავირჯებით მეფუტკრეობისათვის. აქ ისევ უნდა ვიკითხოთ; ვინ და როგორ უნდა გაისარჯოს ამ საქმისათვის?..

მართალია, სოფლის მასწავლებელს უიმისოდაც ბევრი საქმე და დავიდარაბა აწევს კისერზედ, მაგრამ **არა მგონია, რომ სოფლის მასწავლებელს გამოუჩნდეს სხვა „გარეშე“ საქმე ამაზედ უფრო საჭირო ხალხისთვის, სასარგებლო თვითონ მასწავლებლისთვის და შესაფერი მოსწავლეთათვის. პირველი ის, რომ სკოლის საფუტკრის დაარსებას და საზოგადოდ ფუტკრის მოშენებას თავ-და-პირველად დიდი თანხა არ ეჭირვება, — საკმარისია სასწავლო მთავრობამ სკოლას ოცი-ოც-და-ათი მანეთი შესწიროს, რომ ოთხი-ხუთი წლის შემდეგ შკოლას ოცი-ოც-დაათი ძირი სკა ჰყვანდეს; მეორეც, თუ კი მასწავლებელი ფუტკრის მოშენებას ხალისიანად მოჰკიდებს ხელს, მისს თხელ ქისას ცოტაოდენი შემოსავლის წყარო გაუჩნდება ამით; მესამეც, უკანასკნელი მიმართულება სასოფლო სკოლების ბედიღბლის გასაუმჯობესებლად პირდაპირ ხელს უწყობს ამ მოსაზრებას, რადგან ახალის მიმართულებით სოფლის სკოლას უფრო პრაქტიკული მიმართულება უნდა მიეცეს, და მეფუტკრეობა ხომ ერთი არა უკანასკნელი წყაროთაგანია, ხალხის ნივთიერად გამაღონიერებელი.**

სასურველია მხოლოდ, რომ სოფლის მასწავლებელმა იცოდეს ფუტკრის მოვლა-მოშენება. ამისთვის ურიგო არ იქნება, რომ საოლქო მზრუნველობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მომავალ სოფლის მასწავლებელს, თვით სემინარიებში, შეისწავლონ ეს სასარგებლო ნაწილი მეურნეობისა... მანამდის-კი, დღევანდელს სოფლის მასწავლებლებს, არ გვარგია, რომ ჩვენდამი რწმუნებულ სკოლებს არ მივსცეთ ცოტაოდნად მაინც პრაქტიკული ხასიათი. მოვკიდოთ ხელი მეფუტკრეობას, შევისწავლოთ წიგნებიდან და თითონ ფუტკრის ცხოვრების დაკვირვებით ეს მეტისმეტად გამრთობი და სასარგებლო საქმე. როგორ მოვკიდოთ ხელი? ან გამოიღებს, თუ არა ნაყოფს ჩვენი ცდა?..“

**„მეურნე“, 1888წ., №44.**

**P.S. „ეს მეტისმეტად გამრთობი და სასარგებლო საქმე“, „ხალხის ნივთიერად გამაღონიერებელი“, დღევანდელ სოფლის სკოლებში თუ მოიკიდებს ფეხს, ურიგო კი არა, მართლაც სასარგებლო იქნება, რადგან ისევ ამ წერილის ავტორს დავესესხები, „არა მგონია, რომ სოფლის მასწავლებელს გამოუჩნდეს სხვა „გარეშე“ საქმე ამაზედ უფრო საჭირო ხალხისთვის, სასარგებლო თვითონ მასწავლებლისთვის და შესაფერი მოსწავლეთათვის“.**

## ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შემოდგომაზე, ოქტომბერში, დაიწყო თბილისში თბილისობის დღესასწაულის გამართვა, რომელშიც მონაწილეობდა ჩემი საყვარელი წალენჯიხა, საქართველოს ულამაზესი კუთხე, ბაჯაღლოში ჩასმული ზურმუხტთვალი. წელიწადის ეს დრო განსაკუთრებით ზღაპრული სურნელების აღმძვრელია ბუნებაში და მას ემატებოდა მეგრული კულინარიული სურნელება. რიყეზე აღმართული მეგრული ოდის დიასახლისი გახლდით და ვინ მოთვლის, რამდენ საპატიო სტუმარს გავმასპინძლებივარ.**

### გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» სარედაქციო კოლეგიას

**ვცხოვრობ წალენჯიხაში, ვარ პედაგოგი, პენსიონერი. ჩემი ცხოვრების კრედოა მშვიდობა და უღრუბლო ზეცა, საამაყო წარსული დავუტოვოთ ჩვენს მოზარდებს და გამარჯვება ვუსურვოთ.**

ჩემი ოჯახისთვის სურსათის შემდეგ მაპურებელია პრესა, განსაკუთრებით თქვენი გაზეთი, რომლის წყალობით ბევრ საინტერესო ამბავს ვიგებ.

ეს გაზეთი არის ქართველი ერის ცხოვრების მეკვლე და მეგზური, გზის მანათობელი ჩირაღდანი, რომლითაც სამყარო ცისკროვნდება.

ჩვენთვის და სრულიად საქართველოსთვის, ქართველი ერისთვის დიდი მწუხარების მომგვრელი იყო უნიჭიერესი, გონიერი, ყველასთვის საყვარელი რედაქტორის, ირაკლი თოდუას, გარდაცვალება. იმ დღეებში თითქმის ყველა დამწუხრებული იცრემლებოდა, რითაც პატივსა და სიყვარულს მიაგებდა ბატონ ირაკლის. მაქვს პატივი, მოგმართოთ სამადლობელი ბარათით.

ულევი სიხარული და სითბო თქვენს უძლიერეს სარედაქციო კოლეგიას წალენჯიხელთა სახელით.

მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ შეიძლება ეს მოგონება საჭირო იყოს.

# «არავინ და არაფერია დავიწყებული»



**წარსულის გახსენება ლამაზი, მშვენიერი რამ არის. არიან ადამიანები, რომლებსაც სიცოცხლეშივე ხელთუქმნელი ძეგლი უნდა დავუდგათ. ასეთი ადამიანი გახლავთ ლეგენდარული პიროვნება ალექსანდრე ნადირაძე, რომლის სახელი ენციკლოპედიაში უდიდესი მეცნიერის ტიტულითაა შესული. მე მაქვს მცირედი მოსაგონარი ამ სახელოვან ადამიანთან ურთიერთობისა და ამ პატარა ისტორიას ფოტოსთან ერთად გიგზავნით.**

შემოდგომაზე, ოქტომბერში, დაიწყო თბილისში თბილისობის დღესასწაულის გამართვა, რომელშიც მონაწილეობდა ჩემი საყვარელი წალენჯიხა — საქართველოს ულამაზესი კუთხე, ბაჯაღლოში ჩასმული ზურმუხტთვალი. წელიწადის ეს დრო განსაკუთრებით ზღაპრული სურნელების აღმძვრელია ბუნებაში და მას ემატებოდა მეგრული კულინარიული სურნელება. რიყეზე აღმართული მეგრული ოდის დიასახლისი გახლდით და ვინ მოთვლის, რამდენ საპატიო სტუმარს გავმასპინძლებივარ. სხვადასხვა წელს ჩვენი ოდის სტუმრები იყვნენ ბატონები: **ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, გივი გუმბარიძე, პავლე გილაშვილი, ნინა ქვანია** და უცხოელთა დელეგაციის უამრავი წარმომადგენელი.

ერთხელაც ჩვენს ეზოში ედუარდ შევარდნაძე შემოვიდა თანმხლები პირებით. გავბედე და ვთხოვე, ჩვენთან მოსულიყო. მან შემომხედა, მადლობა გადამიხადა და მითხრა: მაოცებს მეგრელი დიასახლისის გაბედული სტუმართმოყვარეობაო. ცოტა გავთამამდი და მეც შევეპასუხე: — ბატონო ედუარდ, სამეგრელოს ოჯახში შემოსული სტუმარი, შუაგულ ეზოში შეჩერებული, მეგრელი დიასახლისის დიდი შეურაცხყოფაა-მეთქი. ეტყობა, დიდი თხოვნით ამომივიდა ბაგეებიდან ეს სიტყვები და შემობრძანდა. ასე მივიწვიე სტუმრები ჩემს მეგრულ ქოხში, რომლის შუაგულში გიზგიზებდა ცეცხლი და მეგრული სურნელება იფრქვეოდა, ყველა დიდ კმაყოფილებას გამოხატავდა. თურმე სტუმართა შორის იყო ადამიანი-ლეგენდა — საპატიო პიროვნება, დიდი მეცნიერი ალექსანდრე ნადირაძე. ეს შევიტყვე გაცილებისას, როცა მან ჩემთან ფოტოს გადაღება ისურვა. მასთან გაღებული ფოტო დღემდე შემომრჩა. რამდენიმე ხნის წინათ თქვენს გაზეთში, რომლის აქტური მკითხველია ჩემი ოჯახი, წავიკითხე **ქრისტინე ტოგონიძის** სტატია მასზე და ვიფიქრე თქვენთვის ამ ფოტოსა და მოსაგონარი წერილის გამოგზავნა, რადგან დღემდე მეამაყება, ასეთ გამოჩენილ პიროვნებას რომ ვმასპინძლობდი.

ბატონ ალექსანდრე ნადირაძეს ძალიან მოეწონა მეგრული სამზარეულოს კერძები. მისი სურნელება, შებოლილი, დაწნული ყველი და ყველა სანელებელი, რომლებითაც მზადდებოდა ჩვენი კერძები, დაწყებული ჩვენებური ამოლესილი კოტოს ლობიოთი (ასე აუხსნეს), დამთავრებული ხაჭაპურითა და საცივით.

მაქვს დიდ ფოტო, რომელიც ჩემი ოჯახის რელიკვიაა და საჭიროების შემთხვევაში შემიძლია გადავცე ნებისმიერ მუზეუმს.

**ინეზა გოგინავა,**
*წალენჯიხა*

## უცხოეთის ამბები

# გერმანიას აიძულებენ, დაიწყოს «შებრუნება» აღმოსავლეთისკენ



**დონალდ ტრამპის აგრესიული საგარეო პოლიტიკა და მისი ლოზუნგი „ამერიკა უწინარეს ყოვლისა!“ სულ უფრო აშორებს აშშ-ს მის ტრადიციულ მოკავშირეებს. ან თეთრი სახლის მკვიდრს აერია ვასალური დამოკიდებულება მოკავშირულში, ან ევროპელებს აღარ სურთ, აღიქვან ვაშინგტონი, ვითარცა მათი სიუზერენი. სულ უფრო აშკარაა განხეთქილება აშშ-სა და ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოს — გერმანიას შორის.**

პრეზიდენტ **ტრამპის** მოქმედება მუდმივად ძაბავს ევროპელებს. მაგალითად, თეთრი სახლის მეთაურმა გააძლიერა ანტირუსული სანქციების რეჟიმი და იმავეს მოითხოვს ევროკავშირისგან, რაც მის (ევროკავშირის) ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. დონალდ ტრამპი გამოვიდა კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმებიდან, რომელიც, მისი აზრით, ამუხრუჭებდა ამერიკის ეკონომიკის განვითარებას. მანვე დააწესა გაზრდილი საბაჟო გადასახადები ალუმინსა და ფოლადზე, რაც საზარალოა ევროპის, განსაკუთრებით კი, გერმანული კომპანიებისთვის.

შეერთებული შტატების პრეზიდენტი კანცლერ **ანგელა მერკელისგან** მოითხოვს, უარი თქვას გაზგამტარზე „ჩრდილოეთი ნაკადი-2“, რომელიც რუსეთთან ერთად გაჰყავს. ტრამპი ამით ლობირებს ბუნებრივი აირის ამერიკელ მომპოვებლებსა და მეწარმეებს, რითაც ამცირებს გერმანელების კონკურენტუნარიანობას. გერმანია კი დაინტერესებულია „ცისფერი საწვავის“ მიწოდების გაზრდაში, რადგან თავისი მრეწველობა სრულად გადაჰყავს ბუნებრივ აირზე და უარს ამბობს ქვანახშირისა და ატომურ ელექტროენერგეტიკაზე. დონალდ ტრამპი ევროპელი მოკავშირეებისგან მოითხოვს, გაზარდონ თავიანთი შენატანები ნატოს მომსახურებისთვის, რითაც ამერიკელი იარაღის მწარმოებლების ინტერესებს იცავს.

მაგრამ ბოლო წვეთი, რომელმაც ევროპელების მოთმინების ფიალა აავსო, არის ირანთან დაკავშირებული სიტუაცია. ისლამური რესპუბლიკა ევროპას სჭირდება, როგორც გასაღების ბაზარი და ნახშირწყალბადების მიღების წყარო. ტრამპი კი ცალმხრივად გამოვიდა „ბირთვული გარიგებიდან“ და დააწესა ახალი სანქციები თეირანის წინააღმდეგ; ამასთან ერთად, მეორადი სანქციებით დაემუქრა ყველას, ვინც ირანთან საქმეს დაიჭერს. ეს ყველაფერი კი ევროკავშირისადმი ტრამპის მოკავშირულ ურთიერთობას არ ჰგავს.

მეტიც, ისრაელის კარნახით აშშ-მა ისლამური რესპუბლიკის ნაპირებისკენ დაძრა ავიამზიდების დამკვრელი ჯგუფი, რომლებიც აღჭურვილია ბირთვული იარაღის მქონე ბომბდამშენებით. პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ მზად არის, საჭიროების შემთხვევაში გააძლიეროს ეს შემტევი გაერთიანება. ეს, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ირანის მზადყოფნასთან — გაარღვიოს ამერიკული ბლოკადა და პირდაპირ გავიდეს ხმელთაშუა ზღვაში, ამასთანავე, ხელთ იგდოს ბაზა სირიის ლატაკიაში. ამისთვის თეირანს სჭირდება კავშირი ბაღდადსა და დამასკოსთან. ეს შესანიშნავად ესმით ვაშინგტონში და ბევრისთვის მოულოდნელად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **მაიკ პომპეო** ჩადის ერაყის დედაქალაქში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა გაიაროს რკინიგზამ ირანიდან სირიამდე. პომპეომ განაცხადა, რომ თეირანი მზარდი საშიშროების სახით მოევლინა რეგიონს და მოკავშირეებს „სიმტკიცისკენ“ მოუწოდა.

ეს ყველაფერი ბერლინში არ მოეწონათ. მით უფრო, რომ პომპეომ გერმანიის კანცლერთან შეხვედრას ბაღდადში ვიზიტი ამჯობინა. გამოცემა Suddeutsche zeitung-მა ფრიად მჭევრმეტყველურად და გულახდილად შეაფასა „ამერიკელი მოკავშირეების“ ქმედება:

**„დიპლომატიის სივრცეში არსებობს ხეპრეობა. ასეთია, მაგალითად, მნიშვნელოვან საერთაშორისო შეხვედრებში, რომლებშიც საგარეო საქმეთა მინისტრები მონაწილეობენ, უარის თქმა ან ხანგრძლივი მოლაპარაკება პარტნიორებთან პირველი ვიზიტის დროს. და ეს არის თავხედობა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა უარი თქვა ბერლინში ჩასვლაზე გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრამდე და თავის კოლეგა ჰაიკო მაასთან საუბრის გამართვამდე მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე“.**

იმას, რაც ხდება, რა თქმა უნდა, ვერ მიაწერ მხოლოდ ტრამპის ხეპრეობას და თავხედობას. მიმდინარეობს მსოფლიო მოწყობის ძირფესვიანი რღვევა და აშკარავდება გლობალიზაციის პროექტის ნაადრევად დასრულების ტენდენცია. აშშ მხოლოდ სათავისოდ ირჯება. იმავე გერმანიაში უკვე მიხვდნენ, რომ მათი გუშინდელი მოკავშირე და მფარველი უშუალო კონკურენტი გახდა. საჭიროა ახალი ალიანსები და უჩვეულო კონფიგურაციები.

ისე ჩანს, რომ ბერლინში უკვე იწყებენ „აღმოსავლეთისკენ შებრუნებას“. საქმე ეხება რუსეთსა და ჩინეთთან თანამშრომლობას. სანქციების მიუხედავად, რუსეთსა და გერმანიას შორის საქონელბრუნვა ბოლო წლებში გაიზარდა, რუსეთში ამოქმედდება გერმანული ავტომობილების ამწყობი ქარხნები.

„ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის კვალზე, არსებული პრობლემების მიუხედავად, უკვე ლაპარაკობენ მომდევნო ანალოგიურ პროექტებზე. ბერლინში სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ჩინეთის ინვესტიციებით, რომლებიც ჩაენაცვლება შეწყვეტილ ამერიკულ ინვესტიციებს.

**ვლადიმერ ვოლკონსკი**

**ორი სიძე ქართველი, ორიც — სომეხი. სტუმრად რომ მოდიოდნენ ჩემთან, ახალგაზრდა რომ ვიყავი, სუფრა სავსე მქონდა, ბასთურმა, სუჯუხი, ტოლმა, საცივი...**
**— არ თქვა, რომ საცივი სომხურია.**
**— ზატო ტოლმა! — ნირი არ გაიტეხა და ტოლმაზე დამპატიჟა...**
**ხაჩიკიანივით!**

თბილისელები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„— Валик-джан, зачем тебе большая авиация? Поедем ко мне домой, мама долму готовит. Ты любишь долма?**
**— Нет.**
**— Потому, что у вас не умеют готовить долма. А настоящий долма — уф!**
**— Рубик дорогой, только теперь не скажи, что у нас и сациви не умеют готовить“.**

***„Мимино“***



# «მანთაშოვი რომ იყო ხელებგაშლილი, წავიდა, არაფერი წაუღია»



რაზმიკ ბურნუჩიანი შემთხვევით გავიცანი — მეზობელს ავეჯის გადაზიდვაში ეხმარებოდა ეს ხანშიშესული, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიანი კაცი.

რამდენი წლისა ბრძანდებიმეთქი, — ვკითხე, — ამ სკამებსა და მაგიდებს რომ ეჭიდები?

— სამოცდათორმეტის. მალე სამოცდაცამეტის გავხდები, — უცებვე მიაყოლა, — სემდესიატ ტრი!

— წლებს იმატებ?

— შევდივარ, რა!

ავუხსენი, რომ თბილისელ სომეხზე ვაპირებ წერილის დაწერას გაზეთში.

— ჩემი ბიოგრაფია წასულია, — იუარა რაზმიკ ბურნუჩიანმა, — რაც მამაჩემი იცოდა, ისიც დავიწყებულია. ჩემი — არ ღირს.

— თბილისელი ხომ ხარ, კაცო! — შევაგდე ნამუსზე.

— მაშ! თბილისელი! ქართველი, ებრაელი, ქურთი ჩვენ უბანში ერთი დიდი ოჯახივით ვცხოვრობდით. ძმობა და სიყვარული იყო... (დაფიქრდა) ახლაც არი... ძველი თბილისური გაგებით ყველა ერთმანეთში სიყვარულით ვიყავით — აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, ქურთი...

ცუდია?!

ახლა? ერთმანეთს რომ ჭამენ...

ჩემმა ბიჭობამ ხარფუხში გაიარა. მტკვარზეც მიბანავნია და თევზიც დამიჭერნია.

— თევზის დაჭერას უშლიდნენ?

— უშლიდნენ, მაგრამ მაინც ხომ გვინდა ჭამა. სეტკითაც ვიჭერდით და ისეც...

— კომუნისტების დროს სად მუშაობდი, რაზმიკ-ჯან, ბატონო?

— მე კომუნისტების დროს მადლობელი ვარ რაზე: მამაჩემი რომ გარდამეცვალა, ჰოო, რვა კლასიდან ბიძაჩემთან ვმუშაობდი — პიონერთა სასახლეში, რუსთაველზე რომ არი. ხატვა მეხერხებოდა, მანდა ვხატამდი. მეორე სართულზე. სკოლაში არ დავდიოდი.

— რომელ სკოლაში?

— გასპარიანის სკოლაში. აი, ეხლა რომ დაანგრიეს მერიის უკან. პერვი ჟენსკი იყო.

— პერვი ჟენსკი, ქალთა პირველი სკოლა, ჩიტაძეზე იყო.

— ჩემი დები მანდა სწავლობდნენ. ეგ არ ვიცი?!

ვერ შევთანხმდით...

— პეტროსიანი ჩვენთან სწავლობდა. შახმატისტი.

— **ტიგრან პეტროსიანი** — მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში.

— ჰოდა, სახლში მომაკითხეს, რატომ არ სწავლობო, — დაუბრუნდა მთავარ თემას რაზმიკ, — ასე კისრიდან დამიჭირეს და მატაციკლეტში ჩამსვეს.

— მალიარად ვმუშაობ, — ვეუბნები, — ვხატამ. წინათ ხომ რემონტების დროს ხატავდნენ.

— სომეხი ოსტატები არემონტებდნენ ბინებს, კედლებს და ჭერს მოხატავდნენ, მოაჩუქურთმებდნენ ფერადად.

— თოიძეს ფეზეუ იყო მაშინ *(ფაბრიჩნო-ზავოდსკოე უჩილიშჩე)*, ეგრევე შემიყვანეს. დამამთავრებინეს. ცუდობა ხომ არ გამიკეთეს?!

ეხლა ამხელა ახალგაზრდები, ლაწირაკები ქუჩაში დგანან. ყურადღებას ვინ აქცევს?

— რომელ სპეციალობას დაეუფლე?

— Художник маляр-реставратор!

— გიმუშავია მაგ სპეციალობით?

— კანეშნა. ოპერა რომ დაიწვა, იქაც. იტალიელები რომ მუშაობდნენ, მაშინ. ფინანსთა სამინისტროშიც მიმუშავია.

— იქ რას აკეთებდი?

— მალიარის საქმეს. სუ მანდ ვიყავი, სუ მანდ ვმუშაობდი.

— პენსიაზე გასვლამდე?

— კანეშნა.

— ახლა რასა იქმ?

— აგერ ჩემი ბიჭია, ვართანა. საქმე გვაქვს. ჩემი ხელობა აქვს. მაგარი ხელოსანია. იაფად ვმუშაობთ. ისე არა, ზოგი რომ ამბობს: არ გინდა? წავედი... თანაც ნაცნობებთან. ვენაცვალე! კრანს რომ გახსნი, ცოტა რომ მოდის, ისე, პასტაიანათ. თორემ ზოგი იცის, გახსნის და უცებ გათავდება წყალი.

— მამაშენი რა ხელობის კაცი იყო?

— მეხორცე. ფიროსმანი რომ დგას, იქ იყო შეითან ბაზარი. იქ მუშაობდა.

— ერთი შვილი გყავს?

— პატარა ბიჭი დამეღუპა. უკვე 18 წელია. ეეე, ძველი ამბავია... — და ისევ ძველ თბილისზე გადადის — იოსებ გრიშაშვილი ჩვენი ნათესავი იყოო. ძველ თბილისში ფეზეუები იყოო.

— არ გინდა სკოლაში სწავლა — ხელობა ისწავლე, ტოკრობა *(ხარატობა)* ისწავლე. ჩემი ძმაკაცები, თოიძეში რო სწავლობდნენ, ახლა მოსკოვში არიან. ხეზე ჭრის ოსტატები. ქართულად. კაიროზე *(კაიროს სახელობის ქუჩაზე)* რომ იყო ფაბრიკა, იქა მუშაობდნენ. ეხლა არი ერთი უჩილიშჩა, რომ ასწავლონ ესეთი რამე? წინათ იყო, ხელით აკეთებდნენ. ქუთაისი რო მებელს უშვებდა, სად არის ის მებელი?

— კარგი მაგიდები იყო.

— მა რა...

— წავიდა ის ცხოვრება, რაზმიკ ბატონო...

— იცი რა? ამ ცხოვრებიდან არავის არაფერი მიაქვს. სიკეთე დათესე და წადი. **მანთაშოვი** რომ იყო, ხელებგაშლილი, წავიდა, არაფერი წაუღია. სიყვარული დარჩება, — ფილოსოფიურად ასკვნის, — ერთმანეთში მაინც სიყვარული იქნება. ჩვენი — კავკასიური. ღმერთი ზევით არი! კარგობას ერთმანეთთან წელიწადები უნდა, სიყვარული რომ დათესო. ერთ წუთში შეიძლება შეაგინო და გააფუჭო. მაგრამ იმ კაცთან კარგობა უნდა იპოვო *(ვისაც შეაგინებო)*.

ეხლა ახალგაზრდები არ იციან ცხოვრება. ომის ვეტერანებზე რაც გააკეთეს, ნახე?

— 9 მაისს, ვაკის პარკში?

— ხო. არ მომეწონა. იმათ, ვეტერანებმა, კარქობა გააკეთეს, რომ ეხლა ჩვენა ვცხოვრობთ, თორემ ის გიტლერი... არც ჩვენ ვიქნებოდით, არც ჩვენი შვილები და შვილიშვილები, არც ქართველი, არც სომეხი. თუ ვიქნებოდით, როგორც საქონელი. არც ეროვნება გვექნებოდა, არც ადამიანობა. ფაშიზმ!

აი, ეგეთი, ეხლა უკრაინა რომ აკეთებს. კარქი რამეს აკეთებს?!

მეზობელი, რაც გინდა ცუდი მეზობელი იყოს, კარის მეზობელია. უნდა ენა იპოვო. ტკბილი. ეგრე არ არი?! წიწაკა აქვს? შაქარი მიეცი!

ის შორს არის, ამერიკა. მაგის დედა ვატირე... იმასთანაც კარგათ ვიყოთ. მაგრამ ეს მაინც ჩემი მეზობელია *(რუსეთიო)*.

— ორი სიტყვა ოჯახზეც მითხარი.

— სამი შვილიშვილი მყავს. უფროსი 21 წლისაა. სპორტსმენია — ჯუდო.

— საიდან ჩამოსახლდნენ თქვენიანები თბილისში?

— დედაჩემი, სირანა ცხრა წლის ვიყავი რომ გარდამეცვალა, ვიცი, რომ სიგნახიდან იყო. მამაჩემი — ძველი სომხეთიდან იყო, თურქებმა რო გამოყარეს ცხრაას თხუთმეტში. აკოფ ერქვა...

— აკოფ დარდიმანდიანც, — ჩავრთე უადგილოდ.

— არა, კაცო, — ბურნუჩიან, — პაუზა. გაიღიმა, — შენ „ხანუმაზე“ ლაპარაკობ... მაგარი იყო ჩხიკვაძე. ეროსიც, მანჯგალაძე, — შეაფასა და განაგრძო:

— ორი სიძე ქართველები მყავდა. ჰალალად გეუბნები. ერთი ჯოხაძე შოთა ორჯონიკიძის ქარხანაში ტოკრად მუშაობდა. საქართველოს დეპუტატი იყო. ჯიგარი კაცი. შოთა სომხურად სუფთად იცოდა. ავლაბრელი იყო. თბილისიდან ერევანში დელეგაცია რომ მიდიოდა, შოთა ყოველთვის მიყავდა შევარდნაძეს — ვინმეს ცუდი რომ არ ეთქვა რამე. პერევოდჩიკად იყო, რა... *(იცინის)*.

ორი სიძე ქართველი, ორიც — სომეხი. სტუმრად რომ მოდიოდნენ ჩემთან, ახალგაზრდა რომ ვიყავი, სუფრა სავსე მქონდა, ბასთურმა, სუჯუხი, ტოლმა, საცივი...

— არ თქვა, რომ საცივი სომხურია.

— ზატო ტოლმა! — ნირი არ გაიტეხა და ტოლმაზე დამპატიჟა...

ხაჩიკიანივით!

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „— В этом гостинице я директор“.**

**ა.ს.**

**— არ გინდა სკოლაში სწავლა — ხელობა ისწავლე, ტოკრობა (ხარატობა) ისწავლე. ჩემი ძმაკაცები, თოიძეში რო სწავლობდნენ, ახლა მოსკოვში არიან. ხეზე ჭრის ოსტატები. ქართულად. კაიროზე (კაიროს სახელობის ქუჩაზე) რომ იყო ფაბრიკა, იქა მუშაობდნენ. ეხლა არი ერთი უჩილიშჩა, რომ ასწავლონ ესეთი რამე? წინათ იყო, ხელით აკეთებდნენ. ქუთაისი რო მებელს უშვებდა, სად არის ის მებელი?**

# ინსტიტუტების სარეიტინგო სიაში ეკლესია ლიდერობს

**ეროვნულ-დემოკრატიული (NDI) და CRRC-საქართველოს კვლევის ინსტიტუტების შეფასების ნაწილში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ლიდერობს. მის საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს გამოკითხულთა 20%, კარგად— 41%, ცუდად კი — 21%.**

მეორე ადგილზეა **იუსტიციის სახლები.** რესპონდენტთა 12% მათ საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს, კარგად — 47%, ცუდად კი — 27%.

**საქართველოს ჯარს** ძალიან კარგად აფასებს გამოკითხულთა 8%, კარგად — 47%, ცუდად კი — 26 %.

რაც შეეხება **პოლიციას,** გამოკითხულთა 6% მის საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს, 42% — კარგად, 34% — საშუალოდ, 2% — ცუდად.

**მთავარი პროკურატურის** საქმიანობას რესპონდენტთა 1% ძალიან კარგად აფასებს, 13% — კარგად, 33% — საშუალოდ, 21% — ცუდად.

რაც შეეხება **პარლამენტს,** გამოკითხულთა 1% მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის საქმიანობა ძალიან კარგია, 11% საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას კარგად აფასებს, 40% — საშუალოდ, 31% — ცუდად, 9% კი — ძალიან ცუდად.

**კვლევა ჩატარდა 28 მარტი-15 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევის შედეგების საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 2,3 %-ია.**



ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩინეთი სერიოზულად მუშაობს მდინარეების კალაპოტის შეცვლაზე თავის ჩრდილოეთ რაიონებში. ჯერჯერობით ლაპარაკია სამ საწყლოსნო არტერიაზე, რომელთა სიგრძე 1300 კმ-ია. მდინარეების შებრუნებით ჩინეთის ხელისუფლება ცდილობს, წყლით უზრუნველყოს ქვეყნის გვალვიანი რაიონები. გრანდიოზული პროექტის სარეალიზაციოდ არხების გაჭრა ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყეს. ინიციატივა შეეხება ქვეყნის 4 უდიდეს მდინარეს — იანძის, ხუანხეს, ხაიხესა და ხუაიხეს.**

# 7 გრანდიოზული მშენებლობა, რომლებიც დასრულების შემდეგ შეიძლება მსოფლიოს საოცრებებად აღიარონ

კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ადამიანები ყოველთვის აშენებდნენ სახლებს, საინჟინრო ნაგებობებს, მათგან რამდენიმე ნამდვილი საოცრებაა. მშენებლობა ხშირად განსაზღვრავდა ცივილიზაციის სახეს. ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად სამშენებლო პროექტები სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა და თანამედროვეობა ამ მხრივ გამონაკლისი არ არის.




## დუბაილენდი

ლაპარაკია მსოფლიოში ყველაზე დიდ გასართობ პარკზე, რომელიც აშენდება დუბაიში. პროექტისთვის გამოყოფილია 64 მლრდ დოლარი და 185 კვ კმ ფართობი. სპეციალისტების გაანგარიშებით, პარკი ყოველწლიურად მიიღებს 200 ათას დამთვალიერებელს. იქვე აშენდება მსოფლიოში ყველაზე დიდი სასტუმრო, რომელშიც, პროექტის მიხედვით, 6500 ნომერი იქნება. მშენებლობა 2025 წელს უნდა დასრულდეს.



## London Crossrail



ლონდონში საქალაქო და საგარეუბნო სარკინიგზო ხაზების მშენებლობა ბოლო წლების ყველაზე რთული ინფრასტრუქტურული პროექტია. 2020 წლამდე დაგეგმილია 42 კმ სიგრძის გვირაბის გაყვანა და 40 ახალი სადგურის აშენება. პროექტი London Crossrail-ი უდიდესი სამშენებლო ინიციატივაა ევროპაში. ამ ამბიციური პროექტის განხორციელება 23 მლრდ დოლარი დაჯდება.

## საერთაშორისო აეროპორტი ალ-მაქტუმი



ეს გრანდიოზული აეროპორტი დუბაიში 2018 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ის ყველაზე დიდია მსოფლიოში რამდენიმე პარამეტრის მიხედვით: გამტარუნარიანობა; ინფრასტრუქტურის სირთულე; საერთო ფართობი. მშენებლობის პირველი ფაზა დასრულდა 2010 წელს. პროექტი შეფასებული იყო 82 მლრდ დოლარად, ამჟამად აეროპორტში არის 5 ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და 4 კორპუსი, რომლებსაც შეუძლია ერთდროულად 200 თვითმფრინავისა და 400 ათასი ტონა ტვირთის მიღება. აეროპორტი ყოველწლიურად 160 მლნ მგზავრს მოემსახურება.



## სამეფო კოშკი ჯიდაში



მსოფლიოში უდიდესი ნაგებობა შენდება ქალაქ ჯიდიდან (საუდის არაბეთი) 32 კმ-ში. ცათამბჯენის სიმაღლე 1007 მ იქნება. თუ პროექტი წარმატებით დასრულდება, ეს იქნება კაცობრიობის ისტორიაში პირველი ნაგებობა, რომლის სიმაღლე გადააჭარბებს 1 კმ-ს. კოშკი 167-სართულიანი იქნება. პროექტის განხორციელება 20 მლრდ დოლარი დაჯდება.

## მდინარეების შებრუნება ჩრდილოეთისკენ ჩინეთში



ჩინეთი სერიოზულად მუშაობს თავის ჩრდილოეთ რაიონებში მდინარეების კალაპოტის შეცვლაზე. ჯერჯერობით ლაპარაკია სამ საწყლოსნო არტერიაზე, რომელთა სიგრძე 1300 კმ-ია. მდინარეების შებრუნებით ჩინეთის ხელისუფლება ცდილობს, წყლით უზრუნველყოს ქვეყნის გვალვიანი რაიონები. გრანდიოზული პროექტის სარეალიზაციოდ არხების გაჭრა ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყეს. ინიციატივა შეეხება ქვეყნის 4 უდიდეს მდინარეს — იანძის, ხუანხეს, ხაიხესა და ხუაიხეს. ამ პროექტის ღირებულება 78 მლრდ დოლარია.

## პეკინის საერთაშორისო აეროპორტი



კიდევ ერთი გრანდიოზული აეროპორტი, რომლის მშენებლობაც პეკინში 2025 წელს დასრულდება. მისი ღირებულება 13 მლრდ დოლარია. რთული მისახვედრი არ არის, რომ ეს კომპლექსი შევა დედამიწის ყველაზე დიდი აეროპორტების ხუთეულში.



## ინფრასტრუქტურული პროექტი ჰონკონგი-ჩჟუხაი-მაკაო

ჩინეთმა 17,1 მლრდ დოლარი ჩადო წყალქვეშა გვირაბების გასაყვანად თავისი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონში. სწორედ აქ არის განლაგებული ჩინეთის სამი უდიდესი მეგაპოლისი. ხიდები და გვირაბები გაყვანილია სრუტეში, რომელშიც საკმაოდ ინტენსიური საზღვაო მიმოსვლაა.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**კონცერნ „ფიატის“ ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს, ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილ მფლობელ ჯანი ანიელის (1921-2003) უყვარდა თავისი ფეხბურთელების შედარება აღორძინების ეპოქის მხატვრებთან, როდესაც ჭაბუკი ალექსანდრო დელ პიერო მხარდამხარ თამაშობდა უფროს მეგობარ რობერტო ბაჯოსთან, ანიელი ამბობდა: „თუ ბაჯო რაფაელია, მაშინ დელ პიერო არის პინტურიკიო“. იტალიურ ენაში პინტურიკიო „პატარა მხატვარს“ ნიშნავს, და ამ სახელით შევიდა ისტორიაში აღორძინების ეპოქის მხატვარი ბერნარდინო დი ბეტო.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლამპიონის ბოძი, პინტურიკიო, ელ პისტოლერო, რწყილი და სხვები

## პოპულარული ფეხბურთელების მეტსახელები

**სპორტსმენებისთვის მეტსახელების შერქმევის ტრადიცია კარგა ხნის წინათ დამკვიდრდა და სპორტის თითქმის ყველა სახეობა მოიცვა. აღსანიშნავია, რომ ცნობილ ფეხბურთელ კაკას გვარი ნამდვილი არ არის, ის მეტსახელია, რომელიც წარმოიშვა მისი სახელისგან — რიკარდო. კიდევ რას მოგვითხრობს სპორტსმენთა თიკუნები, საიდან და როგორ წარმოიშვა ისინი?**

### როგორ იქმნება სპორტსმენების მეტსახელები

ფეხბურთში მეტსახელების შერქმევა მოთამაშეებისთვის ძალიან გავრცელებულია. ცნობილ ინგლისელ ფეხბურთელ **დევიდ ბექჰემს** „სპაის ბოის“ ეძახიან. მან 2000-იანი წლების დასაწყისში იქორწინა პოპულარული ჯგუფის — „სპაის გერლზის“ წევრ **ვიქტორია ადამსზე,** მაგრამ ეს მეტსახელი დევიდ ბექჰემს ქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ შეარქვეს, როცა მან დიდი ყურადღება დაუთმო თავის გარეგნობას. მისი თანაგუნდელები ამბობდნენ, რომ „სპაის ბოი“ („ცეცხლოვანი წიწაკა“) თავის გარეგნობაზე მატჩის მსვლელობის დროსაც ზრუნავდა.

ცნობილია, რომ ლეგენდარულ **პელეს** (ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს) კარიერის დასაწყისში კარგი შედეგები არ ჰქონდა და სწორედ ამიტომ შეარქვეს მეტსახელი **ამცდენი**, სწორედ ამას ნიშნავს სიტყვა პელე ბრაზილიურად.

### იტალიელების პომპეზური მეტსახელები

მეტსახელი ხშირად ასახავს ადამიანის შინაგან სამყაროსა და ხასიათს. ცნობილ იტალიელ გოლკიპერს, ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილ კაპიტან **ჯანლუიჯი ბუფონს** ბეტმენი უწოდეს იმის გამო, რომ პრაქტიკულად ყველა ბურთს იგერიებდა. იტალიის ნაკრებისა და რომის „რომას“ ყოფილ ფეხბურთელს, რომელიც ამჟამად „ფიორენტინას“ წვრთნის, ვინჩენცო მონტელას აეროპლანი შეარქვეს, რადგან ბურთის გატანის შემდეგ ხელებგაშლილი გარბოდა.

კონცერნ „ფიატის“ ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს, ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილ მფლობელ **ჯანი ანიელის** (1921-2003) უყვარდა თავისი ფეხბურთელების შედარება აღორძინების ეპოქის მხატვრებთან. როდესაც ჭაბუკი **ალექსანდრო დელ პიერო** მხარდამხარ თამაშობდა უფროს მეგობარ **რობერტო ბაჯოსთან,** ანიელი ამბობდა: „თუ ბაჯო რაფაელია, მაშინ დელ პიერო არის პინტურიკიო“. იტალიურ ენაში პინტურიკიო „პატარა მხატვარს“ ნიშნავს, ამ სახელით შევიდა ისტორიაში აღორძინების ეპოქის მხატვარი **ბერნარდინო დი ბეტო.**

### ესპანეთში მოთამაშე ფეხბურთელების მეტსახელები

ესპანელი თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესი** განთქმულია თიკუნით „პატარა“. როგორც ჩანს, ეს მეტსახელი იმიტომ დაიმსახურა, რომ ნიჭი გვიან გამოავლინა. **ელ პისტოლერო** — ასე ეძახიან „ბარსელონას“ ურუგვაელ თავდამსხმელ ლუის სუარესს (ლუის ალბერტო სუარეს დიასი), ბომბარდირის უნარის გამო, იმავე „ბარსელონას“ არგენტინელ თავმდამსხმელს, მრავალი ბავშვის (არა მხოლოდ) კერპს, **ლიონელ მესის** კი la pulga (რწყილი) შეარქვეს მისი სიდაბლისა და განსაცვიფრებელი სიმკვირცხლის გამო, რადგან მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, პრაქტიკულად, უძლურია მას ბურთი წაართვას.



ელ პისტოლერო და ლა პულგა



პინტურიკიო

### ინგლისური იუმორი და ფეხბურთელების მეტსახელები

ინგლისელ ფეხბურთელს, „ჩელსის“ ყოფილ ნახევარმცველ **ფრენკ ლემპარდს** ლამპიონის ბოძს ეძახიან. ეს თიკუნი დაკავშირებული არ არის ლემპარდის, როგორც ფეხბურთელის, უნარებთან, მეტსახელი წარმოიშვა მისი გვარისგან. სპორტსმენის მეტსახელი ხშირად იქმნება მისი გარეგნობის გათვალისწინებით. მაგალითად, ინგლისის „არსენალში“ მოთამაშე თურქული წარმოშობის გერმანელ ფეხბურთელ **მესუთ ოზილს** ნემოს ეძახიან, რადგან თვალებით, გამოხედვით ძალიან ჰგავს მულტფილმის ამავე სახელწოდების პერსონაჟს.


ნემო



ლამპიონის ბოძი

### მხატვრული ფილმების პერსონაჟები და მეტსახელები

მულტფილმისა და მხატვრული ფილმის პერსონაჟის სახელს — ჰალკს ეძახიან ბრაზილიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს, ამჟამად ჩინურ კლუბ „შანხაის“ კაპიტან **ჟივანილდუ ვიეირა დე სოუზას.**

„ლივერპულის“ ყოფილ ფეხბურთელს, ირლანდიელ **ჯეისონ მაკეიტირს** ჩახმახს ეძახიან და ეს მეტსახელი სულაც არ არის განპირობებული მისი ბომბარდირული უნარებით. ჩახმახი — ეს არის პერსონაჟი ბრიტანული პოპულარული კომედიური სერიალისა „მხოლოდ სულელები და ცხენები“.

### ტრაქტორი და მკვლელი უმანკო სახით

მილანის „ინტერნაციონალეს“ არგენტინელ მცველსა და კაპიტანს — **ხავიერ ძანეტის** სიძლიერისა და ამტანობის გამო ტრაქტორი შეარქვეს.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ექსთავდამსხმელს, ამჟამად ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს, ნორვეგიელ **ულე გუნარ სულშერს** (ნორვ. — სოლკიაერს) მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანში დაუნდობელი ქმედებებისა და, ამასთანავე, ბავშვის უმანკო სახის გამო მკვლელი უმანკო სახით შეარქვეს.


ფიფქი

### ფიფქი და ადამიანი-გველი

„ბარსელონაში“ თამაშის პერიოდში ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელ **როლანდ კუმანს,** რომელსაც თითქმის თეთრი ფერის თმა აქვს, „ბარსელონაში“ თამაშის პერიოდში ფიფქი შეარქვეს. აღსანიშნავია, რომ ეს მეტსახელი კუმანს ერგო ბარსელონას ზოოპარკის ბინადარ ალბინოს გორილასთან მსგავსების გამო.

1970-იან წლებში ჰოლანდიის ნაკრების ვარსკვლავს **რობ რესენბრინკს** გულშემატკივრებმა ადამიანი-გველი შეარქვეს სიგამხდრის, მოქნილობისა და პლასტიკური დრიბლინგის გამო.



ჰალკი


დევიდ ბექჰემი და ვიქტორია ადამსი



სპაის ბოისი

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# «გახსოვდეთ, რომ ოჯახი ბედნიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კანონიერი ოჯახია, კანონიერი ოჯახი კი შედგება მამაკაცისა და დედაკაცისგან»



**„უფალი ბრძანებს: პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა. მივმართავ ყველას, რომელთაც ჰყავთ დედა და მამა, ერთ-ერთი მაინც. დაუჩოქეთ დღეს, დაიჩოქეთ იმათ წინაშე და სთხოვეთ ლოცვა-კურთხევა. დედისა და მამის ლოცვა-კურთხევა ქმნის სასწაულს, სასწაულს ნახავთ თქვენ ცხოვრებაში, ბედნიერი იქნებით. გახსოვდეთ, რომ ოჯახი ბედნიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კანონიერი ოჯახია, კანონიერი ოჯახი კი შედგება მამაკაცისა და დედაკაცისგან. ბედნიერი იყავით, ბედნიერი იყოს ყოველი ოჯახი საქართველოსი და მსოფლიოსი, ჩვენთან არს ღმერთი“,** — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# რუსეთი საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანაა



## რას ვყიდით ჩრდილოელ მეზობელთან

**საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა, ექსპორტის მიხედვით, ტრადიციულად რუსეთია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-აპრილში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 37, 3%-ით გაიზარდა და 177, 5 მლნ დოლარი შედგინა. გასული წლის ამავე პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 129.2 მლნ დოლარი იყო.**

მიმდინარე წლის 4 თვეში საქართველოდან რუსეთში გატანილი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი იყო **ფეროშენადნობები**, რომლის ექსპორტმაც 51,04 მლნ დოლარი შეადგინა; მას მოსდევს ყურძნის ნატურალური **ღვინოები** — 40,2 მლნ დოლარი; მე-3 ადგილზე კი 19.8 მლნ დოლარით **მინერალური** და **მტკნარი წყლებია**; მე-4 და მე-5 პოზიციებს იკავებს ცენტრიფუგები, სითხის ან აირის საფილტრავი აგრეგატები და დაფასოებული მედიკამენტები, შესაბამისად, 13,2 მლნ და 9.9 მლნ დოლარით.



# საქართველოს მოსახლეობის 39% ფიქრობს, რომ სსრკ-ის დაშლა ცუდი იყო

**ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) და CRRC-საქართველომ ჩაატარეს კვლევა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას აჩვენებს სხვადასხვა საკითხის მიმართ. ერთ-ერთი გამოკითხვა საბჭოთა კავშირს ეხებოდა.**

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 39% ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის ცუდი მოვლენა იყო. გამოკითხულთა 50% ამბობს, რომ კარგი მოვლენა იყო, ხოლო 11%-მა არ იცის.

კვლევა ჩატარდა 28 მარტი-15 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით), გამოიკითხა 2927 რესპონდენტი.

გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2,3 პროცენტი.



# იაპონიის სანაპიროზე ჰიროსიმას დაბომბვის კვალი 74 წლის შემდეგ იპოვეს

**იაპონიის სანაპიროზე ზღვამ მილიონობით მცირე ზომის სფეროს ფორმის შუშის ნაწილაკები გამორიყა. იაპონელი გეოლოგების შეფასებით, ეს არის ჰიროსიმას ატომური აფეთქების კვალი. კერძოდ, ატომური აფეთქების შედეგად მოგროვილი ნარჩენები.**



2015 წელს ქალაქ ვანიეში ზღვის ეკოსისტემას სწავლობდნენ. მეცნიერებმა მოაგროვეს ქვიშის ნიმუშები ჰიროსიმასთან ახლოს მდებარე სანაპიროზე. მეცნიერების ყურადღება მიიპყრო სფეროს ფორმის შუშის ბურთულებმა, რომელთა დიამეტრიც 0,5-1 მილიმეტრი იყო. ჰიროსიმას 11-კილომეტრიან სანაპიროზე 3 100 ტონა ასეთი ნარჩენია.

ნარჩენების ატომურ აფეთქებასთან კავშირი მეცნიერებმა მალე დაადასტურეს. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ბურთულები შეიცავდა კალციუმსა და რკინას. ასევე ბერკლის ლაბორატორიაში კვლევისას დადგინდა, რომ ბურთულებში იყო ნივთიერება, რომელიც 1800 გრადუსზე წარმოიქმნება.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აფეთქების შემდეგ ატომური ბომბის ნარჩენები გარემოში გაიფანტა. და ახლა ეს შუშის ბურთულები არის ახალი არტეფაქტები და სამახსოვრო მათთვის, ვისაც არ უნდა, რომ ჰიროსიმას საშინელი აფეთქება დაავიწყდეს.

აშშ-მა ბირთვული ბომბი 1945 წელს ჯერ ჰიროსიმაში ჩამოაგდო, ხოლო შემდეგ — ნაგასაკიში.

ს ი ა ხ ლ ე !

ტიბეტური მედიცინით მკურნალობა



ლიცენზია N 035121

- პროსტატიტი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ინსულტი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დარეკეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894